# ითა ვაკელი

## რჩეული

საბჭოთა მწერალი
«საბჭოთა საქართველო»
1958 თბილისი

# იონა ვაკელის პოეზია

პოეტი და დრამატურგი იონა ვაკელი ეკუთვნის ქართველი პროლეტარული მწერლების ე. წ. პირველ თაობას. იგი ჯერ კიდევ მენშევიზმის ბატონობის წლებში თანამშრომლობდა გაზ. „კომუნისტში“ და უძღვროდა ქართველი მშრომელი ხალხის განთიადს. მართალია, ი. ვაკელის ყველა ლექსი არ არის რევოლუციური პათოსის შემცველი, მის ადრინდელ ლექსებში აქა-იქ გაისმის მელანქოლიური ჰანგი. ისიც უნდა ითქვას, რომ იგი იმთავითვე ქართველ მკითხველს მოევლინა როგორც ფაქიზი გემოვნების ლირიკული ხმის შემოქმედი, რომლის ლექსებშიც გადმოცემულია ახალი ადამიანის მებრძოლი განწყობილება: საბჭოთა პატრიოტიზმი, მშრომელის გმირული სული, ურყევი სწრაფვა კომუნისტური მერმისისაკენ, კლასობრივი მტრისადმი ზიზღი და შეურიგებლობა.

იონა ვაკელი (იონა ლუკას ძე მეგრელიძე) დაიბადა 1900 წელს, ნოემბერში, ოზურგეთის (მახარაძის) რაიონის სოფელ ვაკეში. მამა, ლუკა ანტონის ძე მეგრელიძე გურიაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, რის გამოც სასტიკად იქნა დასჯილი მეფის მთავრობის მიერ. 1906 წელს მას პლასტუნების დამსჯელმა რაზმმა სახლ-კარი გადაუწვა, ხოლო შემდეგ დააპატიმრეს და პატიმრობაშივე გარდაიცვალა 1910 წელს.

დედა, ნინო ექვთიმეს ასული მეგრელიძე, იმ დროისათვის კარგად განათლებული ქალი იყო. მან იკისრა ობლად დარჩენილი შვილების აღზრდა. თავისი უფროსი ვაჟი იონა მან 1908 წელს სოფლის ორკლასიან სასწავლებელში მიაბარა, ხოლო 1914

წელს — ფოთის სამოქალაქო სასწავლებელში. უსახსრობის გამო ფოთის სასწავლებელი იონას არ დაუმთავრებია და 1916 წელს უბრუნდება თავის სოფელს, ეხმარება დედას ოჯახის გაძღოლაში და თან ემზადება კერძო მასწავლებლებთან სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ი. ვაკელს სოფელში მოუსწრო. 1918 წელს იონა მიდის ქ. თბილისში. აქ იგი სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობს, თანაც ემზადება სასწავლებელში შესასვლელად. 1920 წელს იგი შედის საერთო განათლების კურსებზე და ამავე წელს ამთავრებს მას წარჩინებით. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. ვაკელი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს.

1933 წელს იგი აბარებს უნივერსიტეტში სავალდებულო მინიმუმს და ამავე წელს შედის ასპირანტურაში.

ლექსების წერა ი. ვაკელმა ადრე დაიწყო. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1920 წელს გაზ. „კომუნისტში". საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი სისტემატურად იბეჭდება გაზ. „კომუნისტში", ჟურნალ „პროლეტარული მწერლობა"-ში, „ქართული მწერლობა"-ში, „მნათობში" და სხვა.

ი. ვაკელის პირველი ნაპიჯი დრამატურგიაში კომედია „აპრაკუნე"-თი დაიწყო. შემდეგ ამას მოჰყვა პიესები: „შამილი", „შუარი", „გიორგი სააკაძე" და სხვები. ამჟამად ი. ვაკელი განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას როგორც დრამატურგიაში, აგრეთვე პოეზიაში.

ი. ვაკელი, ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, გვევლინება როგორც საკმაოდ ჩამოყალიბებული და მხატვრულად დახვეწილი პროლეტარული პოეტი.

ი. ვაკელს სჯერა, რომ ახლოა მენშევიკური რეჟიმის აღსასრულის დღე, რომ „ბნელ ღამეს შეცვლის დღის ნათელი". მენშევიკების ბატონობის დროს არა ერთი და ორი რევოლუციონერი იყო ციხეში გამომწყვდეული. ლექსში „ტუსაღი" პოეტი ამბობს:

„დღეს კი სიბნელით გარემოცულს
და გულმწუხარეს

ქურდულად აწვდის მკრთალ სინათლეს
ვიწრო სარკმელი,
მაგრამ მომავლის საიმედო
რწმენა ახარებს:
— ბნელ ღამეს შეცვლის
ნეტარების მზით დღე ნათელი".

იმ დროს, როცა კომუნისტური პარტია ამზადებდა ქართველ მუშებს და გლეხებს მენშევიკური ტირანიის დასამხობად, ი. ვაკელი უმღეროდა მუშათა კლასს და ბრძოლისკენ მოუწოდებდა მას. აი, როგორ ალაპარაკებს ქართველ მუშას ი. ვაკელი:

„ჩამოშეცალეთ, აწ დრო დადგა გამოფხიზლების,
რისთვის გგონიათ, კიდევ ვიყო უღონ-უგონო,
ბრძოლის შვილი ვარ, ზღვის ტალღებთან მარად შეზრდილი,
ამაოდ ფიქრობთ მომავალში ვინმეს ვემონო!"

პოეტი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში იგი იგონებს ქართველი ხალხის ბნელ წარსულს და უმღერის ახალს, საბჭოთა რესპუბლიკას:

„დიოდნენ წლები და ამ არეზე
ალარ ჰყვაოდა შორი ველებიც,
იყო ტანჯვა და იყო სიკვდილი,
იყო ციხე და სახრჩობელები...
დღეს კი, როდესაც სიცოცხლით სავსე
არის ზეიმი, არის არული,
ისევ წკრიალებს პოეტის ხმაზე
ხალისი, ცეცხლი და სიყვარული".

მაგრამ ი. ვაკელის პოეზიას ყოველთვის როდი ახასიათებს ოპტიმისტური განწყობილება ზოგჯერ პოეტს იპყრობს სევდა; (იხ. ლექსი „მეგობრობისადმი.")

საბჭოთა პერიოდში დაწერილი ლექსებიდან აღსანიშნავია: „სამჭედლოში", „პარიზის კომუნა", „შუადღე ქარხანაში", „მეზარე", „ჩვენ მჭედლები ვართ", „მაღაროს პრელუდიები", „ბოლნისის გზაზე" და „ზაჰესი". ლექსში „სამჭედლოში" ი. ვაკელი გადმოგვცემს ბორკილაყრილ შრომის ზეიმს და თავისუფალი ქართველი მუშის სიხარულს:

„ჰა, სდუღს შრომა, ელავს ქურა,
და გიზგიზებს ცეცხლის ალი,
იკედება პირმცინარე —
სხივმფინარე მომავალი“.

ლექსში „შუადღე ქარხანაში“ პოეტი გადმოგვცემს საბჭოთა ქარხნის მუშათა სასიხარულო შრომის სურათს და ოსტატურად გვაგრძნობინებს შრომის რიტმს:

„გრიალი ჩქარი და ფრთა მედგარი —
სიცოცხლის ქნარი ღვედებს ათრთოლებს,
მანქანის რგოლებს სდის ორთქლის ღვარი
და ზლაზვნით ქარი შორს მიაქროლებს.
ჩვენ რკინის ძმები სულ გვეყვარება,
მათი მსგავსება არ გვინდა სხვაზე,
შეწყობილ ცვლაზე დუღს მღელვარება, —
შეკრული სალტით ბორბლების ხმაზე.
შრომის ჯარი კი, ოფლში მკერდს ადნობს,
თან გრძნობებს ათბობს, ცეცხლის ქარია:
შრომის არია იპყრობს ცის ტატნობს
და გვიხარია, ო, გვიხარია!..“

ასევე ოპტიმისტური განწყობილების გადმომცემელია მეორე ლექსი — „ჩვენ მჭედლები ვართ!“, ქართველ მუშათა კლასის ცხოვრების სურათებს გვიხატავს აგრეთვე ლექსი „მაღაროს პრელუდიები“.

1921-26 წლებში დაწერილი ლექსებიდან აგრეთვე აღსანიშნავია „ზაჰესი“. ელექტროფიკაცია სახეს უცვლის ძველ იდილიურ სოფლის სურათს:

„რადგან ეპოქა ლახტის და ხმალის
წარსულისაკენ იცვლის ნაბიჯებს
და მის მაგივრად ელექტროს ძალა
შემოქმედების მოედანს იპერს.
წყვდიადო, გული რად არ გიტირის?
გელევა დღენი, შავბნელო ღამევ!
შენ მიდიხარ და ჩვენ გეთხოვებით,
უკანასკნელად იმღერე რამე!“

პოეტმა იცის, რომ ინდუსტრია სახეს უცვლის ძველს, მაგრამ ელექტრონებით გაჩირაღდნებულ სოფელს თავისებური სილამაზე აქვს. იგი ასე მიმართავს ღამეს:

„მაგრამ მე ვხედავ — ამიერიდან
შენი სულისთქმა განწირულია,
რადგან სინათლე არ მოერიდა
და ჩაჰკლა შავი ძალა სრულიად.
რით განუგეშო, ჩემო კეთილო,
შენთვის ქებაც კი დამიშურია
და ეს იმიტომ, რომ ჩემს ქვეყანას
მეტი ქმედობის ძალა სწყურია!
იდიდე, ზაჰეს! ახლა გრიგალიც
რომ ამოვარდეს ქვის გამკვნეტელი, —
მე მჯერა, ისევ იქნება მტკიცედ
შენი წიბო და შენი კედელი!“

ი. ვაკელი უმღერის ინდუსტრიულ ქალაქსა და კოლმეურნე გლეხობას, უმღერის ახალს, აღორძინებულ საქართველოს, მის თვალწარმტაც ბუნებას, საქართველოს დედაქალაქს — თბილისს, გორის ციხეს, მშვენიერ კახეთს, ახალ კოლხიდას, გურიას, უმღერის ჩვენს დიად ქვეყანას და მის გულს — მოსკოვს.

პატრიოტული ლირიკის კარგი ნიმუშია აგრეთვე ლექსი „ნანა“. ამ ლექსში ჩქეფს სიცოცხლის სიყვარული:

„სიხარულის დღეებია
და უღრუბლო ღამე,
თავისუფალ შრომისათვის
გიხმობს შენი მხარე;
ბედნიერი ქვეყნის შვილო,
არ გდის ცრემლი ცხარე;
ფეხს აიდგამ, — დავაქაცდი,
გაიზარდე მალე;
სისო ნანა, სისო შვილო,
სისო გენაცვალე!..“

პოეტს არა ერთი და ორი ლექსი მიუძღვნია ჩვენი გმირული საბჭოთა არმიისადმი და სამშობლოსათვის თავდადებული მამაცი წინაპრებისადმი.

სამამულო ომის წლებში მწერალი უმთავრესად დრამატურგიაში მუშაობდა, მაგრამ ამ პერიოდში დაწერილი ლექსებიდან ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ „გახსოვდეთ სამშობლო“, სადაც პოეტი ამბობს:

„ახლაც ის გრიგალი კვლავ შფოთავს, ქანაობს
და მაინც გულმშვიდად შრიალებს ტყე,
ძვირფასო სამშობლოვ, დიდო ქვეყანაო,
ჩვენ, — შენი შვილები, შენთან ვართ დღეს“.

უფრო გვიან დაწერილ მეორე ლექსში პოეტი აგვიწერს რა საქართველოს თვალწარმტაც პეიზაჟს, ამბობს:

„ნელი სიო მინდვრის ყვავილთ
ათამაშებს, აბიბინებს,
მაგრამ ფიქრი, ჩემი ფიქრი,
მაინც ფხიზლობს, არ იძინებს.
ის იგონებს, არ ივიწყებს —
მამულისთვის მებრძოლ შვილებს,
ქვეყნის ხსნისთვის ბრძოლის ველზე
არწივივით მხარგაშლილებს...“

პოეტის ლირიკული ლექსებიდან ყურადღების ღირსია: „საღამო ბახმაროში“, „გურული სიმღერები“, „ტირიფი სოხუმის ბაღში“, „სიჭაბუკის დღეები“, „წერილი დედას“, „ჩემს ფანჯარასთან“, „რიცა“, „ვერ დავივიწყებ“, „მოდი, ტურფავ“, „ვით ნიავის ნაზი ფრთები“, „გულის სიმღერა“, „შადრევანთან“ და „ჩემო კარგო მეგობარო“, რომელიც ხალხში გავრცელებული ცნობილი სიმღერის მოტივზეა აგებული:

„ჩემო კარგო მეგობარო,
მომენატრა შენი სახე,
მინდა გნახო, მაგრამ სად ხარ,
სიზმარშიაც ვეღარ გნახე!..“

გარდა ლირიკისა, ი. ვაკელი მუშაობს ეპიური პოეზიის დარგში. ამ მხრივ ყურადღების ღირსია მისი ბალადები და განსაკუთრებით 1926 — 1930 წლებში დაწერილი პოემები: „შირაქიანი“, „ზელიმხანი“, „არსენა ჯორჯიაშვილი“ და „მეწისქვილე“.

ი. ვაკელის რჩეული ლექსების და პოემების გამოცემით ქართველ საბჭოთა მკითხველს საშუალება ეძლევა წარმოდგენა იქონიოს ამ ნიჭიერ პოეტის შემოქმედებაზე.

კალე გოგოხიძე



# ლექსები



## *1921 — 1956*

### სიცოცხლის ჰიმნი

შემომანათე, მეც ავენთე თვალით მზიურით,
ორი მერცხალი ბროლის მკერდზე ტოკავდნენ წყვილად,
ზრუნვა და ფიქრი ავამაღლოთ ყოველდღიური
და მარადიულ სიხარულზე ვიმღეროთ ტკბილად.

ვიმღეროთ ისე, როგორც არვის არ უმღერია,
დიდი ბრძოლებიც მოვიგონოთ ხალისით სავსე,
ამის გარეშე თვით სიცოცხლე არაფერია,
უბედურია, ვინც შეჩერდა ცხოვრების გზაზე.

სანამ ვართ ქვეყნად — ვიშრომოთ და ვიმხიარულოთ
და ნუ დავეძებთ წყეულ კითხვებს მსოფლიოს ხმაში,
არ შეგვაშინოს იმის ფიქრმა, რომ ჩვენ ვართ მხოლოდ
უბრალო წვეთი თავისუფალ ბობოქარ ზღვაში.

მაგრამ ეს წვეთი მუდამ ბრძოლის მონაწილეა,
მის მიზან-სწრაფვას, მღელვარებას არ უჩანს ბოლო,
სიცოცხლისაკენ ყველა გზები გადაშლილია
და გზის გამკვლევი ამ ცხოვრების სიბრძნეა მხოლოდ.

მაშ, მოდი ისევ და აღმანთე თვალით მზიურით —
ორი მერცხალი ბროლის მკერდზე ტოკავდნენ წყვილად,
ზრუნვა და ფიქრი ავამაღლოთ ყოველდღიური
და მარადიულ სიხარულზე ვიმღეროთ ტკბილად!..

1949

## კოლხეთის მთვარე

ეს კოლხეთის მთვარე
თითქოს ერთი ციდა,
მოღვენთილი მხრებით,
რომ დაგვყურებს ციდან —

ნეტავ იყოს ახლოს
ჩვენს გრძნობებთან ისე,
რომ ვვარცხნიდეთ ხელით
მოღერებულ კისერს.

უწყინარი, ჩვილი,
რქაკაუჭა, კავით
ცაზე მიბალახობს,
თითქოს იყოს კრავი!

1927

## გურული სიმღერები

1

გზაირიბულად მიმაქანებს მატარებელი,
ელექტროფრთებით მას გაფრენა თითქო სწყურია;
იქით — ქედები კავკასიის, აქეთაც მთები
და ამ მთებს შორის, ვით ჩონგური, მოჩანს გურია.
დიახ, გურია, მეგობრებო, სავსე დღეებით
ხარობს, იშუშებს ღრმა ჭრილობებს მშობელი თემი,
აგერ, სოფელი, მდინარე და ორღობეები,
სადაც პირველად ახმაურდა ცხოვრება ჩემი.

2

სულ გამოცვლილა არემარე... მხოლოდ ბეღურა
ისევ ნავარდობს ხიდან-ხეზე ცქვიტი და ჩქარი,
მესმის დამტკბობი კრიმანჭულით ხასანბეგურა
და ალვისხეებს ათამაშებს სამხრეთის ქარი...
მაგრამ ეს ქარი უკვე სუსხით გულს არ მიძგერებს,
უწინ რომ ავი მრისხანებით იყო მყვირალი,
მე კი, გავყურებ და გაშლილი ღიმილით მიცქერს:
ცხრაასხუთი და ცეცხლის მფრქვევი ნასაკირალი.

3

აი, მიველი... უკვე ეზო დადუმებულა,
მაინც გულსავსე სიხარულის გრძნობით ვიცინი.
ჩემი მურია, აქ დიდიხნით მივიწყებული,
არ მეგებება წკმუტუნით და კუდის ქიცინით.

სახლი კი, ისევ ამაყად დგას, მხოლოდ მესერი
წაფერდებულა და სარებიც შემეჩხრებია...
ვხედავ ბაღჩას და კარგად მახსოვს, სწორედ იმ ქვასთან
ხმატკბილი ენით მიყვებოდა ზღაპრებს ბებია.

4

ჩემო ძვირფასო! შენ აღარ ხარ, მე შენს სახელთან
თითქოს ჩავფერფლე სიყმაწვილის ყველა ოცნება; —
მახსოვს, რომ დილით ოდის კარებს შემოაღებდი,
გული იწყებდა უცნაურად გამოცოცხლებას.
და როცა თოვლში ჩვენ კალანდა გვესტუმრებოდა,
შენ, ვით წიწილებს ნორჩფრთიანებს თბილად გვბურავდი,
დაკრეფდი სუროს, აავსებდი გობს ხილეულით
და ბუხარს თავზე ჩიჩილაკის ქუდს ახურავდი.

5

ეს ყოველივე ახლაც მახსოვს, — ბედის ამარა,
როგორ დავხტოდი და ვცხოვრობდი მაშინ გლეხურად,
ფეხზე წაღები, მესტები და წელზე ქამარი —
და თავზე ჩალის დახეული ქუდი მეხურა.
პატარა ვიყავ და ვნატრობდი მაშინ დიდობას, —
დავვაქაცდი და მენატრება ახლა ბავშვობა,
ახალგაზრდობავ, შენი ღონე, ვით წყალდიდობა,
მოდის და მოდის, ძნელი არის მისი დაშრობა!

6

მხვდებით თქვენ ყველგან: სამკელი, თუ საკრეფელია,
ყანის თოხნაა, თუ გასხვლაა ბაღში ხეების...
რკინიგზები და მავთულები დღეს თქვენთვის ჟღერენ,
თქვენთვის მღერიან რწმენით სავსე ჩვენი დღეები;
მაგრამ, ზოგ თქვენგანს ვეღარ ვხედავ, — თქვენმა გმირობამ
სამშობლო ქვეყნის მიწა-წყალი გადაარჩინა.
დაეცით გმირულ სიკვდილით და გამოგვეთხოვეთ
და იქ შორეულ ადგილებში გულმშვიდად გძინავთ!

## 7

გულმშვიდად გძინავთ, მაგრამ ჩუმად კვლავ მაგონდება:
ცეცხლი და ყინვა, შორეული ჩვენი ყირიმი.
გავცქერი იქით და მგზნებარე გული ღონდება,
და ჩემთვის ჩუმად, გულში ჩემთვის დიდხანს ვტირი მე.
მაგრამ ეს ცრემლი სიამაყის ცრემლია მძიმე.
ვინც კი დაეცა სამშობლოსთვის — ყველა გმირია,
მე მათს საფლავზე არ მივსულვარ, არ მიტირია;
მათ მხოლოდ ზეცა გადმოჰყურებს პირმოციმციმე!

1948

## ბ ზ ი დ ა ნ

მატარებელი მიმაქანებს, თითქო ფრთები აქვს,
ვშორდები არეს, საყვარელს და
ლამაზ მთებიანს,
შორს, მთის მწვერვალზე
დათესილი მინანქრებია.
მატარებელი მიმაქანებს, თითქო ფრთები აქვს,
ჩნდება ხეები, მაგრამ ისევ იკარგებიან,
ვუცქერ ვაკეებს, გაშლილ ველებს,
ჭალებს ქვებიანს;
მატარებელი მიმაქანებს, თითქო ფრთები აქვს,
ვსცილდები არეს საყვარელს და
მაღალ მთებიანს.

ირგვლივ ველები, ვაკეები და მინდვრებია,
მატარებელი მიჰქრის ისე,
თითქო ფრთები აქვს;
აღარც ხეობა არის სადმე, აღარც მთებია;
სულ გაწოლილი მინდვრები და ვაკეებია.
აქეთ დონეცი, იქით დონი და ქარხნებია,
მაღაროებსაც ცხელი გული აზავთებიათ;
სჭრიან და სტეხენ მაგარ ფენებს
გიშრის ქვებიანს.
მატარებელი კი, მძლედ მიჰქრის,
თითქო ფრთები აქვს;
დავშორდი მხარეს, საყვარელს და
ლამაზ მთებიანს.

ალარც ხეობა ალარც კლდენი,
ალარც მთებია,
ვხვდებით და ვსტოვებთ
ვაკე-ველებს ჯეჯილებიანს.
მატარებელი კი, მძლედ მიჰქრის,
თითქო ფრთები აქვს,
აქაც ველები, მინდვრები და ვაკეებია.
მე კი, ხალისის ცეცხლი გულში დამგუბებია,
ვუცქერ მიდამოს, არეს ვრცეულს,
ცას ღრუბლებიანს;
მატარებელი კივის, მიჰქრის,
თითქო ფრთები აქვს,
უკვე არ ვხედავ ლამაზ მხარეს ამაყ მთებიანს...

1928

## გულის სიმღერა

გული ყველაფერს არ ეკრძალვის,
        გული ცხოველი,
სიკეთე მსურდა და ამიტომ
        ქვეყნად მოველი...
თუმც ძველად ბევრჯერ გულს მიკლავდა
        ცრემლი დედისა,
მაინც ცეცხლი ვარ ანთებული
        კვეს-აბედისა.
 გულში კი, რწმენა მარად ენთო,
        მისი ნათელი —
გზას მინათებდა, შორეულ გზას,
        როგორც სანთელი;
და ჩემი ყრმობის ასაკიდან
        სიბრძნის კარამდი,
ის ერთი იყო, რომ მივლიდა
        და მიფარავდა.
მან შემაყვარა ჩემი მხარე,
        ეს რა ხმებია,
ახლა ყველგან რომ მქუხარებენ
        და არ ქრებიან?!
ამ ხმებში მესმის მშობლიური
        შრომის გუგუნი,
„კაფეს და თესეს“ გაიძახის
        სერზე გუგული.
გული მგზნებარე კვლავ ენთება,
        ვით ნაკვერცხალი,

აგერ მოფრინდა ჩვენთან ისევ
ჩვენი მერცხალი.
მან გაზაფხული ფრთაგაშლილი
გრძნობით მახარა,
ბაღის ხეებმაც ყვავილები
გადმომაყარა.
ის აქ მოვიდა სიხარულით,
თაიგულებით,
რომ შევაგებოთ სიყვარულით
სავსე გულები.
წინ, — სიცოცხლეა მხრებგაშლილი,
ნათელი მზისა,
უკან, — გულმშვიდი მოგონება
წარსული დღისა.
და მე კვლავ მინდა, ეს დღეები
წინ მიდიოდეს,
არწივი არწივს ვაჟკაცური
ხმით მიჰკიოდეს,
ნათეს მინდვრებზე ციდან ნამი
უხვად ცვიოდეს,
სიკეთეს ვთესდეთ — სიყვარული
ამოდიოდეს!..

1949

## ლექსი შრომაზე

შრომის ცეცხლით ანთებული
აფრქვევ ოფლის ღვარს.
ახალ ყოფას — სიერთგულით
მისდევ მხარდამხარ.
აწვდი ოსტატს ძელქვის ფიცარს,
თან ცხოვრების ხმას.
ვაქკაცი ხარ, ახლა გიცან,
მზე გიმშვენებს მხარს.
სართულები მისდევს სართულს,
ყლაპავს კირს და ქვას.
ძრავი ქშინავს და გვარჯილას
ხორბალივით ფქვავს.
აგურები, რკინა, ხრეში
და მრავალი სხვა —
ყრია რიყედ, უნდა შთანთქას
გმირულ შრომის ზღვამ.
კალატოზო, გადუშალე
მკერდი ძლიერ ქარს,
დააბეღლე ერთმანეთზე
აგური და ქვა,
რომ ჩვენ ქვეყნის ნათელ დღეებს,
შრომის მრავალ გზებს,
კიდევ უფრო ანათებდეს
საბჭოების მზე!

1930

## ალაზნის ველებს

რა შეედრება სილამაზით
ალაზნის ველებს,
აქეთ იორი, იქით შილდაც
აღარ ისვენებს.
გავსილი მთვარე მოდის დინჯად
ქახური ღონით,
ატეხილ ჭალებს გადმოჰყურებს
ცივი გომბორი,
ცვარ-ნამი ღამის, როცა ხალათს
რბილად გისველებს, —
რა შეედრება ამ დროს ძვირფასს
ალაზნის ველებს!

თითქოს დაფშვნილა აქ მადანი
და საფირონი,
მოჩხრიალებენ მდინარენიც
უნაპირონი;
ირგვლივ ველები, მდელოები,
ყველგან ზვარები,
ქაქლის ხეები ჩარაზმულან
ვით ხაზარები,
ერთი წუთითაც შრომის მხარე
აღარ ისვენებს.
რა შეედრება ამ დროს ძვირფასს, —
ალაზნის ველებს!..

1932

## მელითონეების სიმღერა

გიზგიზებენ ღუმელები კაშკაშა,
ქვაბი ქშინავს ცქრიალა და მცინარე
და იღვრება გადამდნარი ლითონი
აუზებში აქაფებულ მდინარედ.

მოდის მძაფრად, გაჩაღებულ შრომაში
დაიბადა ეს ძლიერი დინება,
მისი მოსვლით უცებ ყველგან დაიწყო
მშობლიური ქვეყნის აღორძინება.

აწ ჩამოდექ, ქურავ საბერვლიანო,
სამჭედლოში უმწეოდ რომ ბოლავდი,
უკვე ბრწყინავს ვარსკვლავივით კაშკაშა
ჩვენი ხელით ჩამოსხმული ფოლადი!..

1952

## ოქტომბრის რევოლუცია

ასე მეგონა: ძველი იარა
არ გაივლიდა ბრძოლების ხმობით,
და მეც უიღბლო ადამიანი
ვიყავ მოცული უიმედობით.
ამაოების ხელით გაზრდილი
ბედიც კვდებოდა შავი ნაღველით;
არსაით იყო ალერსი ტკბილი —
გულში სევდების გადამდაღველი.
დიოდნენ წლები და ამ არეზე
აღარ ჰყვაოდა შორი ველებიც,
იყო ტანჯვა და იყო სიკვდილი,
იყო ციხე და სახრჩობელები.
მაგრამ გულს შვება ისევ ეღირსა,
ისევ აენთო იგი ალერსით —
როგორც ხალისი შორეულ დღისა,
შუქი წმინდა და უმხურვალესი.
და ვიგრძენ ამ დროს, რაღაც ახალი,
რაღაც გულს მოხვდა წვეთივით თბილი,
და მეც ქვეყანა ნაპარტახალი
გულს ჩავიკარი იმედით ტკბილით.
დღეს კი, როდესაც სიცოცხლით სავსე
არის ზეიმი, არის არული,
ისევ წკრიალებს პოეტის ხმაზე
ხალისი, ცეცხლი და სიყვარული.

1925

## სამშობლო

სადაც მივლია, სადაც ბავშვობა
მიტარებია ხალისით სავსე,
მძიმე შრომა და თან თამაშობა —
ჩხუბის ატეხა რიკტაფელაზე,
შემდეგ მოგვერდი... თავის ჩეროთი
ტყე დაბურული, ნამგალა მთვარე,
სიყრმის დღიდანვე შენ გიმღეროდი,
ჩემო ძვირფასო, სამშობლო მხარევ!
შენ გიმღეროდი და ახლა, როცა
გულს ზავთიანი ფიქრი აღონებს,
მაინც, ნუ მასმენ იმ ხმებს ნაღვლიანს,
შენი ნუგეშის ხმა გამაგონე!
ხმა გამაგონე იადონისა
და გაზაფხულზე შაშვის გალობა,
გიტარისა და ჩონგურის ხმები,
ზედ რომ დამღერის ყმაწვილქალობა...
რა სიამეა... ირგვლივ ოდები,
სერი, ეზო და ნორჩი ბალახი,
ასე მგონია შენი კორდები
თავზე მახურავს, ვით ყაბალახი!
სამშობლოვ ჩემო, ძვირფასო მხარევ,
თავზე ვევლები მე შენს მთაგორებს:
ნუ გამახსენებ ძველ ტკივილს, მტანჯველს,
შენი მგზნებარე ხმა გამაგონე!..

1947

## ლექსი აღმშენებლობაზე

შენ, როგორც ვხედავ,
მართლა გინდა ხმები ძლიერი,
რომ გადაეცეს პირიდან პირს,
სოფლიდან სოფელს
და თქვან, რომ ახალ
ადიდებულ ცხოვრების მშობელს
ჯერ არ აკლია სიფხიზლე და სიმშვენიერე?
მაშ, თუ ეს გინდა, და რომ გინდა ახლა ამაზე
ბავშვიც რომ არის, იგიც, ჩემო, გულასაძგერად
აქებს შენს კუნთებს ფოლადიანს,
შენს სილამაზეს,
მეც ახლა ლექსი მოგიმზადე ასამღერებლად.
და თუ ეს ლექსი ჩემი ისე არ დაიღვარა,
როგორც ტირილი
სადღაც ბაღში მკვნესარე ზურნის —
არაფერია, შენ მაინც ხარ პოეტებისთვის
უძვირფასესი მელოდია, საგანი ზრუნვის.
დღეს, გლეხი დოვლათს,
მუშა ღონეს, ბუნება მადანს,
თუ რომ არ ზოგავს
შენ გულისთვის, ჩემო იმედო, —
ჟამს მოწყენისა, ნატყვიარი გულის მალამოდ
მეც რა იქნება ერთი ლექსი გამოვიმეტო!
შესაძლო არის, იგი მეტად სუსტი და ნელი
ვერც კი მოედოს არემარეს, შორი ნაპირებს,
მაგრამ, ძვირფასო,
მებრძოლ მგოსნის ნაწრთობი ყელი,

ვით შეედრება შენს ქარხნებს და
შენს მძლე საყვირებს!..
შენ უფრო ყვირი, ვიდრე ლექსი,
მაგრამ მე მაინც
მსურს შეგეჯიბრო,
მაშ აუშვი შენი ყვირილი!
და თუ ამაშიც ვერ გაჯობე
ფოლადის რაინდს —
პოეტის გული
დაიღვრება მაშინ ტირილით.
იგი რბილი და უძლურია... შენი რკინები,
თუ იმარჯვებენ და გრგვინავენ
შენი გრდემლებიც —
ასედაც უნდა,
მაგრამ ამის გვერდითაც იყოს
ჩვენი ხალისი, ჩვენი სევდა,
ჩვენი ცრემლები.
იმას ვერ იტყვი,
რომ ეს წინსვლა არ მიხაროდეს,
მაშ, რაღად ვტირი?
— სიხარულმაც ცრემლები იცის...
ადუღდი, გულო, გაიშალე ირგვლივ დროშებად
და ეამბორე ყველა კუთხეს
მშობელი მიწის!

გამძაფრებული ქარიშხალის ავი კივილი,
ჰექა ზეცისა დედამიწის გამოდავებით,
მშობიარობის დროს საზარი
მწველი ტკივილი
და დასაკლავად
გამოყვანილ ხარის ბღავილი, —
დაე, ეს ყველა
თანრიგობით დაეწყოს ერთად
და გადაეცეს არემარეს ხმებით ძლიერით,
რომ ჩვენ ქვეყანას ემატება სიმშვენიერე.

შენ კი, ძვირფასო მეგობარო,
ვხედავ, რომ მისმენ,
თან გიძგერს გული,
მაგრამ მეც ხომ მიძგერის იგი —
და ეს გრძნობები ხან თუ მინდა
გადავსცე ვისმეს,.
ხან ისევ რჩება გაუმხელი მწარე ფიქრივით.
მაგრამ ერთ ლექსში
ხომ ვერ ვიტყვი, ძმაო, ყველაფერს,
ყველა სიმღერებს,
საოცნებოს და ალერსიანს?
მე მინდა ჰქუხდეს
ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი,
მაგრამ, ის მაინც სუსტი კაცის, სუსტი ლექსია.
მე არ მინახავს ჩემი ქვეყნის ყველა ფესვები,
ვარ დარჩენილი კმაყოფილთა რიგის გარეშე,
მაგრამ მე მჯერა, ზავთიანი ჩემი ლექსები
მთელ საქართველოს
მგრძნობიარედ მოითარეშებს.
და იქ, სადაც კი თუნდ ერთი ქვა,
ან აგურია
აღმშენებლობის ქვაკუთხედის
მკვრივი ძირებით —
მივლენ და იქვე
სიხარულის ცრემლით აღსილნი
ჩემივე გულით თვითეულ ქვას დაიტირებენ.
დაიტირებენ, რომ გაჰკიცხონ ძველი სიოხრე,
ხე ცხოვრებისა
თუ ვით ჩაჭკნა გვალვიან დღეში —
და აყვავების მაგიერად დიდი პალატნი,
თუ როგორ წახდნენ
და დაიქცნენ სუსხიან თქეშით.
დღეს კი, იგი მთა, იგი ხე და იგი პალატნი
წითელ დროშების
ატლასებით რომ იბურება —

შვენის ახალ კაცს
და ხალისით ხეც ცხოვრებისა
იზრდება ასე,
ქარხნებად და ელსადგურებად.
ეს კი, ძვირფასო, ჩემი გულის
სიხარულს იწვევს,
ვსტკბები ათასჯერ,
მიხარია, ტირილიც მინდა
და რომ მე ახლა, მეგობრებო,
საფლავშიც ვიწვე,
მაინც იგრძნობდით
ჩემ გულისთქმას მღელვარე ხმიდან.

ო, ჩემო ლექსო,
 დიდების და მღელვარებისავ,
მწამს ჩემ შემდეგაც ამდაგვარად
განაგრძობ ყვირილს —
და მხნე ბრძოლებით
წარმოშობილ ამ სიხალისეს
არ აქელვინებ ბედშაობას,
ოხვრას და ტირილს.
უფრო აუწი გრძნობის ცეცხლი დასადაღარი,
რომ მშრომელ ქვეყნის მოქალაქეს
შენი ხმის სითბომ
ღრმად აგრძნობინოს
ყოველივე, რითაც ვცხოვრობდი,
განუზომელი მღელვარება,
ტანჯვაც და სიტკბოც!

1927

## პოეტი

მე არ ვუგალობ ციურ მნათობებს
და არც განწირულ ამაოებას,
მე ვუმღერ ახალ ცხოვრების დუღილს,
შრომაში ჩაბმულ მოსახლეობას,
რომელიც ებრძვის მკერდით და მკლავით
ყოველგვარ დუმილს და მყუდროებას.

გული როდია ჩანგის სიმები,
ყველამ ჩამოჰკრას თითები ფრთხილად.
და არც გრძნობაა — აშუღი მთვრალი
ბაიათი რომ იმღეროს ტკბილად,
ჩვენ ინდუსტრიის სამფლობელოში
სხვა ხვედრი გვერგო პოეტებს წილად.

მოხეთქილ განცდის დასაძლეველად.
ხან ტკბილი ხმისაც არის ძიება,
და თუ აქ ხშირად გრძნობები მითრევს
საკუთარ თავზე შურისძიებად —
არაფერია, ერთხელ დაცემა
მებრძოლ პოეტსაც ეპატიება.

რამდენი გრძნობა გულს უნდა ჰქონდეს
და რაოდენი შეძლების არე,
რომ დაიტიოს სუყველაფერი —
სიხარულიც და ნაღველიც მწარე,
როცა მზე ახალ ადამიანის
აღებს ცხოვრების დახურულ კარებს.

თქვენ ისმენთ სიტყვებს, მადლიან სიტყვებს
გრძნობთ, რომ მშვენებას ფერი აქვს სრული,
მაგრამ თქვენ ახლაც ვერ ამჩნევთ, ალბათ,
თუ რა წვალებით არის ეგ თქმული,
ასე მგონია, ყოველ ჩემს სიტყვას
თავის ფარეშად თან ახლავს გული.

დღეცა და ღამეც თავს დამტრიალებს
მოზღვავებული ფიქრების ჯარი —
და ახლაც ყოველ მის დაძახილზე
გაჩაღებული ბრძოლები არი,
რომ მძლე მდინარედ წავიდეს ლექსში
მშრომელთა გულის მომსკდარი ღვარი.

მინდა, რომ მივსწვდე უცხო რამ ხმასაც
და ხალხს გადავსცე საამო ბგერით,
მაგრამ როდესაც მივდივარ მასთან,
იქ ამ ცხოვრების სულ სხვაა ფერი,
რაც გუშინ იყო კლდესავით მტკიცე —
მოდის სხვა დღე და უკვეა მტვერი.

მაგრამ სათქმელი, გულის პასუხი
როდი ილევა გრძნობებით სავსე,
ეს არც გემია უიალქანო,
რომ ხეტიალი დაიწყოს ზღვაზე —
მოქალაქენო, პოეტის სიტყვა
მუდამ იქუხებს სიმართლის ხმაზე!

1930

## ცხოვრების მდინარე

გულს ნუ მიტეხ, ცხოვრებისა მდინარევ,
გაიშალე, ზვირთო მქუხარებისავ,
რომ ბრძოლაში ქარბუქივით მძვინვარე
  დავივიწყო ცეცხლი მწუხარებისა.

ცხრა ტალღამ ხომ გულზე გადამიარა,
მლაშე, მღვრიე, ღვართქაფა და მყვირალი,
მაგრამ მითხარ, გინახივარ ოდესშე
ჩემ საკუთარ ბედზე მწარედ მტირალი?!

ეს ცხრა ტალღა თუ კვლავ გადმოიღვრება,
ბრძოლისა და შრომის ძლევის ნაღარით,
მაშინ ნახავ, ვინ იქნება ჩვენს შორის,
გამარჯვების ცეცხლით დასადაღარი.

მანამდე კი, ჩემი გულის პასუხებს
ვერ გაიგებ აგრე გახელებული.
ტალღა რაა, რომ ისიც კი ჩემთვის გშურს,
ბრძოლითა და ღელვით აქაფებული.

მე ხომ ვიცი, ჩემდა სანუგეშებლად,
ერთი ტკბილი სიტყვაც კი არ გქონია,
გულს ნუ მიტეხ, ცხოვრებისა მდინარევ,
ნურც მთლად ასე მხდალი გულის გგონივარ.

იღრიალე, იბობოქრე, იგრგვინე,
როგორც ავმა მხეცმა უბოროტესმა,

სულ ერთია ამ მრისხანე ღრიალში,
ბრძოლის ცეცხლი გამოკრთება ოდესმე.

გამოკრთება ელვიანი ისარი
და მძლავრი ხმით გააღვიძებს მძინარეთ...
ისევ შენ და, თუ იქუხებ ისევ შენ,
ამ ცხოვრების ბობოქარო მდინარევ!

მე ხომ მკერდი რკინისა არ მქონია
და არც გული გამითლია ნაჯახით,
რომ არ მეგრძნო რისხვიანი ზვირთები
გამეტებით თავზე რომ დამაჯახე.

მაგრამ თუ კვლავ ეს ტალღაც დაადუმე,
ვერც კლდეს დაჰკარ და ვერც შესძარ არენი, —
მაშინ ვიტყვით:
მზად ვართ მედგარ ბრძოლისთვის,
ცეცხლს დავანთებთ ძველი მეხანძარენი.

მაშ, ნუ მიტეხ გულს, ცხოვრების მდინარევ,
გაიშალე, ზვირთო მქუხარებისავ,
რომ ბრძოლაში ქარბუქივით მძვინვარე
დავივიწყო ცეცხლი მწუხარებისა!

1927

## უცხოელი ფეიქრების სიმღერა

ცხოვრების ტალღები ისე გვეხეთქება,
ვით სალ კლდეს პიტალოს მშფოთვარე ზღვა,
მაგრამ ეს მგზნებარე გულის აფეთქება
კვლავ შრომის ბილიკით განაგრძობს სვლას.
ცახცახებს დგიმები, ძაფებიც ტრიალებს,
გულისყურს აბრუებს მანქანის ხმა,
და ასეთ ყოფამაც, ავმა, სატიალომ
დაგვასვა თავისი ბეჭედი ღრმად.
ეს კიდევ რა არის, როცა ჩამოცხება
და რკინებს მოღვენთავს ალმური ღლის,
გული იკუმშება, თითქო საშინელი
ფოლადის მარწუხი მკერდიდან თხრის.
ტრიალებს ქარხანა და კვლავ სიცხე არის,
არ მოჩანს არსაით ელვარე ცა...
და ასე ყოველ წამს, და ასე ყოველ დღე
ჩვენს ძალას, ჩვენს ღონეს ალმური სწვავს.
თუმცა ჩვენ ასეთ ბედს როდი ვუშინდებით,
ერთხელაც ხომ უნდა გადახდა ვალს,
თუ რომ არ გვწყალობდა ბედი გუშინდელი,
შრომის მზე გულუხვი ამოვა ხვალ.
ახლა რომ აქა ვართ, თითქო ჩაკეტილი
და გადაქცეული რკინების ყმად,
ნუთუ თქვენ გგონიათ, ჩვენც არ გვეამება,
ცხოვრების სხვადასხვა ფერი და ხმა?..
ეს მაინც აქამდე რატომ ვერ გაიგეთ,
თუ რა ტკივილია გულზე რომ გვწვავს?
ჩვენ ვაწვდით ქვეყანას დოვლათს და სიმშვენეს.

სამაგიეროდ ვღებულობთ შხამს.
რამდენი ოფლი და რამდენი წვალება,
რამდენი ცრემლია დაღვრილი ზღვად,
მაგრამ სასურველი შრომის მეუფება,
გვითხარი, ძმობილო, სად არის, სად?
ნუთუ ეს ბრძოლები არ დასრულებულა,
ავ ღელვას ჯერ კიდევ განაგრძობს ზღვა?
და ვისმენთ გულმშვიდად ყოველ დაძახილზე
ბრაზიან ქარიშხლის საშინელ ხმას!
მაშ, ისევ მკლავებში ჩადექი, ძალღონევ,
შენ, გულო, ბრძოლისთვის იყავი მზად,
რომ გავჭრათ მახვილის მძლავრი შემოქნევით
ასე დახლართული ცხოვრების გზა!..

1927

## ჩვენ მჭედლები ვართ

ცეცხლის გუგუნში ვჭედავთ მომავალს,
ოფლის წვიმაში ვალბობთ ცხელ რკინას,
ჩვენ არ მოვაკლებთ ქურას ცეცხლის ალს,
ვამხნევებთ ლაჩარს, ვაღვიძებთ მძინარს.

ჩვენ მჭედლები ვართ, შურს ვანთხევთ ცრემლზე,
ძველი ცხოვრება არ გვსურს ვაგლახი;
ცეცხლს აფრქვევს ქურა,
რკინა დუღს გრდემლზე,
ბრძოლის ხალისით იღვიძებს ხალხი!..

ძველი სამყაროს განადგურება
მოჭდეულია კორძიან ხელში...
არ არგებს ამ დროს მებრძოლს ყურება,
სისხლი და ოფლი როცა დუღს ცრემლში.

ჩვენ მჭედლები ვართ,
შურს ვანთხევთ ცრემლზე,
ძველი ცხოვრება არ გვსურს ვაგლახი;
ცეცხლს აფრქვევს ქურა,
რკინა დუღს გრდემლზე,
ბრძოლის ხალისით იღვიძებს ხალხი!

მტკიცედ, ტვირთმძიმევ! დავძლევთ სიმწარეს,
ფოლადის გულმკერდს ვერ გასჭრის ტყვია,
ჩაქუჩის ცემით ვშობთ ნანატრ მხარეს,
მემკვიდრე ხვალის მაშ რატომ გვქვია?!

ჩვენ მჭედლები ვართ, შურს ვანთხევთ ცრემლზე,
ძველი ცხოვრება არ გვსურს ვაგლახი;
ცეცხლს აფრქვევს ქურა,
რკინა დუღს გრდემლზე,
ბრძოლის ხალისით იღვიძებს ხალხი!..

1923

## ბოლნისის გზაზე

თვალს ალისფერი ღრუბელი სერავს,
მიგორავს მთვარე ბურთივით ცაზე.
სიჩუმე ირგვლივ. მხოლოდ სიმღერა
ისმის მეურმის, ბოლნისის გზაზე.

სიმღერა იგი, ისე ტკბილია,
რომ გულს საამოდ ესალმუნება.
შიგ არის ჩვენი სოფლის ბუნება,
ლხენა, ვარამი და იდილიაც.

ვუსმენ და მუდამ ვუსმინო მინდა,
უკუნი ღამე ვეღარ მაღონებს.
აგერ წკრიალა ხმაც აღიღინდა,
შიგ ჩქეფს კახური სისხლი და ღონე.

მიდის ურემი მძიმე ჭრიალით,
შოლტის ტყლაშუნი მიდენის ხარებს.
ეს ურმული კი ოხერ-ტიალი
ჰკურნავს სევდისგან დაღდასმულ ღარებს.

ღამეა, მაგრამ მთვარეა ცაზე,
მეურმე მღერის ბოლნისის გზაზე;
თუ კი ვერთობი, მაშ, რატომ არის,
გულზე რომ სევდა მაწვება ასე?..

მაგრამ, ო, ჩემო, ამ სიმღერაში
მშობლიურ სევდის ჰანგები ჰკვესავს.
თუმც სიმღერაა, მაგრამ ამავ დროს
ის არის გლეხის გულჩვილი კვნესა.

ძღერის მეურმე: აღზევანს წავალ,
მარილს მოვიტან მე ურმითაო.
არ დაიზაროთ ღონე, ხარებო,
და შენც სიმხნევე, ბედკრულო თავო!

აღზევანს წავალ, ძვირფას აღზევანს,
სახლში მოვიტან მარილ-ქვასაო.
ნუ დამაბრკოლებ, ავო ამინდო,
ნურც შენ, სამარცხოდ სავლელო გზაო!

გლეხის ბიჭი ვარ, სულმთლად ხელმარტო.
მოვშორებივარ სახლს და კარსაო,
მარილს მოვიტან, მოვიმადლიებ
ძვირფას დედას და უღლად ხარსაო!

მღერის მეურმე ტკბილად და ურემს
აზის კოფოზე, როგორც ალალი;
შორით გაისმის და გულს იურვებს:
ტკბილი ჰარალო, ჰარი ჰარალი!

ღამეა, მაგრამ მთვარეა ცაზე,
ელავს, კაშკაშებს ბოლნისის არე,
მე კი, მეურმის ხმა ნაღვლიანი
გულში ხმალსავით ჩამესო მწარედ.

ვუსმენ და მინდა ვუსმინო ასე,
ვუცქერ და ისევ ვტკბები ყურებით.
მიდის მეურმე ბოლნისის გზაზე —
მღერის ურმულს და მიდის ურემი.

1926

## სამჭედლოში

გარიჟრაჟზე სამჭედლოში
შემოიჭრა დილის სხივი,
ააღელვა სული, გრძნობა,
გულიც ობლად განაცივი.

აზუზუნდა შრომის ქურა,
აქორქოლდა საბერველი,
ახმაურდა ცეცხლის ფრქვევით
მივარდნილი მთა და ველი.

მკლავში სისხლი სჩქეფს და ღელავს,
გამალებით სცემს ჩაქუჩი,
თითქოს ყოველ მის დაკვრაზე
შხამიც მოსდევს შენაქუჩი.

ჰა, დუღს შრომა, ელავს ქურა
და გიზგიზებს ცეცხლის ალი,
იჭედება პირმცინარე —
სხივმფინარე მომავალი.

გრგვინავს გრდემლი, რეკს ლითონი.
საბერველიც დაქორქოლებს,
გამალებით სცემს ჩაქუჩი,
ღვედი სჭიმავს რკინის რგოლებს.

1921

## ლიახვი

მე მხოლოდ შარშან გინახულე მარად მყვირალი,
ჩემო ლიახვო, ნაპირებს რომ ხალისით ანთებ —
და ჩემს გულშიაც გადმოხეთქე გასაკვირველი
ლაღ მიდამოთა სიცოცხლე და სიანდამატე.
ულევი ხერგი მოგაქვს მთიდან,
მოჰქუხ და მორბი,
ძლევის სიმღერა
მესმის შენი ტალღების ხმაში,
თეთრ მყინვარიდან
აფრენილი შავლეგა ორბი
შენ გეჯიბრება
ბარისაკენ გამოსწრებაში.

აგერ, მშვენება,
ვრცელი ველი ტირიფონისა.
მოღელავს ქარი
და წელამდი ჯეჯილებს არხევს.
უწინ, ეს მხარე ცხარე მზისგან გადაბუგული,
დღეს ინამება ღრმად გათხრილი
მჩქეფარე არხით.

მერე, ვინ გასჭრა ამოდენა სიღრმე მიწისა?
იკითხავ. ჩემო, როცა ზღვირთებს
გაშლი ღვედებად.
მაგრამ პასუხი შენთვის აბა, რა საჭიროა,
როცა თვით ხედავ
ჩვენი ხალხის შემოქმედებას!

თხრიან ნიადაგს,
შორს ბრწყინავენ ელსადგურები,
ცეცხლის მოვარდნამ
დაივიწყა დროთა სიოხრე...
და აქ, ამ ცეცხლში
გამოზრდილი მებრძოლი ხალხი
გულის ტკივილით არასდროს არ ამოიოხრებს.

ქართლს შენ უყვარხარ,
შენც ის გიყვარს თავისუფალი.
მე კი, ორივეს სახელს ვფიცავ,
ჩვენი გულები
ტახტს დაგიდგამენ
დიდების და შრომის სუფევის,
ახალ ცხოვრების
დაკვეთით და განკარგულებით!

მიდის სიძველე, სიახლეში არის სიცოცხლე..
ჩემო ლიახვო, ვხედავ შენს გულს
მხნეს და იშვიათს,
ვინც კი მოსულა
მეგობრული გრძნობით გამთბარი —
არც ერთის გული დასევდილი არ გაგიშვია.

რადგან დღეს სიტყვა —
სიტყვა ჩვენი ახალ ეპოქის —
გლეხის ქოხშიაც შედის ლაღად
და იქ ამაყობს —
თან ეს ქარხნებიც ერთმანეთთან შეჯიბრებულან
იქ, სადაც უწინ ველი იყო საიალაღო!..

ვეცდები გნახო, მაგრამ არ მსურს
მანდ რომ დამიხვდე,

ადრინდელივით მოდუდუნე ტალღებმტირალი,
მე მინდა, შენი მღვრიე ტალღის ყოველი წვეთი
ახალ სიტყვით და ელექტრონით იყოს მყვირალი.

და მაშინ ვიტყვი,
შორს წასულა ჩვენი ქმედობა,
ვიტყვი და სევდას
დასძრავს მაშინ შენი ბორანი,
მანამ კი, დარჩეს ეს ჩემს მიერ ნათქვამი ლექსი —
ჩვენი შეხვედრის უტკბილესი მოსაგონარი.

1928

## ლექსი მეგობრებისადმი

1

აი, გამოველ, მეგობრებო, როგორც პოეტი,
მწარე დუმილის დასასრული, ალბათ, ეს არი,
ნუ გეწყინებათ, თუ მე ახლა ოდნავ მკვნესარი,
დღეს თქვენს ძახილზე
სევდიანი გულით მოვედი.
არაფერია, ეს ნაღველი მეტიც რომ იყოს,
ქვის ოდენა რომ ჰქონდეს გული
ძელქვის ტანიანს —
ავიტან-მეთქი, მეგობრებო,
ვფიცავ თქვენს სახელს,
ჩემს სიცოცხლეში უფრო მეტი ამიტანია!

2

ახლა კი, დავსხდეთ, სულ ერთია, სევდით ნალესი,
მაინც გაივლის ჩვენი ყრმობის ოქროს წუთები,
ბავშვობიდანვე ტკბილი სევდით ნასათუთები
გრძნობა და გული ცრემლიანი დედის ალერსი.
ჩვენ ხომ არ ვიცით,
ბედს უპიროს რა ხვედრი მოაქვს,
წინ რა გვიდგია, მოლხენა თუ დიდი ბრძოლები,
გაიშლებიან გაუშლელი აზრების გროვა,
თუ უთქმელ სიტყვას,
თვით საფლავში ჩაგვაყოლებენ!

3

მაგრამ რაც უნდა არ აკივლდნენ ბედისწერანი,
ჩვენ მაინც აქ ვართ
ცხარე ბრძოლის ერთი თაობა,
ჩვენში არ არის მწვავე იჭვის სხვადასხვაობა,
ჩვენი გულების მარად ისმის მწყობრი ძგერანი.
მაშ, ვთქვათ გულწრფელად, ყველაფერიც იყოს ნათელი,
გამბედაობა და სიწრფელე დაგვყვა თავიდან!
თორემ იტყვიან:
ამ ხალხს ჰქონდა რაღაც სათქმელი
და ვერაფერიც კი ვერ გვითხრეს, ისე წავიდნენ.

4

ხომ ყველანი ვართ?
ვინ აკლია ჩვენს მხნე თაობას!
მარტოდ მე ვაკლდი?
და ჰა, ძმებო, მეც ხომ მოვედი
ერთი უბრალო, უნუგეშო, მწირი პოეტი,
გაჩენის დღიდან, რომ შეზრდილა ავ-ბედშაობას.
შენ აქ ხარ, სანდრო, და შენც დავით, თავაზიანო,
ვასო და კიტა, იაკინთე, შენც ჩემო პეტრე,
თუ ჩვენი სუფრა დღეს უხვად ვერ ბარაქიანობს,
ამ დანაკლისსაც, მეგობრებო, ნუ დავიყვედრებთ.

5

პირველად. ძმებო, ამ ღვინის თასს, პირამდე სავსეს
მე ვცლი მთლიანად,
სადღეგრძელოდ ჩვენი ძმობისა,
ნაცვლად ტირილის, კაეშნის და მარტოობისა —
ჩვენც რომ გვეღირსოს წარმატება
ცხოვრების გზაზე...

შენ კი, შავ-თვალა, ბოშა ქალო, დაუკარ ისე,
ამ ჭიანურს და ამ საკრავებს მიზრაფებიანს,
რომ დამწვარ სულში ჩაგვწვდეს
ხმები სამარადისო,
ჩვენს გულებიდან ასე შორს რომ ისწრაფებიან!

6

დავიფშვნათ შაქრად,
სანამდე ვართ, სასიყვარულოდ
ჩვენც შევითვისოთ ერთმანეთი, ჩემო ძამია,
ჩვენი სიცოცხლე უამური ერთი წამია
დროთა ბრუნვისგან უცაბედად გამოპარული.
და რაც არ შეგვხვდეს წვალება და
წუთები შრომის
ეგ ცხოვრება ხომ არის ლხინი,
არის გოდებაც.
მაგრამ ვერიდოთ, მეგობრებო,
ისევ ჩვენს შორის
არვინ შეიპყროს შურის ნთხევის გაბოროტებამ.

7

ხომ ყველას გახსოვთ,
ჩვენს სათუთ და ლამაზ ერთობას,
როგორ ჰფურჩქვნიდა სიგულწრფელე
ლაჟვარდის ფერი.
გვიყვარდა ყველა,
არ ვიცოდით რა იყო მტერი
და ვეძლეოდით სიხარულის
ხალისით თრობას.
ახლაც ასეა...
მაგრამ ხვედრი არ არის ერთი,
ბედი ცბიერი ზოგს მრისხანე გზისკენ აქეზებს;
მაგრამ ვისურვოთ, მეგობრებო, ჩვენი სიწმინდე,
რომ ყოფილიყოს მზის სხივებზეც უსპეტაკესი!

8

მაშ, ასწით ზევით ეს ჭიქები,
და ყველამ მწყობრად
დასცალეთ იგი, როგორც სევდა მცქირალი შავად,
რომ შემდეგ სხვებმაც თქვან, ეს იყო აღსანიშნავად
ჩვენი კავშირის, ჩვენი რწმენის,
ჩვენი ძმობისა, —
რომელიც მუდამ იყვავილებს ხალისით სავსე,
ვით გაზაფხულზე გადაშლილი პატარა ია,
თუ რომ არ შეხვდა
ამ ცხოვრების დახლართულ გზაზე
ავი მდინარე, შლამით სავსე, მლაშე და მღვრია.

9

ხომ ყველამ შესვით?
არ დასტოვოთ არც ერთი წვეთი,
ღვინოში უფრო გადიშლება
გრძნობის ფესვები —
და ისევ წრფელი მეგობრული მიალერსებით
დავწვათ დარდი და გადავკოცნოთ
ჩვენც ერთმანეთი!
თორემ დრო მიდის,
ჩვენ სიცივეს ვუახლოვდებით,
ეს სიჭაბუკეც დნება ნელა,
გულიც ტრიალებს —
და შორს არ არის ის დრო, როცა
ცივი ლოდები
ჩვენს სამარეზეც გლოვის ხმებად დაიგრიალებს.

10

ეგ ხომ ასეა, მეგობრებო, მაგრამ ხალისი,
რად არის მაინც იშვიათი ჩვენი სტუმარი?

არყოფნის დარდით მოქანცული,
სევდით მდუმარე,
ნუთუ, ბავშვობის არ დადგება წუთები ისევ?..
როცა ჩვენ ყველას შვების ღიმი გვეფინებოდა,
როცა ხალისი მაშინ თითქო იყო ნაღველშიც;
რამდენი ნანა საალერსო გვესმოდა ოდნავ.
რამდენი გული მზრუნველობით
გვიჭერდა ხელში!

11

მაგრამ იღბალი ჰგავს ავ ნადირს,
მოვარდნილს ტყიდან,
ჯერ გათამაშებს და ერთობა, შემდეგ გერევა
და მეც ასეთი უამური ბედნიერება —
თითქოს დამყვაო, მეგობრებო,
გაჩენის დღიდან.
და ამის შემდეგ აღარ ვიცი წუთი ლხინისა,
სულს მირევს სევდა
და გულშიაც ტრიალებს დანა;
ეხ, ძმებო, გული მქონებოდა მაინც რკინისა,
რომ ეს ვარამი უდრტვინელად გადამეტანა!

12

თქვენც კარგად გახსოვთ,
რომ დამატყდა რისხვა ღვარებად,
ნაღველის გარდა
მაშინ ჩემთან არვინ არ იყო;
ვთქვი: ბედმა კაცი ნუთუ ასე უნდა გარიყოს,
რომ ეგრე უღვთო იყოს მისი დასამარება?!
მაგრამ ვინ იკვლევს, ეს რად მოხდა,
როგორ, ან როდის...
სხვისი დამზრალი გრძნობებისგან
ყველანი ლხინობს.

გული ჯერ კიდევ მგრძნობიარე,
რომ ცივდებოდეს,
ჩვენც, მეგობრებო, გასათბობად
დავლიოთ ღვინო!

13

ო, ჩემო ვასო, ჩვენი ძმობა ჯერ კიდევ ასე
ჰყვავის მარადის, სანუგეშო
ცისფერ ვარდებად,
ვნახავთ ერთმანეთს —
და ჩვენ მყისვე გაგვიხარდება
ტკბილი შეხვედრა,
სასურველი, გრძნობებით სავსე...
გულს შევაჯერებთ, ვიბაასებთ,
თუ რომ ხალისი
არ შეგვეცვალა გულის რბილი ასათუთებით,
მაგრამ, ეჰ, ძმაო, წვეთი ცრემლის
ხომ არის ღირსი —
ჩვენი წარსული, ფოთის სკოლა,
ყრმობის წუთები?!

14

მაშ, ერთი სიტყვა
ამ შავ დღესაც სჯობს მივათვისოთ,
ვთქვათ ჩვენი ტანჯვა,
ჩვენი სევდა, ჩვენი წვალება,
გადავხსნათ გული, მეგობარი გენაცვალება
ჭირში და ლხინში შენთან მყოფი სამარადისოდ!
მაშინ ჩვენ ერთად ვიზრდებოდით
დღეცა და ღამეც,
ფაზისის მადლი არ გვწყალობდა
არც ერთ ნაშიერს,
და კოხტა არე, თვალწარმტაცი კოლხეთის არე,

ორთავეს, ძმაო, გვატარებდა
მწყურვალს და მშიერს.

15

ეს, მაშინ იყო ყრმობის წუთი
გამძლე ვით რკინა,
შემდეგ ათასი სხვა ვარამი გვინახავს მწარე, —
მაგრამ გრიგალი, როცა ჩადგა, პატარა მთვარემ
ჩვენ გულებშიაც სიხარულის შუქი მოჰფინა.
ახლა, არც კი ვცნობთ
დამდაღველს და მწველ მგრძნობიარეს
იმ პირვანდელ ცეცხლს, გულს რომ წვავდა
ცრემლების ზღვევით;
მაგრამ ჩვენ, ძმებო, დავივიწყებთ ყველა იარებს
და ღვინით სავსე მადლიან თასს
აღვმართავთ ზევით!

16

ახლა, ეს თასიც გამოვცალოთ, ღვინო ქებული,
დავლიოთ, ძმებო, შარბათია იგი ნალესი,
შიგ ჩავატანოთ ჩვენი ძმური ტკბილი ალერსი,
გულის სიღრმიდან გაწვალებით ამოღებული!..
შენ კი, შავთვალავ, რომ მიზიხარ აგრე ტევებით,
იმღერე რამე, დამიმშვიდე გულის იარა,
რომ ერთხელ მაინც დავივიწყო შავი დღეები,
დაბადებიდან თან რომ მდევს და არ გაიარა!

17

იმღერე რამე, ეს გიტარაც სათუთად იწყებს
მკვნესარე ტირილს, აელვებულ სიმების ხმაზე,
იმღერე რამე და თუ დავრჩი, არ დაგივიწყებ,
ჩემო ძვირფასო, ამდენ ამაგს სიკეთით სავსეს.

ახლაც, ამ წუთში ავიღებდი ხელს ყველაფერზე
და მოგიგებდი ძვირფას ფარჩას
ოცნების გზაზე,
მაგრამ მოგიკვდეს ჩემი თავი,
თუ გულის გარდა,
მქონდეს სხვა განძი
ბედკრულ პოეტს ამ ქვეყანაზე!

18

მაშ, ასწით ზევით ეს ჭიქები,
კახური ღვინით
დავლოცოთ ძმობა, სიყვარული,
წრფელი ნდომები,
ჩვენ ამ ცხოვრებას
ასჯერ ხომ არ შევეომებით,
ერთხელაც კმარა, მეგობრებო,
განვაგრძოთ ლხინი!
უმჯობესია სულ დაიწვას
ყველა გრძნობები,
მედგარი გულიც
მწველ გრძნობათა საჭედი გრდემლი;
ჩვენ არა ღვინო,
მხოლოდ ძმობა შეგვაზარხოშებს,
როს სიყვარულით მოგვადგება
თვალებზე ცრემლი!

19

ახლაც, ეს ცრემლი,
მეგობრებო, გვასველებს ცხარე,
ვსვამთ, ძმებო, ღვინოს,
ვსვამთ განწირულ ამაოებით;
ვეძახით ხალისს,
ვეძებთ ძმობას განმარტოებით,

რომ სადმე მაინც ერთი კუთხე
ვიპოვოთ წყნარი!
მაგრამ არც ძმობა და არც
ოდნავ ხალისი ტკბილი
არ ჩანს არსაით
ცხოვრებიდან გამომდინარი...
მაშ, ვის ვუსურვო ეს სიცოცხლე
ღონემიხდილი,
თქვენს შორის, ძმებო,
სიკვდილამდე მოუწყინარი?

20

ხმას არვინ იღებთ, არ იღებთ ხმას,
დუმხართ ყველანი,
რა ღვთის რისხვაა, მეგობრებო,
მითხარით რამე?
ნუთუ თქვენს გულშიც
შემოიჭრა ასპიტი ღამე —
მარად მშფოთვარე,
გულცივი და მოუსვენარი?..
მაგრამ, შენ მაინც ხომ აქა ხარ
წაბლისთმიანი,
ჩემო პოეტო, ჩემო ძმაო, ხალისით სავსე;
დაბადებიდან შენ თან დაგყვა მზე იღბლიანი
და იმედები გადაშლილი
ცხოვრების გზაზე?

21

ილხინე, ძმაო, შენც გაიგებ მწარე ისრები
რა ტკივილებით უბედობას გადაუშლია,
იგრძნობ ყველაფერს და ვაი, რომ
დამწვარ გულშიაც
იგივე ბოლმა განახლდება შენათვისები!..

მე კი, ჰო, ძმაო, როცა გულში
სევდის მორევი
და მწველი ცეცხლი რომ ვერაგზით
დამივსია მე,
მოვრბივარ შენთან
მაშინ მწყურვალ ნიამორივით,
რომ ერთი წუთით იქნებ მაინც ვპოვო სიამე!

22

მაშ, ასწი თახი
„ცეცხლის ხმების“ ნათამადარო,
ტკბილად დათვრები, კახურია იგი ქებული,
ძარღვებში სისხლი მოწოლილი, აქაფებული
დაე, ელავდეს, როგორც
მწველი ღველფის ღადარი!
არაფერია, შემდეგ სხვებიც
იგრძნობს სიმწვავეს,
რომ მოადგება კარზე ბედი ავად მყეფარი...
თუ ბევრს არ ესმის
ჩვენი ბრძოლა გულის საკლავი,
ნუ შევაწუხებთ, დაე, დარჩეს გაუგებარი!

23

დაასხით ღვინო, აშუშხუნდეს სევდაც ვნებაში
და გამოვცალოთ ორთავენი, ამხანაგებო!
ასეთი ლხინი, დიდებული და სანაქებო
მხოლოდ ეს ერთი მოვისწარით
ჩვენს ცხოვრებაში!
და დღეს, რაც უნდა არ გვეწყინოს —
გულით ალალით
დავლოცოთ ძმობა, სიხარულით,
შევსვათ დარდები,
რომ ერთი მძლავრი
ხალისიან განავარდებით
გავათბოთ გული სანეტყვი და ნაიარალი!

## 24

ჩემთვისაც კმარა,
აღარ მინდა დღეები ასე,
რომ მიდიოდეს კაეშანით გადაბასრული...
დადგება დრო და ჩვენც ხომ უნდა დავლიოთ სული
სადმე, ვაგლახად,
უნუგეშოდ მიტოვებული.
მაგრამ, ვინც რჩება
იმან მაინც ამოჭრას გრძნობით
საფლავის ქვაზე,
სამახსოვრო სიტყვა კეთილი:
— ამ ქვეყნად, ძმაო,
შენ იყავი გამწარებული,
აქ მაინც ტკბილად განისვენე
მთვლემარე ძილით!

## 25

მაშ, ასწით, ძმებო, თასი ყველამ
პირმოციმციმე,
ყველაზე მეტი
მგრძნობიარე დასალეველი;
დავცალოთ იგი
და ნაღველიც დასაძლეველად
აღარ იქნება ესოდენი მწარე და მძიმე!
შენ კი, შავთვალავ, დაუკარი
გრძნობებით ისევ,
რომ ამოგლიჯოს
ამ მუსიკამ გულიდან შხამი...
არაფერს ვიტყვით,
რადგან ათრობს გულს სიხალისე,
და მეც ჩემს სიტყვას, მეგობრებო,
ვათავებ ამით!

1928.

## ნანა

ნანა, შვილო, ნანა, ვარდო,
რად არ ხუჭავ თვალებს?
დაიძინე, ჩემო დარდო,
არ მოგაკლებ ალერსს...
გარეთ მზეა, სახლშიც დარი
და ჩემს გულში მთვარე,
შენი ბედის არვინ არი, —
ვარდო, გენაცვალე!
ვხედავ, თითქოს შეკრთი კიდეც,
ახელ გიშრის თვალებს,
სისო, ნანა, სისო, შვილო,
სისო, გენაცვალე!
ალარ არის მამა მარტო,
იბრძვის, შრომობს გარეთ,
მხოლოდ შენთვის, ჩემო ვარდო,
ჩემო სავსე მთვარევ!
დგას ხვავი და ლუში ყანა —
მზის სხივებზე ხარობს,
აბრეშუმი სიფრიფანა —
ეფინება ტაროს...
ზურმუხტ ხეზე დახუნძლული
ოქროს ვაშლი ხარობს...
შენს აკვანზე შემომჯდარი
იადონი გალობს...
გაინაბე, ვარდო ჩემო,
მოვა ძილი მალე,
სისო, ნანა, სისო, შვილო,

სისო, გენაცვალე!
ბაღში სძინავთ ატმის ხეებს,
ტყეში — ნუკრს და შველსა,
შენ რად ფხიზლობ, გენაცვალე,
დაგიკოცნი ხელსა...
სძინავს რუსაც, თევზს და ბალახს,
მინდვრად ცხვრების ფარას,
მხოლოდ ჭოტი ფხიზლობს გარეთ
მოვალალე მარად.
შენც ჩასთვლიმე, ნუღარ ნაბავ
მაგ მაყვალა თვალებს,
სისო, ნანა, სისო, შვილო,
სისო, გენაცვალე!

სიხარულის დღეებია
და უღრუბლო ღამე,
თავისუფალ შრომისათვის
გიხმობს შენი მხარე;
ბედნიერი ქვეყნის შვილო,
არ გდის ცრემლი ცხარე,
ფეხს აიდგამ... დავაქაცდი,
გაიზრდები მალე,
სისო, ნანა, სისო, შვილო,
სისო, გენაცვალე!

1937 წ.

## ფიქრები თბილისზე

აგერ თბილისი, მეგობრებო,
ჩვენი თბილისი,
დღეცა და ღამეც რომ კაშკაშებს
მგზნებარე ალით,
მას, ნავთლუღიდან დაწყებული,
მცხეთის კარამდე —
დიდი გეგმებით გადმოჰყურებს
მზრუნველი თვალი.
მტკვარი კი მიდის,
მიდუდუნებს ზვირთთა ტევებით,
გულმხურვალებით
არემარეს თითქოს იხუტებს —
და იქ, სადაც მას კალაპოტი
ბოჭავს კლდეებით
აქაფებული ენერგიის ხალისით უტევს.
ვის შეუქია ნარიყალა, ახლაც რომ ჭვივის,
აქეთ დიდუბე, ჩუღურეთი, ნაძალადევი,
მტკვარი რომ მორბის გაბედული კაი ბიჭივით
ფრთაშეკვეცილი ტალღების მტვრევით?!
ვგონებ არავის, აბა ვნახოთ, რა რიგ კარგია
აქ რომ ანთია ცეცხლი უხვი აელვარებით, —
და ქალაქს თავზე რომ ადგია ჯიღა რკინისა,
ხან სიჩუმის და ხან მღელვარების.

აი, თუნდ დილა, დაჭკრავს საყვირი
და ზღვა ხალხისა აიშლება ტალღების მტვრევით,
აქ ჯერ ჩანს მხოლოდ გამურული სახე და პირი
მოღლილ-მოქანცულ სხეულის თრევით,

და შემდეგ, როცა მზე ამოწვერავს
მშფოთვარ ქალაქზე გულმხურვალე
სხივების მცვენი,
მაშინ მე ვხედავ სხვა
სახეებს დამშვენებულებს,
„ოდეკოლონის“ საამო წვენით.
აგერ, რომ კინტო მღერის ლოთურად:
ღვინო დამისხით, ჯეელებო, დამისხით ღვინო,
ცეკვავს მასხრულად
და ფეხებზე ჰკიდია ყველა,
თავისი თავიც, ოხრობს და ლხინობს, —
მეორე მხრით მას ფოლადის კაცი
დაჯერებული და შემქნელი
დღევანდელ დღისა —
უცქერს პირქუშად
ცხოვრების ამ საბრალო ნარჩენს
და მუშტს უღერებს ინდუსტრიისა.

აი, დიდუბე, თამარ მეფემ აქ იქორწილა,
აქ მას დაუკლეს სამასამდე ნიკორა ხარი,
ქვევით კი, მცხეთა ივერიელთ ძველი სატახტო
დგას დინამიტით გადანათხარი.
მტკვარი კი, აქაც ისე ღრიალებს,
თითქო ეს არი დასაკლავად მიჰყავთ ყასაბებს,
და შიგ ქვითკირით დაჯავშნული საძირეები
ახალ კაცს აძლევს თავის გასაღებს.
და ეს კაცი რომ დღეს შრომის ოფლს ღვრის,
და სხეულს მხურვალს რომ ჩამოსდის მღვრიე ღვარები
ჩემი გრძნობებიც ზედ დასტრიალებს
და რაც ღონე მაქვს, მეც ვეხმარები.
ვინც უნდა იყოს, სულ ერთი არის,
ამ ჩემ საყვარელ სამშობლო მხარის,
როცა გაივლის ამ ადგილს მგზავრად,
იყოს თუნდ იგი აღვსილი ჯავრით —

ან გულდაჭრილი ხმებით მქუხარით,
თუნდა კაეშნის ცეცხლით მწუხარე,
როგორ იქნება, არ აღფრთოვანდეს,
წამს დაჰყრის მღვრიე წარსულზე დარდებს.

აგერ ხარფუხიც მოზიდულა
შვილდის ტარივით,
მას მედიდურად გადმოჰყურებს ძველი ისანი;
ქარი კი, ტირის ბრმა აშულის საზანდარივით,
თითქოს თვალებზე ცრემლი სცვივა ოქროისანი.
ა, ჩაიხნებიც, სადაც ჩაით იბერებიან,
სხედან და სვამენ, თითქო ჭიქა
სავსეა ღვინით,
დახლში კი ცოდვად მობუზული ზის მეჩაიხნე
წვერშეღებილი ბასმით და ინით.
რამ დაგაღონა მეჩაიხნევ, მითხარ გაბედვით,
რომელი ცოლი გღალატობს და
ბილწავს სარეცელს?!
თუ სულ სხვა არის შენი სევდა გულისაკლავი
და დამწვარ გულის სასალმუნო
ფიქრებს დაეძებ!
დრო აღარ მოგწონს, ფეხმორთხმული
ზიხარ ცბიერად,
და გულის ჯავრით არის ალბათ
რომ სწევ ყალიონს?!
მოსწიე ბლომად, იქნებ არგოს გულის იარას,
მოდი და ერთი ამ დღისათვის
ჩაიც დავლიოთ!

აგერ, მთაწმინდა დგას მდუმარებით,
რომლის კალთებში განისვენებს ჩვენი ილია,
აქ ცა-ლაჟვარდი
სულ ყოველდღე მოწმენდილია,
უანკარესი სიხარულის აელვარებით.
ილიას გვერდით წევს აკაკი,
ყრუდ, გარინდებით,

რაღაც აწუხებს, უნდა ახლაც კიდევ
სთქვას რამე,
და გრიბოედოვს, ამ რუსეთის გიჟმაჟ გენიას
„ვაი ჭკუისგან“ არ ასვენებს დღეცა და ღამეც.
აგერ, მეტეხიც კლდის თავზე რომ ჩასაფრებულა
და გადმოჰყურებს ვით ყაჩაღი
ფრიალო მტკვარზე,
უწინ ბესიკი იჯდა აქ და შეყვარებული
მღეროდა ლექსებს ორთაჭალის
ზურნების ხმაზე.
აქეთ კი, ისევ საიათნოვა, ჩვენი ბოჰემა,
ეგ საქართველოს მძლე აშუღი დაუღალავი,
მღეროდა გულით, სწერდა გულით,
ტანჯვაც გულითვე
იცოდა, როგორც პოეტებში დღემდე არავინ.
აი, თბილისი და ქალაქი პირმოციმციმე,
აზიაც არის აქ და ევროპაც.
ზოგან სიფხიზლე, მაგრამ მაინც
გვჭარბობს სიმძიმით
აღმოსავლური დაუდევრობა.
აგერ, რომ ზურნა ჭიჭყინებს ბაღში
და ზედ დამღერის ვიღაც ჯეელი,
მეორე მხრით მას თითქოს აჯავრებს
მწუხარე კვნესით ვიოლონჩელი.
აგერ, რომ უვლის ჩოფურა ბუქნას
ძმა-ამფსონებში ნაპურღვინევი —
თავის არიფებს ძმად ეფიცება
ღრეჭით, კოცნით და დედის გინებით.
მეორე მხრით კი, მშრომელთა კრება,
რომლის შეძახილს კლდე დაუცია, —
გუგუნებს მტკიცედ და შორს გაისმის,
ძახილი — ვაშა რევოლუციას!..

1930

## ახალი კოლხეთი

ქრება და შრება ნოყო,
ქრება ჭაობი ძველი,
უკვე არ ბზუის კოღო,
აღარ სისინებს გველი.

ნისლი, ბუღი და ტბორი
კვლავ ვეღარ იჭერს დარებს,
ბრწყინავს მინდორი შორით,
როცა ამოდის მთვარე.

და იქ, სად უწინ კალოდ:
იყო ხაშმი და შხამი, —
ახლა ბულბული გალობს
დაფნის შტოებზე ღამით.

1934

## ჩემო კარგო მეგობარო

ჩემო კარგო მეგობარო,
მომენატრა შენი სახე,
მინდა გნახო, მაგრამ სად ხარ,
ხიზმარშიაც ვეღარ გნახე!

როდის მოხვალ, როდის მნახავ,
ბოლმამ გული გამიყინა,
წუთუ, ძველს ჯობს სამყოფელად
ახლანდელი შენი ბინა?!

ობლადა ვარ, თვალებიდან
აღარ წყდება ცრემლის წვიმა,
ცალუღელად დავრჩი ქვეყნად,
ბედმა ტვირთი დამიმძიმა.

ვიყურები იქით-აქეთ
იქნებ სადმე მოგკრა თვალი,
მაგრამ სად ხარ, სად გეძებო,
არსად არ ჩანს შენი კვალი!

მაგრამ ფიქრში, ამ ჩემს ფიქრში
შენ კვლავ ჩემთან ცოცხლობ ისევ,
თითქოს სახლში დადიხარ და
მოგაქვს სითბო, სიხალისე!

ხან სარკმელს წმენდ და ხან ავეჯს,
სარკის რაფას უსვამ ტილოს.
და ჰა, შენი წახედული
მეც ვცოდვილობ სასაცილოდ!

მაგრამ ჰქრება ეს ჩვენებაც
და კვლავ მარტო რჩება გული,
აღარც სახლში, აღარც გარეთ,
სადღაც, შორს ხარ დაკარგული!

1956

## ᲣᲠᲛᲐᲡ

შენ ჯერ პატარა ხარ და როს გაიზრდები,
როცა შენ აუწევ ცხოვრებას ხმას,
იბრძოლებ ჩვენსავით გულით გამეხილით
ისე, ვით შეფერის ფოლადის ხმალს.

შენ ჯერ პატარა ხარ, როგორც იადონი,
მაგრამ მომავლისთვის სავალი გზა
უნდა აქედანვე გქონდეს გაზომილი,
თუ იგი შემდეგში მიგიყვანს სად.

ჯერ ხომ პატარა ხარ, გიყვარს მოფერებაც.
გაურბი სიცხეს და ემალვი მტვერს,
მაგრამ როდი იცი ავ-სახრჩობელაზე,
თუ რატომ გაჰყავდა მებრძოლი მტერს!

შენ ჯერ პატარა ხარ, მალე გაიზრდები
როგორც თავ-ქოჩორა ლონთქოში ბზა,
ნახავ სუყველაფერს, იგრძნობ ყოველივეს,
შხამნარევ დღეებს და ცხოვრების გზას.

მაგრამ ესე გზები არც ისე რთულია
და არც ეს ცხოვრება არის მთლად ზღვა.
შენ ჯერ პატარა ხარ, ცოტა დაიცადე
და რომ დაგიძახოთ იყავი მზად!

1929

## გასწი, ჩემო მეეტლევ

ცა ლურჯთვალა, ყვრიმალი, იცქირება მდუმარი,
გულს ეს კიდეც აწუხებს
და ხან კიდეც ახარებს,
შენ კი გასწი, მეეტლევ,
პირველად ვარ ამ მხარეს,
ჩრდილოეთში მოსული სამხრეთელი სტუმარი.
იგინე და იფურთხე, ოღონდ გასწი ქორივით
და უცნობი ეს მხარე სწრაფად გადამატარე,
რომ მეც ვნახო ცხოვრების მოგრიალე მორევი
და მსოფლიო ხანძარის ჩაუქრობი ღადარი.
ოდნავადაც ნუ სწუხარ,
რომ ეს გზები, ეს არე,
არის ჩემთვის ჯერ კიდევ უჩვეული და ულევი,
ვით შვილდისგან ბედითი გატყორცნილი ისარი;
გასწი ისევ, მეეტლევ, გასწი განწირულებით!

აგერ, ძეგლი ბრძოლების, ლამაზი და მძვინვარე,
სამკუთხედა კედლები რომ აქვს თლილი ყალიბით,
დგას ამაყად, თვითნება, ისე როგორც მყინვარი
მძიმედ ამოზიდული, ჰერკულესის ხმალივით.
ეტლი მიჰქრის და მეც სხვა
ფიქრებით ვარ მღელვარე,
მზეც მოგორავს დილისა,
დინჯად ოქროს გორივით,
და ჰა, უკვე თვალებს სჭრის
დროშა სხივებ-ელვარე,

თავზე რომ დასტრიალებს
კრემლს წითელ ფრინველივით.
მე კი ეს მიხარია და შენც გადამატარე
ჩემთვის ეს არემარე უჩვეული და ულევი,
ბედს არ შეუშინდები, ქედს არ უხრი არაფერს,
გასწი, ჩემო მეეტლევ, გასწი განწირულებით.

მიჰქრის ეტლი, ქანაობს, გულიც ამით ერთობა,
თვალმა როგორ გაუძლოს ამგვარ ასხივოსნებას,
ჩემო სიახალგაზრდევ, ჩემო სიყმის ოცნებავ,
მივატოვოთ ნაღველი, ძველი უიმედობა.
რაა მასში ხალისი, რომ სულ იყო ნაღველით,
ვით ბედითი ტყვიისგან
მკერდდაჭრილი არწივი,
აქ, მოსკოვის ქუჩებში ქვაც კი უკანასკნელი
იცქირება ამაყად, მებრძოლ ჯარისკაცივით.
მაშ, ადუღდეს ახლავე
გრძნობებიც და ფიქრებიც,
ვით ეს არე მღელვარე, უჩვეული და ულევი.
მე მედგარი მებრძოლი სიკვდილამდე ვიქნები,
გასწი, ჩემო მეეტლევ, გასწი განწირულებით!

არ მწყურია საზღვარი, გასწი, ჩრდილოეთელო,
ყურს ნუ უგდებ ქალაქის
ხმაურსა და გორიალს;
შრომისა და ძმობისთვის
ამ ხალხსავით გმირულად
მჯერა, დედამიწაზე არავის უბრძოლია.
ახლაც იბრძვის მძვინვარედ და ჩაგრული ერები
მოდის სხვადასხვა მხრიდან
სწრაფი გამოქანებით,
უკვე აღარ ტრიალებს შუღლი
წარსულ დროისა,
წავიდნენ და ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები.
შენ კი, გასწი, მეეტლევ, სწრაფად გადამატარე

ჩემთვის ეს არემარე უჩვევი და ულევი,
რაც არ უნდა გადამხდეს,
არ ვინაღვლებ არაფერს,
გასწი, ჩემო მეეტლევ, გასწი განწირულებით!

ვინ რა იცის, მრისხანე ბრძოლა განუკითხავი
სად მიიყვანს სადაურს და ან რომელ მხარეში,
ვის აღუთქვამს იმედის გაშლას ულამაზესად
და ვის გულს დაუკოდავს
ძრწოლითა და თარეშით?!
მაგრამ შენ კი, მეეტლევ,
გასწი, არ მსურს საზღვარი,
მე პრომეთეს ცეცხლსა და
ბრძოლის რისხვას დავეძებ,
და ამ ცეცხლის ძებნაში
სჯობს დაკარგვა უკვალოდ,
ვინემ მდორე ჭაობში უბრძოლველად დავეცე!..
და ნუღარ შემაბრკოლებ,
დე, აღსრულდეს წადილი,
მიწვევს ეს არემარე, უჩვევი და ულევი,
მაშ, ქარიშხლის, ბრძოლების
და ცეცხლების არეში
გასწი, ჩემო მეეტლევ, გასწი განწირულებით!..

1928

## მერცხალი

სად ხარ, მოდი, სად ჭიკჭიკებ,
მომენატრა შენი სახე,
ძველი ბუდე აივანზე -
ხელუხლებლად შეგინახე.
ფრთა გაშალე, ინავარდე,
ველ-მინდვრები ისევ ნახე,
შეგიძლია მშვიდად იყო,
არ დაგიგებს არვინ მახეს...
მაგრამ როცა შემოდგომა
დგება ბარში უზრუნველი,
ტყეს სიყვითლე დაეტყობა,
გასცვივდება ხეს ფურცელი,
ფოთლის ნაცვლად ბეღურები
გადმოხრიან ტიტველ რტოებს —
შენ წახვალ და ჩვენ აქ ვრჩებით
და დროებით მარტო გვტოვებ!
მაგრამ ჩვენი მეგობრობა
გადალახავს მძიმე ზღუდეს,
მოფრინდები ჩვენთან ისევ,
რადგან აქ გვაქვს შენი ბუდე!

1949

## მესხური ლაშქრული

დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში
რომ აღარ რეკენ მწუხრის ზარები,
არ გრიალებენ ზათქით ურდონი,
არ თარეშობენ არც ხაზარები.

დრომ დაივიწყა ძველი ჭრილობა
და ძველი მოთქმა ყრუ მრისხანების,
არ ნადგურდება მტრისგან ვენახი,
არ ითელება პურის ყანები.

მაგრამ წინ მიდგას მაინც ნანგრევნი
და ნამსხვრევები ძველი ზარების,
თითქოს ამდგარან შუბებით ხელში
ბექა და ბეშქენ ოპიზარები.

ძველი მხედრები, ძველი სწავლულნი
და გვეძახიან რუსთველის ენით:
ტყვედყოფნა გვეყო, აღმართეთ ხმალი
და დაიხსენით საფლავი ჩვენი!

ძველი ივერის ძველი აკვანი
და დიდი კერა ქართულ აზრისა,
სად წინათ ნინომ თავის ნაწნავით,
შეკრა პატარა ჯვარი ვაზისა.

და ამ ჩვენების შემდგომ მე ვხედავ,
თითქოს დაიძრენ ძველი ზარებიც,
კლარჯეთში ბრწყინავს ქართული დროშა
და შატბერდს ხატვენ ოპიზარები.

1949

## უთოვნია მთა და ბარი

უთოვნია მთა და ბარი,
ახლაც ქარი ებრძვის კარებს,
მე რომ გული მოგაბარე,
რად დამიშერ, ტურფავ, მწარედ!

ვბერდებით და ეს დროც გარბის,
სევდის დღენი უკან მოგვდევს;
თუ რომ მართლა არ გიყვარდი,
სად იყავი აქამომდე?

ნუთუ, ჩემო, ის გრძნობები,
ძლიერად რომ კრთოდენ წინათ,
დაივსენ და დაინავლენ,
სამუდამოდ მიეძინათ?!

უთოვნია მთა და ბარი,
ახლაც თოვს და ახლაც ჰბარდნის,
ტყვილად ცდილობ, ვერ უშველი
ბნელ უფსკრულში გადავარდნილს!

1928

## შენ რომ გულით გძულებოდე!

ღმერთმა იმ დღეს ნუ მომასწროს,
შენ რომ გულით გძულებოდე,
დამშორდე და ვეღარ განახო,
ახლოს არ მეგულებოდე!
რა ვქნა, შენი ხმა ნარნარი
მსურს ვერცხლივით წკრიალებდეს,
გიშრის ტევრი შენი თმისა
ჩემს ყურებთან შრიალებდეს.
შრიალებდეს, წკრიალებდეს
შენი ნორჩი სიყრმის ენა,
დაჭრილ გულის სანუგეშოდ,
დამწვარ გულის მოსალხენად!..

1928

## ცაცხვი

შუა ეზოში, მარანის ახლო
დგას გულამაყად ცაცხვი ხნიერი,
მოუსვენარი და მოშრიალე,
ტანმაღალი და ჩრდილგანიერი.

შუა ტოტებში, ვით ორბის ბუდე,
ჰკიდია დიდი, წკრიალა ზარი,
მის დაძახილზე მთელი სოფელი
დილაადრიან გამოდის გარედ.

ხოლო ფუტკარი ნექტარისათვის,
როცა ფრთებს გაშლის მსგავსად ქარისა,
მინდორს სტოვებს და მასთან მიფრინავს,
უხვად ამკრეფი ტკბილი ღალისა.

ყველა ხეს ჩვენში ის მირჩევნია
თავის უბადლო გაშლილი ჩრდილით,
მშობლიური და მუდამ ჩვენია
და როს ბავშვივით იღვიძებს დილით, —

დამათრობელს და ტკბილ სურნელებას
უხვად შეაფრქვევს ზაფხულის დილას,
მოფრინდებიან აქ ფრინველები
და მოყვებიან გალობას ტკბილად.

ის კი, ყურს უგდებს ამ ტკბილ ჟრიამულს
და უნდა ასე დიდხანს სტკბებოდეს,

ეგებებოდეს ყოველ განთიადს
და არასოდეს არა კვდებოდეს.

მაგრამ მარანში, როცა შენიშნავს
იგი საწნახელს პირამდე სავსეს,
მისივე გვარის ხისგან გამოთლილს,
თუ, ვით ეღვრება ბადაგი თავზე, —

თავს ამაყად გრძნობს, თითქოს ძარღვებში
მაჭრის ღვართქაფი სდის და თქრიალებს,
და ბებერ ტოტებს, ხავსმოკიდებულს,
ახალგაზრდულად შეაშრიალებს!

1951

## მაღაროს პრელუდიები

ძარღვიან მკლავით,
გაბრაზებით ებრძვით შავ ქედებს,
ებრძვით მიწის გულს,
მის ზედაპირს და მის სიგანეს,
და ამ ჭიდილში ვერ აშინებს
დაძაბულ გულ-მკერდს
მაღაროს რისხვა,
როცა ამტვრევთ მადანის ქანებს.
ურტყამთ წერაქვებს და შავი ქვის
სკდება ზოდები,
დაფშვნილი ქვები თევზებივით
გვირაბში ჰყრია
და მიდის იგი, ცხელ ღუმელში
ცეცხლის მოდებით,
აღარ აქვს ბოლო რონოდების
ხმაურს და გრიალს.

თხარეთ და თხარეთ,
გადათხარეთ მიწა ქართული,
სულ ამოიღეთ მიწის გულის სქელი ქანები,
ჩვენი ქვეყანა, დე, შეიქნეს გადახლართული
ლიანდაგებით, მავთულებით და მანქანებით!

მიდის, მოდის —
შავ რონოდის
წივილი და გიჟი ქროლა;
შავი ფერის ბუქი, მტვერი,
სადღაც ზვავის ჩამოწოლა!

და მრავალი მტკიცე ხელი,
ლურჯძარღვა და შეუხრელი,
სცემს წერაქვებს, თან სტეხს შავ ქვებს,
ემატება გვირაბს ხვრელი.
ტანს ძარღვიანს მური ჰფარავს
და მაღაროს შავბნელ კარავს
ებრძვის ყველა, სტეხენ ზოდებს,
და ავსებენ მით რონოდებს.
რომელსაც ქვა მიაქვს ქვაბში —
ის კი თითქოს სცურავს ქაფში,
შავ მაზუთით განაცხარი —
ქვებს, ქვებისკენ გზავნის ღარი.
თხარეთ და თხარეთ, გადათხარეთ
მიწა ქართული,
სულ ამოიღეთ მიწის გულის სქელი ქანები,
ჩვენი ქვეყანა, დე, შეიქნეს გადახლართული
ლიანდაგებით, მავთულებით და მანქანებით!

ყველაფერი მუქი, შავი:
სახე, ხელი, ტანი, თავი,
ქარხნის ჭერი, თვალთა უპე,
მანქანების მოსართავი.
ხან ღიღინი უდარდელი,
ხან ფიქრები გულსაკლავი,
და აქ მადანს ზედ ელევა
მუშის ღონე,
მუშის მკლავი.
არის ძლევის მრისხანების
რაღაც მკვეთრი საუბარი,
ოფლის ღვარი მონადენი
ეგლისება შავ ქვის კედლებს,
აქ მომავლის ბედის მჭედლებს,
ისევ ოფლის უყვარს ღვარი —
ოფლის ღვარი, ორთქლის ბუღი
და მრისხანე ნიაღვარი.

მილი ბოლავს და ცხელ ფოლადს
სცემს და ურტყამს ჩაქუჩს მუშა,
დინჯი სახით, კუნთჯანსაღი,
ვით სალი კლდე დგას პირქუშად;
მის გულშია დამარხული
ჯერ უტეხი რკინის ნება,
და მუდმივი ძალა მკვრივი,
ცეცხლის წვა და ცეცხლის გზნება.
ასეთია ეს მაღარო,
და შენ, მუშავ, კუნთმაგარო,
დაჰკა ხელი, შეუხრელი,
გაარღვიე სალი ქედი,
სადაც ბედის მრისხანება
მტკიცედ ჰკონავს ყველა გულებს.
და გვირაბის მხნე გმირები
თხრით ამ ხვრელში შავ ქვას ულევს.
თხარეთ და თხარეთ,
გადათხარეთ მიწა ქართული,
თქვენ, საყვირებო, იგრიალეთ
და თქვენც, დაფებო,
ძველი ცხოვრება დაარღვიეთ უკულმართული,
უბირ-ქოხებო, მანქანებო, და, სარდაფებო!

1924

## ვით ნიავის ნაზი ფრთები

ვით ნიავის ნაზი ფრთები
დაჰქრი ნელი-ნელა,
ღამეშიაც კი ანათებ,
როცა ირგვლივ ბნელა!

შენი სახე მივამსგავსე
ცაზე ცისარტყელას
და მას ვკითხე, ის სად არის,
ვინც ჯობია ყველას!

მითხრა: — მინდვრად წავიდაო,
ყვავილთ საკრეფელად,
წაველ, ვნახე გაშლილიყვნენ
ვარდ-ყვავილნი ველად.

მაგრამ იქაც ვერ გიპოვნე
ცელქი, ცუგრუმელა,
ახლა რა ვქნა, სად წავიდე
შენდა საძებნელად?!

1952

## პარიზის კომუნა

ნიაღვარების ზათქი და თქეში
მოასკდა რისხვად ბობოქარ პარიზს.
გადმოიშალა ღრუბლიან დღეში
მძლე ამბოხების ზათქი და ზარი.
იყო ხალისი და გაქანება
მოვარდნილ ძალთა გულისხმიერი
და ანთებული ავ-მრისხანებად
ქალაქთან ჯარით გაჩნდა ტიერი.
ხანძარი წვავდა სრა-სასახლეებს,
აქ, ბავშვებიც კი იყვნენ თავხედი.
ცეცხლით მოვარდნილ ანთებულ დღეებს
აეღო ხელში პარიზის ბედი.
სისხლმა დაიწყო ქუჩებში დენა,
და ჩანდა სახლთა ბეჭე მოგლეჯილი...
მეამბოხეთა დროშების ფენა,
ისე ღელავდა, როგორც ჯეჯილი.
ყვირიოდნენ, დაღლა ჩვენ არ გვატყვია,
ხმალს — ხმალი პირზე ზედ შევაგებოთ...
ჩვენ არ გვაშინებს ცეცხლი და ტყვია,
წინ, პარიზისკენ, ამხანაგებო!
ყველა ხედავდა ძველი იშლება,
ქუჩა გარდიქმნა ბარიკადებად,
ჰქუხდა ძლიერი აქარიშხლება,
ძმობა, კომუნა და თავდადება.
მაგრამ ამხედრდა წამების ჟამი,
უფრო ადუღდა სისხლის ღვარებიც —
და დაიდაღა გალიფეს შხამით

მკერდები მებრძოლ კომუნარების.
გილიოტინა რიგ-რიგზე მკიდა,
ამ დროს იხდიდა ზეიმს ვერსალი,
დიდ გამარჯვებით გახარებული,
ბედნიერებით ნაალერსალი.
დაეცნენ გმირნი, — შეწყდა მხნე ბრძოლა,
და აღარ ისმის მარსელიეზა.
მაგრამ მათი ხმა გადაისროლა
შრომის ლაშქარმა მთელ მსოფლიოზე.

1922

## ი მ ე დ ი

რომ დაეცე ამ ცხოვრების მძიმე ტვირთქვეშ
და სიკეთის გზაც დროებით შეგეშალოს,
დაგივიწყოს მეგობარმა, სულის სწორმა,
თვალზე ცრემლი არავინ არ შეგიმშრალოს, —
მაშინ მოდი, დაგიხვდები გულგაშლილი,
დაივიწყე ეგ ფიქრები საზიანო
და ცხოვრების მძიმე გზაზე დაღლილებმა
ჩვენი ფიქრი მართალ გრძნობებს ვაზიაროთ!
მაგრამ შემდეგ, თუ კვლავ ბედმა გაგამწაროს,
შეგახვედროს ვიშვიში და ცრემლით გლოვა,
რაც წავიდა, მას ნუ ტირი, ნუ ღვრი ცრემლებს,
თუ ბედს უნდა, სიყვარული ისევ მოვა!
ისევ მოვა, ბედს თუ უნდა სიხარული,
არ დარჩება სამუდამოდ გული ბნელოდ,
სულში — ვარდი, ბალში ნუში გაიშლება
და კვლავ ისევ აყვავდება მთა და მდელო!..

1954

## მოდი, ტურფავ!

ქ. ლ.

მოდი, ტურფავ, რას აყოვნებ,
მოაყენე ჩემკენ ნავი,
იქ ვარ, იმავ ტბის ნაპირას,
სად ასკილი ობლად ჰყვავის.

ტბა ბობოქრობს, ზვირთი — ზვირთს სცემს,
აქეთ მოსწი ჩემკენ ნავი,
ავმა ღელვამ ცხოვრებისამ.
არ წამართვას შენი თავი!

ნუთუ, ოდნავ არ გაშინებს
ქუხილი და ხშირი ელვა,
ქარი ფაფარაქოჩრილი
და ზვირთების შმაგი ღელვა!..

მეშინია მწარე ხვედრის,
რადგან ორთავ ჩვენი გული,
ჯერ კიდევა აბრეშუმის
ძაფით არის გადაბმული.

მაშ, უფრთხილდი ქარტეხილებს,
აქეთ მოსწი ჩემკენ ნავი,
ავმა ღელვამ ცხოვრებისამ
არ წამართვას შენი თავი!..

1956

## შოთა რუსთაველს

შორს წასულა, მაინც ისმის,
ეს რუსთველის ხმებია,
ხან ღრმად სჭრიან, ცეცხლსა ჰყრიან
და ხან იღიმებიან.
დათესილი ჩემს მხარეში
ოქროს თავთავები აქვს,
რაოდენი მღელვარება,
სიტკბოც რაოდენია, —
სიბრძნის ნერგზე ამოსულო,
დიდებულო გენია!

ვისი ძუძუ გიწოვია,
შუქი ვისგან გფენია,
რომელ ხის ძირს ჩამომჯდარხარ,
ან სად დაგისვენია,
ცხრა წყალს სვამდი ცხრა წყაროსას,
შარბათად რომ გდენია,
შენ, სამშობლოს სიტყვის ძალა
სიბრძნით დაგიდგენია;
მცირე ერის დიდო შვილო,
მისი ცრემლით გამოზრდილო,
დიდებულო გენია!

შენი სიტყვის ნაჭედობა
დამკვიდრებულ კლდის არის,
აზრი, სიბრძნე, სიმახვილე —
გატყორცნილი ისარი,

ნეტავ, ჩემს გულს ადნებოდეს
შენი კუბოს ფიცარი!
მაგრამ სად ხარ, რომელ კუთხეს,
ან სად დაგისვენია,
იქნებ ომშიც ლომგულობდი,
დაჭრილს სისხლიც გდენია? —
ხარ უკვდავი, სხივოსანი,
შენი ვეფხვისტყაოსანით —
დიდებულო გენია!..

1937

## შადრევანთან

ჩქეფს შადრევანი, საღამოა, ამოდის მთვარე,
ლამაზ კვიპაროსს აღუმართავს ამაყი ქედი;
ფანტასტიური სამოსელი ჩაუცვამს არეს,
ბაღის აუზში უცნაურად ბანაობს გედი.
მთვარე მიიწევს ცის თაღისკენ ზანტი ნაბიჯით,
თითქოს მთვრალია, მიდის ნელა, რომ არ დაეცეს,
მე კი ვზივარ აქ, და კაეშნის დამდაღველ იქვით
მწველი ნაღველის სამკურნალო საგანს დავეძებ.
გუშინ აქ, ამ დროს, შენ იყავი, ჩემო ძვირფასო,
უკრავდი თარს და უჩვეულო ხმაზეც მღეროდი;
მე კი გისმენდი და ამ გულის გრძნობიერ პასუხს
შენ ანთებული მოუთმენლად თურმე ელოდი.
ბოლოს დადუმდი და შენი ხმის შესწყდა წკრიალი,
თვალებში ცრემლი მოგერია, გადასდე თარი
და ამის შემდეგ დადგა ჩემთვის ოხერტიალი
წუთები მძიმე, დამდაღველი, წუთები მკვდარი.
გთხოვდი სიმღერას მუდარებით, მაგრამ ამაოდ,
ძვირფასო ჩემო, გულს დაასხი გესლი და შხამი...
რა მშვენიერი იყო ამ დროს ბაღის მარაო,
გულს აცოცხლებდა მთვარიანი სექტემბრის ღამე.
მაგრამ მე ვდუმდი, როგორც ღამე და სიმარტოვე,
ვეყრდნე ნაღველით გულდამწვარი აუზის ღობეს.
უცებ შენ წახველ და მე ასეთ დარდით დამტოვე,
როგორც არასდროს, ნაღვლიანი დამემშვიდობე.
ეს გუშინ იყო, უცნაური ლხენაც და გლოვაც,
ო, რა გულისწვით, იმ საღამოს ახლაც ვიგონებ!
ჩავიდა მთვარეც, ალბათ კიდევ აღარ ამოვა,
ვეღარ აღვადგენ სისხლის ლაქით წაშლილ სტრიქონებს.

1937

## გახსოვდეს, სამშობლოვ!

მრისხანე გრიგალი შფოთავს და ქანაობს,
და მაინც გულმშვიდად შრიალებს ტყე,
ძვირფასო სამშობლოვ, ჩემო ქვეყანაო,
შენი შვილები შენთან ვართ დღეს.
და მარად ვიქნებით, რომ ჩვენი ფიქრებით
შენ გემსახუროთ, მხოლოდ შენ ერთს;
თუ შენი ღირსი და საფერი ვიქნებით
შენს სიყვარულში ვიპოვით ბედს.
მაგრამ ვინაც მოკვდა მრისხანე ბრძოლებში —
ვერ გადაურჩა სიკვდილის ცელს,
ნუ დაივიწყებ შენც იმათ სახელებს,
ვინც შენი გულისთვის საფლავში წევს.
და ვისაც სიკვდილი გულს რისხვად დააჯდა,
როგორც ყორნები წაქცეულ ხეს,
მათ მხოლოდ ერთი-ღა სიცოცხლე გააჩნდათ
და ისიც შენთვის გასწირეს დღეს.
გახსოვდეს, სამშობლოვ, იმათი ფიქრები:
ნათელი აზრების გმირული ხმა,
მათ თავის სიცოცხლის დასცალეს ჭიქები
და ახლა სძინავთ საფლავში ღრმად.
ახლაც ის გრიგალი კვლავ შფოთავს, ქანაობს,
და მაინც გულმშვიდად შრიალებს ტყე,
ძვირფასო სამშობლოვ, დიდო ქვეყანაო,
შენი შვილები შენთან ვართ დღეს!...

1942

## ს ა ღ ა მ ო

მზე ჩავიდა, ნელი ბინდი
ეფინება სარკმლის მინებს,
მთვარე სადღაც, მთების იქით
ჩაწვება და ჩაიძინებს.

ნელი სიო, მინდვრის ყვავილთ
ათამაშებს, აბიბინებს,
მაგრამ ფიქრი, ჩემი ფიქრი
მაინც ფხიზლობს, არ იძინებს.

ის იგონებს, არ ივიწყებს
მამულისთვის მებრძოლ შვილებს,
ქვეყნის ხსნისთვის ბრძოლის ველზე
არწივივით მხარგაშლილებს.

ნუთუ, მათგან ყველა მოვა,
რომ არ ვკარგავთ აგრე იმედს,
კვლავ ჩაგვივლის რაინდულად,
შეგვხვდება და გაგვიღიმებს?

ვინც ვერ მოვა, იმან რა ქნას,
ვისაც გული გაუგმირეს?!
ველარ ხედავს მშობელ დედას —
ცხარე ცრემლით ანატირებს!

ეჰ, ვინ იცის, მწარე ხვედრი
უიღბლოთა ეძებს ბინებს;

მთვარე სადღაც მთების იქით
ჩაწვება და ჩაიძინებს.

მაგრამ სიო, მინდვრის ყვავილთ
ათამაშებს, აბიბინებს,
ის და ჩემი მძიმე ფიქრი
მუდამ ფხიზლობს, არ იძინებს...

1944

## ჭეთევან ირემაძეს

იმ დროს შორს ვიყავ, მე შენი ხსოვნა
ვერ დავაფასე ღირსების გვარად.
ვერ მიგაცილე და შენს საფლავზე
ვერ დავაფრქვიე ცრემლები ღვარად!
ვერც მაშინ, როცა წუთები მძიმე
შენ ფეხაკრეფით შემოგეპარა, —
ვერ მოგაშველეთ ჩვენი იმედი,
ვერ აღვუდექით სიკვდილს წინ ფარად!

მაგრამ, მე ვიგრძენ იდუმალ ფიქრში,
რომ სადღაც დიდი, შორი ნათელი
უკვდავებაზე ცივი და წმინდა
და შუქძლიერი ერთი სანთელი —
უცებ რომ ჩაქრა, — მაგრამ ციმციმი
არ შეწყვეტილა იმ გლოვის ხმაში,
სახე იცვალა, გაფრინდა ჩვენგან
და კვლავ აენთო ვარსკვლავად ცაში!..

1945

## მზე

მახლობელ მთიდან მზე გადმოდგება,
როგორც ირემი დაფეთებული;
ხეს შეაშრება ცვარის წვეთები —
მარგალიტებად დაკიდებული.

ჯერ სწრაფად მიდის, მაგრამ შუადღე
როცა მოაღწევს ცეცხლივით მწველი,
წამს შეჩერდება ცის კაბადონზე,
ვით ღრმა ფიქრის წინ შედგება ბრძენი.

შემდეგ კი, დახრის თავს სამხრეთისკენ,
რომ ცეცხლში დამწვარ მიწას აამოს,
აიკრავს რიდეს, იხრება ზღვისკენ
და შავგვრემანი დგება საღამო.

მას უძნელდება წავიდეს ჩვენგან,
თუნდაც დროებით, სხვა ქვეყანაში;
სადაც სინათლეს, ხალხის სიმართლეს
უსამართლობით ახრჩობენ ზღვაში.

მაგრამ რას იზამს — უკანასკნელად
სტყორცნა სხივები მთაში ღიღილოს;
გამოგვეთხოვა, ჩაეშვა ზღვაში,
რომ ხვალ იმ მთიდან კვლავ გაგვიღიმოს.

1946

## წერილი ახალგაზრდობისადმი

ძმებო სიყრმისავ,
        უკეთესნო მეგობართ შორის,
ამხანაგებო, წარსულის და
        მომავალ დღეთა,
ჩვენ მოწყენა და სიხარული
        ბრძოლის და შრომის,
დღეს დუღაბივით
        გვაერთებს ერთად!
და რაც ვთქვი ზევით, მეგობრებო,
        დარჩეს კვლავ ისე,
სხვა მხრივ მწადია
        ახლა გავხსნა გულის ნადები,
თუ როგორ უნდა
        ავამღეროთ ხალხის ცხოვრება
და მომავალი
        განთიადები!
ჩვენ გვინდა ტვირთი
        ახალ ცხოვრების
ერთი დაკვრით რომ
        ავსწიოთ ზევით,
და თუ, ხან ამდროს ზოგ ჩვენთაგანს
        ღალატობს ღონე —
მიზნისკენ მაინც ყველა ერთად
        მივდივართ ძლევით!
გულს ნუ გაიტეხთ,
        მაინც ძმებო, ძმებო სიყრმისავ,
თუ ამ ტვირთის ქვეშ

იკეცება ფოლადის წელი;
სამაგიეროდ ვინ გამოვა,
რომ თქვას გაბედვით,
რომ ეს სურვილი
არ არის წრფელი!
როგორ წახდება იგი საქმე,
რომელიც ღარიბს,
აძლევს სიცოცხლის
იმედს გულისას,
და თუ წახდება, —
როდის უნდა გაშალოს სხივი
მზემ დიდებულმა
დაჩაგრულისა?
მაგრამ ჰე, ძმებო,
უკეთესნო მეგობართ შორის,
ამხანაგებო, წარსულის და
მომავალ დღეთა,
დღეს შრომის ცაზე
ამოსული მზე დიდებული
უკანასკნელი ბრძოლისათვის
თავს გვიყრის ერთად.
წინაპრებისაც მოვიგონოთ
ხსოვნა კეთილი,
მათ მოიხადეს წმინდა ვალი
კარგად თუ ავად,
და ჩვენ პატივი ვსცეთ
გულწრფელად მდუმარ აკლდამებს.
თუნდ ძველი ყოფის
აღსანიშნავად.
მაშინ თუ, ძმებო,
საუკუნე ას წელს იკრებდა,
დღეს იგი უკვე
ათი წელია,
და, ყველა ტვირთის

ზიდვა ასეთი სწრაფ დინებაში
რაღა თქმა უნდა
უფრო ძნელია,
მაგრამ ჩვენ იმედს
ნუ შებორკავს სულმოკლეობა,
მომავლის წინსვლას —
აჩქარებულ ხმების ბგერანი
და შორს არ არის იგი წამი,
როდესაც ყველგან
აღვირს აიწყვეტს
ცეცხლის მერანი.
ძმებო სიყრმისავ, უკეთესნო
მეგობართ შორის,
ამხანაგებო, წარსულის და
მომავალ დღეთა,
დღეს შრომის ცაზე
ამოსული მზე დიდებული
უკანასკნელი ბრძოლებისთვის
თავს გვიყრის ერთად!

1929

## შენ თუ გგონია

შენ თუ გგონია, ბრძოლები ცხარე
ისე გაივლის, როგორც ეს ნისლი
და სამუდამოდ წარიხოცება
ასე გულუხვად დაღვრილი სისხლი!
ანდა, იხილავ ომების შემდეგ
გულის საამოდ ამ დროშებს დახრილს;
ბრძოლის ველიდან მებრძოლთა მიერ,
ქარქაშში ფუჭად ჩაგებულ მახვილს?
მაშინ მე გეტყვი — შენ სიბნელე ხარ,
ავად დამხშობი ბრწყინვალე დღისა
და ჩვენ, რაც ძალა გვექნება მაშინ,
აღარ დავზოგავთ ვიჭექებთ მყისვე.
დღეს, როცა მშრომელთ ხმა სიმკაცრისა
უსაშინლესი წარღვნის ფერია,
ნუთუ, ბორტო გულო კაცისავ,
შენთვის ის ხმებიც არაფერია?
რა დაამარცხებს ამ უდრეკ ბრძოლას,
ან, ამ მუხებს რა გრიგალი მოთხრის?!
ვართ ჩაწყობილნი, როგორც ვაზნები
რევოლუციის პოეტი ოთხი.
და თუ დაეცა მშრომელთა ღონე,
გულსაც ნაღველი გაეკრა ლიბრი; —
მაშინ სიცოცხლე არამც ყოფილა,
ჩვენი ლექსებიც — ჯანდაბას იქით!..

1928

## შუადღე ქარხანაში

გრიალი ჩქარი და ფრთა მედგარი —
სიცოცხლის ქნარი ღვედებს ათრთოლებს,
მანქანის რგოლებს სდის ორთქლის ღვარი
და ზლაზნით ქარი შორს მიაქროლებს.

შრომაში თვრება მრავალი ხელი,
გულისთქმა ცხელი წვავს ქარხნის მილებს;
არ ვგრძნობთ ტკივილებს და სუნთქვა ნელი,
ოფლიან მკერდის ნაოჭს აგრილებს.

ქურა ცეცხლს ათოვს საერთო ხმაურს,
თან მანქანებიც ტრიალებს სწრაფი;
სიცოცხლის ძაფი ჰკრეფს ხმებს უცნაურს
და რისხვის ხმაურს სცემს შრომის დაფი.

ვიშ, რა კარგია! თან ლურჯ ხალათებს
შრომის სუფევის ასველებს ზეთი.
ყოფა ასეთი გულს აფოლადებს —
მწველ აღმაფრენის ცხოველი წვეთი!

ქშინავს მოტორი და ქარხნის გული
ცეცხლით მოცული არ გრძნობს ობლობას;
არ არის მტრობა და სიხარულით
აქ, მანქანებიც გვიცხადებს ძმობას.

ჩვენ როდი გვხიბლავს სხვა მეგობარი,
აი, ეს არი, რაც დღეს გულს უნდა,
ცივ მანქანების ზათქი და ზარი
შრომის უბნიდან მოისმის მუდამ.

ჩვენ რკინის ძმები სულ გვეყვარება,
მათი მსგავსება არ გვინდა სხვაზე.
შეწყობილ ცვლაზე დუღს მღელვარება, —
შეკრული სალტით ბორბლების ხმაზე.

შრომის ჯარი კი, ოფლში მკერდს ადნობს,
თან გრძნობებს ათბობს, ცეცხლის ქარია;
შრომის არია იპყრობს ცის ტატნობს
და გვიხარია, ო, გვიხარია!..

1922

## აკაკი

მწამს მაპატიებ, დიდო პოეტო,
რომ ჩემი ლექსით გიხსენებ ობლად,
ირგვლივ გულს ცეცხლის ალი მოედო
ძარღვებში სისხლის ამოსაშრობად.
მაგრამ ეს ცეცხლი გაივლის მალე,
და ეს ტკივილიც არა მარადი;
შენ — შუქის მფრქვევი იყავი ძალა —
ერისთვის ფარი და მუზარადი!
გვახსოვს სიკვდილი, ეს იყო მეხი —
რომლის გავარდნით იკივლა მიწამ,
და შენი ხალხი, გულგანატეხი,
ავმა ტკივილმა გამოაღვიძა!
და იმის შემდეგ ყველანი გლოვენ,
ცაზე ღრუბლებიც ჰკიდია ყირა;
შენ ჩამოგვშორდი და დაგვიტოვე
ტკბილჰანგოვანი წკრიალა ლირა!
ლირა, რომელმაც მძლედ დაიქუხა,
მისი ხმა დღესაც ნაპირებს მოხევს
და აღმაფრენის სხივებს ჰფენს უხვად
უბირ-სარდაფებს, კარვებს და ქოხებს.
მჯერა, საფლავში ძვლებს უხარია,
რომ ხალხს დღეს მხარში უდგას ბელადი,
რომ ქედმოხრილნი აღარ არიან
ჟამით, ციხით და სახრჩობელათი.
რომ სულ დაინგრა მყვლეფელთა ჯარის
დარბაზი, ოქროს ნაჭედი ზოდი,
და ამ ცხოვრების მხნე მოდარაჯეთ,

ახლა თვით ხალხის ტალღა გამოდიხ.
ახალმა ძველი ფეხქვეშ გათელა
და უკუნეთში გადაასახლა;
თუმცა, ძვირფასო, შენი ნათელა,
ჩვენს გულს სიტურფით იტაცებს ახლაც!
წინ მეხატება ბაში-აჩუკი,
რომელსაც გმირის ღონე აჩუქე,
და თუ პირიმზე და პირიმთვარე
სრულყოფის ვნებით მღელვარ-მშფოთვარე
დაჩრდილა წინსვლამ, ცრემლმა დაობა —
სამაგიეროდ ჩვენი თაობა
ამზადებს ურყევ, მტკიცე ნიადაგს.
ვინ იცის, იქნებ ცხოვრების ტრიალს
გზა აუღია სულსხვანაირი,
თავს ვეღარ აღწევს ცეცხლის ხეტიალს
რომი, ტოკიო და ვერც ქაირი...
აქ კი, სამშობლოს რკინის ბჭეები
შემოირკალა დღეს უფრო მაგრად,
ცხადია, გვახსოვს ავი დღეები,
ბევრი ბრწყინვალე ვარსკვლავი ჩაქრა!
მაგრამ, ძვირფასო, რას გვიზამს ჭირი,
ახალ ცხოვრებით აქაფებულებს;
გაუძლეთ დოღში ფეხმარჯვე ჯირითს,
მოვირჩენთ სევდით დასეტყვილ გულებს.
მწამს, მაპატიებ, დიდო პოეტო,
რომ ჩემი ლექსით გიხსენებ ობლად,
მაგრამ გულს ცეცხლის ალი მოედო,
ძარღვებში სისხლის ამოსაშრობად!..

1936

## მეზარე

დაჰკა, დაჰკა, მტკიცედ ხელი
შემოჰკარი ზარებს!
ძლიერი ხმა მოგუგუნე,
მწამს მტრებს შეაზარებს.
შეაზარებს ძველ ქვეყანას,
ძველ ადათს, ძველ რწმენას,
ცეცხლის ისრით ჩაჰკლავს გულში
უხალისო თმენას.
დაჰკარ, გრძნობით ანთებული,
დაჰკარ მტკიცედ-მეთქი,
ვით გრიგალი ბრაზით სავსე,
კლდიდან მონახეთქი!
ზღვა ბობოქრობს,
ზვირთი, ზვირთს სცემს,
ტალღა ებრძვის ტალღებს,
ქარიშხალი ხან ჩუსტად სტვენს,
ხან ხმას აღიმაღლებს.
შენც, მეზარევ, გადასძახე,
სიტყვა მტკიცე რწმენით,
ბრძოლის ცეცხლი გვაგრძნობინე
ზარის ბოხი ენით!
გვაგრძნობინე გულის დარდი.
სულის სიხალისე,
რომ შვილები მომავლისა —
ჩვენც ავენთოთ მყისვე!..

1922

## ვერ დაგივიწყებ

ვერ დაგივიწყებ, ჩემო კეთილო,
ვერ დაგივიწყებს გრძნობები მთვრალი;
სანამ ეს გული მტკიცედ ძგერს მკერდში,
სანამ ეს გული არ არის მკვდარი!
მაგრამ, ხომ წახდა ჩვენი თვისება,
რაც იყო, მორჩა, დაიდო ზღვარი
და ახლა რაგინდ მეფერო ტკბილად,
ხომ, სულერთია, მე თვით ვარ მკვდარი!
ვხედავ, თარს უკრავ, ჩემო კეთილო,
რაღა დროსია ლხენა და თარი,
გული მოჰკალი და ახლა გინდა,
რომ გამაცოცხლო დიდი ხნის მკვდარი!
რაღა დროსია, ჩემო კეთილო,
რაღა დროსია, ლამაზი ხალი,
შენი მზეც მოკვდა და ჩემი მთვარეც,
აღარც ერთია ახლა ცოცხალი!..

1928

## ფიქრი თანამედროვეობაზე

ეს არც სიტყვაა ნაღვლიან გულის
და არც მყვირალი თერგის დინება,
უბრალო არის, როგორც მზე დილის,
ოქროსფრად მინდვრებს რომ ეფინება.
გულს აფოლადებს... მისი ალერსით
ფუჭი ოცნება მიიმსხვრ-მოიმსხვრა —
და მეც ვუცქერი მშობელ ქვეყანას
საღი თვალებით ახალ დროისა.
შენდება მხარე, მშვენდება არე,
ის აღარ არის, რაც იყო გუშინ,
ათრთოლებული და დაძაბული
შეჯიბრებულან გრძნობები გულში.
ჩვენ ხომ, შემთხვევით არავინ გვიყვარს,
და არც შემთხვევით გვძულს ჩვენ არავინ,
ნათელი არის ყველა ზრახვების
კილო კეთილიც და შემპარავიც!
რადგან გრძნობებსაც სჭირია ხედნა,
ვით იორღა ცხენს — ჭედვა ნალებით,
რომ არ ვუცქერდეთ წინაპართ საქმეს,
ჩვენ მუდამ შიშით და მოკრძალებით.
რისთვის? სათქმელი განა ჩვენ არ გვაქვს?
რატომ? განა ჩვენ დავკარგეთ გზები?
ხომ ხედავთ, როგორ გუზგუზებს ქურა
და ოფლის ტბებად დაღვრილა ზღვები!
დღეს ყველგან ხმაა, ყველგან ქმედობა,
არსად დუმილი კაეშნით სავსე,
თვით გრიგალები ქარიშხალისა
მიაქროლებენ ხომალდებს ზღვაზე.
და რა აზრი აქვს აღვუდგეთ წინსვლას,

როცა ჩვენ სურვილს არც კი აქვს ბოლო,
წინ, ისევ მედგრად, ჩვენ ამ ბრძოლაში,
მძიმე ბორკილებს დავკარგავთ მხოლოდ!
ვინც რა უნდა სთქვას, არაფერია,
დე, ქვეყნის საქმე წავიდეს წაღმა.
ჩვენ იმედს გვაძლევს აღმშენებლობით
აფეთქებული კლდეები ნაღმად.
დაფშვნილ-დათხრილი მიდამოები,
რკინის მარაგი, ქვათა ზვინები
და უზარმაზარ აუზებიდან
ნავთი რომ მოჩქეფს სწრაფი დინებით!..
ნუ შეშინდები, გაჰკარ, გაჰკვესე.
ჩვენ რას ვუყურებთ წინაპართ წესებს?
დღეს ძველებურად არ ვიბრძვით თოფით, —
არამედ კლასის მძლე ნებისყოფით.
ახლა გვჭირია ლომების ღონე,
უნდა ავსწიოთ ცხოვრების დონე,
და არე მწირი, ხრიოკ-სერება, —
უნდა ვაქციოთ ბედნიერებად!..
ყოველ სუნთქვაზე, ყოველ დარტყმაზე
უნდა მოჩქეფდეს ლანქერი ღვრია —
მეტი სისწრაფე და მოძრაობა,
მეტი სიცოცხლე და ენერგია!..
რას იმუქრებით! დროა შეწყვიტოთ
მავნე ძახილი ჰაის და ჰოის,
რაც არ იყვიროთ, არ შეჩერდება
აღმშენებლობა ახალი დროის!
ღვიძავს დეპოებს, სახელოსნოებს,
ღვიძავს ჩაქუჩებს, ფოლადის ხელებს
და ორთქლმავალიც რკინებთან ერთად
გაჰკივის მწარედ გადათხრილ ველებს:
სად ძახილია შრომის მძლეობის,
სად ცხოვრებაა ძალღონით სავსე,
ხშირი შეხვედრა და განშორება,
ისევ შეხვედრა ზავთიან გზაზე...

1928

## ჩემს სოფელს

ქალაქის ხმაურს ვეღარ გავუძელ,
მე მენატრება ისევ სოფელი;
სად იმედები ყვაოდა უწინ,
სად მზეც ხარობდა ცხოველმყოფელი!
იქ მე მინახავს კარგი დღეები,
სიყრმის დღეები ახლაც ტკბილია;
მდინარეებზე ხის ხიდეები,
სოფლის სიწყნარე და იდილია.
გაშლილი მდელო, როგორც ზეწარი,
სერებიც კოხტა, ხშირი და მწვანე
და რა სჯობს იმას, როცა ჰქრის ქარი,
როცა აზვირთებს სიმინდის ყანებს!
ვიშ, რა კარგია! ნეტავ მე ახლა
სიყრმის დღეებზე ლექსები ვწერო,
მარტოდ ეს რად ღირს, ზიხარ და უცქერ,
სამხრეთისკენ რომ მიცურავს წერო!

1927

## საქართველო

მზე ისევ ცხელი სხივებით გვიცქერს,
მუშის მკლავები — კორძის ფერებით
და ჩვენ ამ ქვეყნის შენებას ვიწყებთ
სხვა სიყვარულით, სხვა ამღერებით.
ჩვენ გვიყვარს ბრძოლა, მშრომელი ხალხი,
სულ მუდამ თოვლით მოსილი მთები;
სად ყურთასმენას ხალისით ალხენს
შრომის სუფევის ამაყი ხმები.
სადაც ტირილის ნაცვლად გაისმის
ალმოდებული ჰიმნი ბგერების;
მოპოვებული ბრძოლით და სისხლით
შრომა, უფლება და სიმღერები.
მოგვაქვს თვით მშრომელთ საკეთილდღეოდ;
ვეჰედთ იმედების საძირკვლად ფოლადს,
რომ ხალხის წინსვლას არ ჰქონდეს ბოლო!

და ამ დუღილში შორს გაექანე,
სამშობლო მხარეო სისხლიან დაღით.
შენ ხარ უკვდავი ბრძოლის ქვეყანა,
სამყაროს გულზე გაშლილი ბაღი.
და მე ვოცნებობ ამ გაშლილ ბაღში
უნდა ვკონავდეთ ქარხნების კონებს,
გვქონდეს სიცოცხლის გაქანებაში
სხვა ხალხთა სწორი ძალა და ღონე!
დროა, რომ ჩაკვდეს მივარდნილ მთაში
სალამური და პიპინი სტვირის,

დე, ჩვენი ქვეყნის ტკბილ სიმღერაში
ისმოდეს ქარხნის მკვეთრი საყვირი!
სამშობლო მხარევ, აღსდექი ზეზე,
აღსდექ მუხლმაგრად, წინ გაქანებით!
დე, ჩვენი სისხლი ადუღდეს მზეზე,
ქვაბში, — მაზუთი და მანქანები!

ვიყავით ძველი ტომის და ჯიშის,
მაგრამ მომავალ ახალ ეპოქებს —
ჩვენ არასოდეს არ ვუცქერთ შიშით,
ჩვენ ამ ბრძოლებშიც არ გვყავს მეტოქე.
და ასე მოგვაქვს მძლე სიხარული,
დროშები ჩვენი თვით მზისფერია
და ამ დროშებზე ჩვენ გვიწერია:
— ბრძოლა, სიცოცხლე და სიყვარული!

1927

## გაზაფხული

წავიდა მწვავე სუსხი და ყინვა,
უკვე არსად ჩანს ზამთრის საბანი
და სურნელოვან გადაშლილ მინდვრად
ჰყვავის ვარდი და იასამანი.
ნეტამც, სულ აგრე იყვავილებდეს
და ჰქროდეს მისი სურნელის ქარი;
გაზაფხულს ჩემი სალამი ძმური,
უკვე წავიდა ზამთარი მწარე.

1924

## წვიმა

რა უცნაური დღე იყო გუშინ,
იდგა ალმური ცხელი და მძიმე,
უცებ ატირდა ღრუბელი ქუში
და წამოვიდა ჟუჟუნა წვიმა.
შემდეგ გადიღო, თუმცა აქა-იქ
ჩანდა ღრუბელი თითო-ოროლა;
მაინც ამღერდა ხალისით მეხრე,
ამღერდა უცებ ცაში ტოროლაც.

1928

## სიამე მყუდრო მარტოობაში

ვწევარ, სიჩუმე მარტოობაში
ვპოვე, ცოტახნით ნუგეში ჩემი,
მივჩერებივარ ჭერს ჩემს ოთახში,
ვით მონუსხული ფრინველი თვლემით.
და ასე მშვიდი ისევ ჩემს ფიქრთან
ვრჩები ობლად, ვით არწივი მთაში
და ვგრძნობ, რომ რაღაც სიამე ჩუმი
არის ამ მყუდრო მარტოობაში.
დუმილი ირგვლივ, მხოლოდ საათის
დადის ისარი სიდინჯის მჩენი,
ო, რა ნელია მისი ტაატი
და რა სწრაფია ცხოვრება ჩვენი!..

1939

## რიცა

ჯერ არ მენახა, მაგრამ, როს ვნახე
მისი ლივლივი შორიდან ვიცან,
იდგა მთებს შორის და მისი სახე
მეუბნებოდა: — მე ვარო რიცა.
მთა მოხატული, ცაც მოზეიმე
და ამ ბუნების შეწყობილ ხმაში
ისმოდა ერთი საგალობელი —
მხრებგაშლილ ხეთა ფოთლების ტაში.
მზე მის წიაღში ღრუბლებს ხატავდა
და ზედ ნიავიც ტკბილად მღეროდა.
ვიდექი აქ და, ამ ტბის თვალებით
მარადისობა შემომცქეროდა.
შემომცქეროდა მთები ზვიადი
და არ ისმოდა ჩქამი ფეხისა,
ეფერებოდა ტბის ტალღებს ჩუმად
ერთი პატარა ტოტი ვერხვისა.
და მეც ხალისით აღტაცებული
დიდხანს ვუცქერდი ამ სურათს ასე,
ტბის ზედაპირზე ტალღების შრიალს —
შეუჩერებელ ცხოვრების ბგაზე.

1948

## ფანტასტიური პაემანი

ჩვენ ახლა ვზივართ მდინარის პირად,
ძვირფასო ჩემო, ნაღვლიან ფიქრით
და ავ-წარსულზე ვბაასობთ ხშირად,
რომელიც ახლა ლანდივით მიჰქრის.
შენ მეუბნები: „გაქვავდა გული,
თითქო არც მაქვსო, ასე მგონია“.
მეც გეთანხმები, ჩემო კეთილო,
ის შენ არასდროს არა გქონია!
შენ მეუბნები: „სიცოცხლეევ ჩემო,
ჩემს გარდა ვერვინ ვერ დაგაფასებს“.
მე კი არ მჯერა, და ეს ტყუილი —
ოხ, რომ იცოდე, როგორ მაბრაზებს!
ვხედავ შენ სტირი გულაჩუყებით,
როგორც დაჭრილი ტყეში ფირალი.
მაგრამ ჯობს, ჩემო, ამოიწმინდო
თვალები ლიბრი და ნატირალი.
განა არ იცი? ეს ჩემი გულიც
რომ არა ნაკლებ გაბასრულია!
მაგრამ — მე შენზე ჩავკალი გრძნობა
და სიყვარულიც მოკვდა სრულიად.
წავიდეთ დროა, რაღას ვუცადოთ.
ფიქრები თავში იშლება შავად,
საკმაო არის ჩვენი ბაასი, —
დუხჭირ წარსულის აღსანიშნავად!..

1927

## სალამო გახმაროში

ვდგევარ მთაზე, ნაპრალები ხვეული
მდუმარებენ ქვევით ნისლშეფრქვეული.
ნელი სიო აბრეშუმის ფოთლებში
თითქოს ცელქობს ოდნავ ხმამილეული.

ვით ორბის ფრთა, ხავერდივით საღამო
გაწოლილა ტრამალებში საამოდ,
ტყის შრიალი და ფრინველთა ჟრიალი
გულს ედება სამკურნალო მალამოდ.

დგას სიმშვიდე, როგორც ტბა პირმცინარი,
თითქოს იყოს იგი ბავშვი მძინარი,
მოდის მთვარე და წინ ხვდება შრიალა —
მოსახვევად მხრებგაშლილი ჩინარი...

1952

## ტირიფი სოხუმის ბაღში

აზრდილი, ლონთქოშა, მუდამ მოქანავე,
მის გვერდით შადრევნის ჩხრიალებს რუ,
გადაშლილ ღეროებს ტბაში აბანავებს, —
რომელიც ჩუმია და თითქოს ყრუ.

ქალწულის თმებივით დახრილი შტოები
თითქოს ეხვევიან ერთმანეთს ტყედ;
დგას იგი ამაყად, სულ განმარტოებით,
მწვანედ შებურვილი ყოველი დღე.

მის ირგვლივ მიდამო თითქოს ედემია,
როცა აქ მოვდივარ, აღარ ვგრძნობ შხამს, —
შადრევნის ჩხრიალში ხშირად მიგემია,
რომ ღამე ყვავილებს აპკურებს ნამს!

ვდგავარ აქ უსიტყვოდ, თან გრძნობა მერევა,
ულევი განცდების ბობოქრობს ზღვა,
უწინ აქ სხვა იდგა, და ახლა მე ვდგავარ,
გაივლის ეს დრო და, მეც შემცვლის სხვა.

მხოლოდ ეს ტირიფი, მუდამ მოქანავე
შრიალებს, ირხევა ცისმარე დღე,
გადაშლილ ღეროებს ტბაში აბანავებს
და ირგვლივ გულმშვიდად შრიალებს ტყე.

1954

## სიჭაბუკის დღეებო

სიჭაბუკის დღეებო,
ნორჩო ალვის ხეებო,
სად ხართ ახლა, მითხარით,
სიყრმის ტკბილო დღეებო!
როცა თქვენი თვალების
ანთებული ალები —
სავსე იყო ხალისით,
სავსე მზის ბრწყინვალებით!
ნუთუ, ცეცხლი სიყრმისა
მწვავე, თან სახალისო
შეეწირა გრიგალებს,
ჩაჰქრა სამარადისოდ?!
ახლა, ვის გულს ახარებთ,
ვის ფიქრებთან აღამებთ,
ვის უზიხართ, ვის ატკბობთ,
დრო-ჟამს ვისთან ატარებთ?
ნუთუ, შვება გაფრინდა,
ცაში მტრედის გუნდებად,
კვლავ აღარ გვინახულებს
აღარ დაგვიბრუნდება:
ჩვენი ძველი ხალისი,
ნაპერწკალი თვალისა,
გულს ჩამწვდომი ნათელი
გავსებული მთვარისა!
სიჭაბუკის დღეებო,
ნორჩო ალვის ხეებო,
სად ხართ, სადა, ხმა გამეთ,
სიყრმის ტკბილო დღეებო!

1955

## წერილი დედას

ძალიან ვწუხვარ, ხშირად ბოღმა ტრიალებს გულში,
აღარ მოხერხდა და ამდენხანს ერთიც ვერ გნახე.
მანდ, ალბათ, ისევ ყვავილობენ: მსხალი და ნუში,
ვაშლის ხეებზეც მხრებგაშლილად ხარობს ვენახი.
დიდი ხანია, დიახ, დიდი, მაგრამ შენ ესეც
გულს ნუ გაგიტეხს, ჯობს გაერთო კოხტა სერებით,
ალბათ, ოდესმე, დღეს თუ არა, ხვალ ან ოდესმე
მოვალ და ისევ ძველებურად მოგეფერები!
მე ახლაც მახსოვს, მახსოვს, თუ შენ, როგორ გიყვარდა
ეზო და მისი კოინდარი სუფთა და რბილი,
ანკარა წყარო ხავერდოვან გურიანთისა
და ასწლოვანი კოპიტების ფოთლების ჩრდილი.
დიახ, გიყვარდა, მაგრამ ერთხელ მეც დავბრუნდები,
რომ ვინახულო ჩემი ეზო, წიფლის სერები,
მრავალ ბრძოლებით მოქანცული და შებერტყილი
მოვალ და ისევ გულმხურვალედ მოგეფერები!
შენ ყურს დაუგდებ, გეამება ჩემი ჩურჩული
და უფრო მეტად საალერსო სიტყვები მწველი,
დიდი ხანია, რაც დავშორდი მშობლიურ კერას —
და არ გვინახავს ერთმანეთი რამდენი წელი!
ახლაც მარტო ხარ, მარტოდ-მარტო, მივიწყებული,
მაგრამ გულს მაინც ნუ გაგიტეხს დაცინვა ბედის,
ხარ ასე შენთვის უბოროტო და უწყინარი,
როგორც ყოველთვის გულმართალი ძვირფასო დედი!
მაშ, ერთხელ კიდევ მომაწვდინე შენი ნუგეში,
რომ აღარ მკლავდეს უიმედო სევდის ჩქერები,
თუ ცოცხალი ვარ, დავბრუნდები, ალბათ, ოდესმე,
და ძველებური სიგულწრფელით მოგეფერები!

1931

## საღამო ჩემს სოფელში

მოსაღამოვდა, ფრინველებმაც ბინა მონახეს,
შეწყდა ყღურტული, ჩადგა ქარი, ცაზე ბურია,
იქით აჭარა, ძველი სამცხე ნაპარტახალი,
აქეთ კი მთები, უძველესი დიოსკურია.

გავყურებ არეს და უსაზღვრო მყუდროებაში
ვამჩნევ, რომ ირგვლივ ცვარდაყრილი მინდვრები ბზინავს,
ხან შეძახილი წამოსცდება მთვლემარე ფრინველს
და შემდეგ მასაც ხის ფოთლებში გულმშვიდად სძინავს.

1928

## ჩემს ფანჯარასთან

როცა ღამდება, ჩემს ფანჯარასთან
ჩაივლის კრძალვით ახალი მთვარე,
მას უკან მისდევს ერთი ვარსკვლავი
და არ აშორებს ციმციმით თვალებს.

ვარსკვლავთა შორის იგია მხოლოდ
მუდამ მასთან რომ დადის ეულად,
დარსა და ავდარს იტანს წვალებით
და მის ტრფობაში ჩამოლეულა.

მისდევს მგზნებარე თავდავიწყებით,
მაგრამ მის ტანჯვას არ უჩანს ბოლო,
და თავს იმითი თუ ინუგეშებს, —
რომ სხვებზე უფრო ახლო დგას მსოლოდ.

და ასე ხშირად საღამოს პირად,
ჩემს ფანჯარასთან ჩაივლის მთვარე,
მას უკან მისდევს ერთი ვარსკვლავი
და არ აშორებს ციმციმით თვალებს.

1948

## ზაჰესი

აი აქ, ძველად, წარმართულ დროში
იდგა არმაზი — ციშუბის მტერი,
შემდეგ კი, ქრისტეს მედროშე ქალმა
აღმართა ჯვარი და მონასტერი.
სამაგიეროდ წინსვლის დღეებმა
გაწმინდეს გზები უსპეტაკესი
და ძველ დროების შესაჯიბრებლად
ჩვენმა ეპოქამ დადგა ზაჰესი.
იდიდე ზაჰეს! ჩვენ გვიხარია,
რომ აღიმართე კლდესავით უცებ
და მტკვარს მრისხანე ნიაღვარიანს
გაბოროტებულ ჭიდილში უძლებ.
ახლა ზეცამაც რომ დაიჩემოს
დარტყმა მეხისა ლოდების მწველი,
შენ მაინც მტკიცედ იქნები, ჩემო,
როგორც უდრეკი და უძლეველი.
და თუ უეცრად დაშრება მტკვარი,
ცა ავი გვალვით შემოგაწვება —
გავიჭრით გულმკერდს ბასრი ლახვარით
და ჩვენს საკუთარ სისხლს მოგაწოვებთ.
მაგრამ, ძვირფასო, მტკვრის ხმატკბილ დუდუნს
მჯერა აჰყვები ხმაატკბილებით
და აბოლდები, თითქოს შენც თუთუნს,
სწევდე გულხარბად თუჯის მილებით.
რა იქნებოდა, რომ ამაყ თბილისს
გვერდში არ ედგე რკინის თაღებით
და არ გმოსავდეს ამაყად შლილი

შრომის და ბრძოლის ბაირაღები!
მაშინ ეს გული და ეს ქვეყანა
არ იქნებოდნენ წინსვლის მაყრები,
და მეც ოხერი ერთი პოეტი
თქვი რა ჯანდაბით ვიამაყებდი!
იდიდე ზაჰეს! ფოლადის გულზე
ვეღარ გიკბენენ საღამოები,
და როცა ბორკილს აიწყვეტ უცებ, —
ჩემს ოთახშიაც წამს შემოირბენ.
თუმცა, შენთვის მანდ უბედურ პოეტს
ერთი ქვაც კი არ მომიტანია,
მაგრამ მე გიწერ სამაგიეროდ
ლექსს წელმაგარს და მაღალტანიანს.

II

დიდება, ქართლო! ეგ შენი მიწა
მაინც კარგია, დაულამავი,
მაგრამ ეს გულში რა ჩამოგიწვა
მტკვრის და არაგვის გადამყლაპავი!
უბედურება ხომ არ გეწვია,
თუ ეს თვით ბედის მოვარდნა არის?
მხნედ იყურება ფხვიერი მიწა,
დინამიტებით გადანათხარი.
მე ვგონებ, გახსოვს მამულიშვილი
აქ, შენს მიწას რომ კუნთით ფოლავდა
და მტრებისაგან გულგაჩეხილი
სამშობლოს მაინც ერტყა რგოლადა.
დღეს კი, ამ ადგილს მზიური ცეცხლი
უცებ აენთო და აბოლავდა
და ჩვენი ერის სადიდებელად
ტივების ადგილს იჭერს ფოლადი.
არ გიხარია? მე კი, ძვირფასო,
ვხედავ შენს თვალში რომ ცეცხლი ჰკვესავს
და ჩემგან იგი მოელის პასუხს,

როცა გრიგალის მოესმის კვნესა.
მაგრამ რა ვუყოთ, ყოველმა ხანამ
იცის მსხვერპლი და სისხლის ღვარები.
და საქართველოც ბედნიერია
ზაჰესის ცეცხლის აელვარებით.
დიდება, ქართლო! ახლა, რომ ყვირის
შენს მიდამოში ქვა და კირია,
მე მჯერა, ასე უწინდელ დროში
თვით სააკაძეს არ უყვირია.
ახლა, რომ ცეცხლი ედება ჭალებს,
გზებს ანათებს და დრკება მთანია,
მე მჯერა, უწინ ასეთი ცეცხლი
თვით პრომეთეს არ მოუტანია.
ისევ მტკიცეა ეს ჯებირები
მკლავით, გალავნით და საძირებით
და ნიაღვარმა ტურბინებს ფხიანს
გული ოდნავად ვერ შეურხია,
რადგან აქ ცეცხლი დაუშრეტელი
არის ჯებირთა მკვრივი კედელი.

III

გაქებ აღგზნებით და ჩემი ქნარიც
გულში ელვარე გრძნობებს ალაგებს
და მეც გიცქერი დაუდეგარი,
როგორც პოეტი და მოქალაქე.
გიმღერი ზაჰეს, არა იმიტომ,
რომ დაადუღე ქვა და კირია
და არც იმიტომ, რომ ახალშობილ
ბავშვს ალერსი და ნანა სჭირია.
არამედ გიმღერ: ამ მკრთალ ცხოვრებას
შენ გაისროლი ღონივრად ისე,
რომ ყდა ფოლადის ტანსაბურველით
გამოეცვალოს ქვეყანას მყისვე.

მე ვუმღერ ახალ ცხოვრების დუღილს,
მე ვუმღერ ქებას, მაჯას ძარღვიანს,
რომელმაც მცხეთის ქვიანი მიწა
გასჭრა წერაქვით და გაარღვია.
და თუ ამ შრომამ მკლავი ფოლადი
დაღალა ოდნავ, დასწვა კანია, —
გული ძგერს მაინც ძალუმად, თითქო
ჯაჭვაწყვეტილი ამირანია.
იდიდე ზაჰეს! ახლა რომ გიწერ
ქებითი ლექსს და ვადიდებ შრომას, —
წავლენ დღენი და გული სამიწე
ქების მაგივრად მოგიძღვნის წყრომას.
რადგან თბილისის კრიალა ცაზე,
სად ახლა ფრინავს გვრიტი და გნოლი, —
შენი მოვარდნის შემდეგ ამ ეთერს
შემურავს შავად ქარხნების ბოლი.
ესეც არ იყოს, გრიალა მტკვარი,
ახლა რომ ჩივის ცივი დუდუნით,
რაც რომ გადახდა სულ შენით არი
წელგადაჭრილი, მკერდგაგუდული.
და ამან ახლა, ვით დაივიწყოს
ესოდენ ავი საქმე გრძნეული,
როცა ერთი დღის განმავლობაში
გყავდა სტომაქში გამომწყვდეული.

IV

დიდება ზაჰეს, საქართველოში
შენ აამღერე ქვა და ლოდია
და ახალ ყოფის ერთგულ მედროშედ
ახლა ესენიც მტკიცედ მოდიან.
მჯერა, რომ გესმის ჩემი ქებანი,
ისე როგორც მე, — შენი ყვირილი
და მოხეთქილი ხალხის ვნებანი
შენშიაც უნდა გადმოიღვაროს.
რადგან ეპოქა ლახტის და ხმალის

წარსულისაკენ იცვლის ნაბიჯებს
და მის მაგივრად ელექტროს ძალა
შემოქმედების მოედანს იჭერს..
წყვდიადო, გული რად არ გიტირის?
გელევა დღენი, შავბნელო ღამევ!
შენ მიდიხარ და ჩვენც გეთხოვებით,
უკანასკნელად იმღერე რამე!
მაგრამ, მე ვხედავ ამიერიდან
შენი სულისთქმა განწირულია,
რადგან სინათლე არ მოერიდა
და ჩაჰკლა შავი ძალა სრულიად.
რით განუგეშო, ჩემო კეთილო,
შენთვის ქებაც კი დამიშურია
და ეს იმიტომ, რომ ჩემ ქვეყანას
მეტი ქმედობის ძალა სწყურია.
თუმცა დარდები გულს სევდას უშენს
არ ვშიშობ მაინც იმედიანი,
რადგან ზაჰესის ელვარე გულში
მე საქართველოს ვხედავ მზიანად.
იდიდე ზაჰეს! ახლა გრიგალიც
რომ ამოვარდეს ქვის გამკვნეტელი —
მე მჯერა ისევ იქნება მტკიცედ
შენი წიბო და შენი კედელი.
და თუ მოიჭრა მძლე ნიაღვარი
და შეებრძოლა გვირაბს კირიანს —
შენ დაიყვირებ ისე ძლიერად,
როგორც არავის არ უყვირია!..
და თუ აივსე ტკბილი ალერსით
და ჩვენც მივიღეთ დაიმედება,
შენ აამღერებ უმხურვალესად,
ბრძოლას, წინსვლას და შემოქმედებას.
იდიდე ზაჰეს! დამწველ გრაგანად
უნდა ავარდეს შენი ალერსი;
დე, ამ ჩემ ლექსმაც უთხრას ქვეყანას,
რომ საქართველომ დადგა ზაჰესი!..

1926

# *1919 — 1920*

## თუ განგებამ ინება

თუ ბუნებამ ინება
ცრემლი დაგედინება,
ვერ მიაღწევ შენს მიზანს,
ისე ჩაგეძინება.
შორს წაგიღებს, წაგლეკავს
ქვეყნის მკაცრი დინება,
ჩაეფლობი ჭაობში,
სულიც გაგეყინება.
მაგრამ დრომ თუ ინება
შენი აღორძინება, —
შენი ბედის მდინარე
წაღმა იწყებს დინებას,
გულში ვარდ-ყვავილები
იწყებს აბიბინებას,
ამ დროს მტერი ვერაგი,
როგორ შეგერკინება?

1919

## ნაღვლიანია სული ჩემი

ნაღვლიანია სული ჩემი, ნაღვლიანია;
ჩქარა, ძვირფასო, ერთხელ კიდევ იმღერე რამე!
დე, შენი ხმების მგზნებარებამ სული გამითბოს,
გადამავიწყოს თუნდ დროებით მტანჯველი ღამე!
თუ სამუდამოდ არ მომკვდარა გულში მიზანი,
ის გააცოცხლებს მიძინებულ მთვლემარე იმედს
და შემარიგებს ამ ცხოვრებას, თან მომწმენდს თვალზე
ურწმუნოების ცრემლს, რომ ასე ჩამოდის მძიმედ.
ნუ, ნუ მომასმენ გესლიან ხმას ცივსა და ბოროტს,
რაც რომ ახლა ვარ, ამის მეტად რა დამაღონებს,
მე შენ არა გთხოვ ტკბილ სიმღერებს, იმას გთხოვ მხოლოდ —
შენ სიმღერაში ჩემი ტანჯვის ხმა გამაგონე!

1919

## ბედი ცბიერი

გვეთამაშება ბედი ცბიერი,
ცვალებადია მისი დინება,
ხან თუ გვამხნევებს ხმალმობიერი,
ხან უმოწყალოდ შეგვერკინება.
ბედს — უბედობა მოსდევს ფარხმალით,
დაცემას — კიდევ აღორძინება
და ამდროს ვილაც, შორს ჩვენგან მდგარი
გვიყურებს, ტკბება და ეცინება.

1919

## ნეტავ ბეწვი იყო

ნეტავ, ბეწვი იყო ჩემი ყურთბალიშის,
ან მიხაკის ვარდი, რომ შეგიგრძნო მარად.
შენი გულისპირი და თვალები გიშრის,
სულში მეშლებოდეს მსუბუქ ყალამქარად.

იცი, რომ მიყვარხარ და ყელს მიჭერ ულოს,
განა, ეგ წამება არაფერი არი?
თუ რომ გული გულობს, ჩემო თაიგულო,
მაინც არ დამტოვებ, რომ მიხილო მკვდარი!

როგორ არ მიყვარდეს წამწამები გიშრის,
როცა გრძნობა თვითონ სუყველაფერს ჰპოვებს,
ვფიქრობ, ძლიერ გინდა, მაგრამ ვიღაც გიშლის,
თორემ არ მოჰკლავდი შენ საყვარელ პოეტს!

მოდი ჩემთან, კეთილ სიტყვას მაინც გეტყვი,
ანდა, სულ გამშორდი, ნუ ინებებ ხლებას.
დე, შევიქნე მსხვერპლი ავ წყრომათა სეტყვის,
მე აგრე მწადია, შენ რა გენაღვლება?!

მაგრამ ვიცი, ტურფავ, ამას არ ინებებ,
დავცალოთ ეგ სიტკბო, როგორც ორთომელი;
შენ ნორჩი ხარ კიდევ, შენ ჯერ კიდევ ელი
ამ ცხოვრების ყველა გახელებულ ვნებებს!

თორემ ეგ დრო-ჟამი, ვით მსუბუქი ქარი
გაიქროლებს უცებ და დარჩები მარტო;

რას გიშველის დიბა, ძოწი, ყალამქარი,
ჩემო სიყმის ერთავ, გულის ანდამატო!

შენ, ვით დარი დარობ, მზესთან შესადარო,
ხშირად იყავ შირა და ყოველთვის — მაზა.
გულის ფართო არე — აკოკრილი თარო
სტავრასავით გშვენის ტანის მოსახაზად!..

1919.

## გუშინ ისე მიხაროდა

გუშინ, ისე მიხაროდა უცნაური ხმები,
რომ მე ვიგრძენ სრულყოფა და ძალა უკვდავების,
თითქო ბედმაც გადმომხედა უზრუნველი თვალით,
რომელიც ჩემს თბილ იმედებს უცქეროდა მწყრალი.
ვთქვი: რას ვაქნევ აქ წამიერ სოფლის დღეებს მწარეს!
დაღონებულ მყუდროებას, მივიწყებულ მხარეს,
ვთქვი და წაველ, ჩამოვშორდი სოფელს, კარს და დედას,
და ჩემს კუთხის, ვგონებ ახლა მზესაც აღარ ვხედავ!
აღარ ვიცი ამის შემდეგ, სად წამიყვანს ბედი!
ჭკნება გული, აღარ ცურავს ტბაზე თეთრი გედი,
ხოლო ზევით მკრთალ ტატნობის ლურჯი ცის კამარა —
მოღუშული, მოწყენილი იცქირება მარად.
ვგრძნობ, რომ ახლა სხვა წუთია და სხვა ბედისწერა,
კაეშანიც სევდის დაშნით სათნო გულმკერდს სერავს.
და ეს ხმებიც აღშფოთების, ისე მძაფრად ჰქუხან,
რომ უთუოდ დაეცემა ეს ამაყი მუხაც.
ეხ, ძვირფასო, აღარ მესმის სანუგეშო ხმები,
თითქო გული დაიტვირთა ლოდებით და ქვებით,
თითქოს, ის დროც აღარ არის, რაც რომ იყო წინად,
გატყდა გული შემოქმედი, გატყდა როგორც რკინა.
მე დღეს აღარ მიხარია, მე დღეს აღარ ვთვრები,
აღმაფრენა, სიხარული, ლაღ იმედის ფრთები —
ძირს დაეშვა მოტეხილი, როგორც ბზის ფოთოლი;
იწვის გემი საყვარელი, ადის შავი ბოლი.

1919

## ყარაჩოხელი

რას დაეძებ, მე ჩემს დარდებს მივყვები,
გული ჩემი ეგზომ მაინც დიდია,
რომ მიბრიყვო, — მე არ დაგებრიყვები,
ეგ ხელები თოკით კი არ მკიდია!
მე მახარებს კოხტა სუფრა მწვანეზე,
სად დუდუკის ხმა გაისმის შეწყობით,
ჩრდილში სუფრა, ხოლო ირგვლივ ცხარე მზე —
ამგვარ ყოფას მე ყოველთვის ვეწყობი!
თუმცა დარდი, — ხადაც წავალ თან დამდევს,
და ეს თავი ასე გაჭაღარავდა,
მაგრამ სხეულს იგი რად დაღარავდა,
წუთისოფლის მგზავრი ჩემთვის მივდივარ.
არ გეგონოთ ვაჭარი, ან მოხელე,
ვარ მცინარე, იშვიათად მკვნესავი,
ტლუ ბიჭი ვარ, — ვინმე ყარაჩოხელი,
ძვალმაგარი და მქუხარე კლდესავით.
ვხედავ, თითქო იმედს გული აკვესებს,
მაგრამ სევდა თავს კვლავ ზევით აღერებს;
ჭიანურო, იტირე და მაკვნესე,
შენც, მეზურნევ, ნაღვლიანად დაჰმღერე!

ღვინოსა სვამ ხან ჯამით, ხან ჩაფებით,
მსურს, ნუ მიშლით, მინდა შიგ ჩავიძირო!
და როს გულის მოდუნდება ძაფები,
წავალ სადმე, რომ ჩემს ბედზე ვიტირო.
ტანჯვა გულში კიდევ არ დამცხრომია,
და ამით ვარ მე მარადის მწუხარე,

მაგრამ დარდებს თავი არ დავუხარე
და ჩვენ შორის კვლავ სასტიკი ომია.
კაეშანი გულს ჯავშანად მოება,
იგი დღესაც არ მაქვს გამოცნობილი;
ღვინის სმით ნუ გეცოდები, ძმობილო,
ღვინოში ვცვლი სოფლის ამაოებას.
არ ვარ მეხრე, არც მთესველი ვყოფილვარ,
რაც ვარ, ის ვარ, ვერ გამომცვლის დროება.
სიცოცხლეა ყველაფერის საწყისი,
  სიკვდილია მისი დაბოლოება.
და რად მინდა გავყვე გულის ნაკვესებს,
სევდა მაინც თავს კვლავ ზევით აღერებს,
ჭიანურო, იტირე და მაკვნესე,
შენც, მეზურნევ, ნაღვლიანად დაჰმღერე!

ქალო, ვგრძნობ, რომ შენი ეშხი მახელებს,
ახლაც ვუცქერ მაგ თვალებს და მაგ ხელებს.
დაგიპყრია იალბუზი მშვენებით,
კულულებიც ისე შარიშურობენ,
რომ გულისთქმას ჩემს ისინიც ყურობენ
ნაზი სმენით, კრძალვით და მოსვენებით.
ეს გრძნობა კი ისევ შენსკენ მაქეზებს,
რა კარგი ხარ, ბრილიანტის საყურევ!
შენ ხარ მზისა, — თუ მზე შენს სინათლეზე,
თუ ორთავეს სხვა სხივები დაგყურებთ?!
ნუ მიმატებ, ჩემიც მყოფნის დარდები,
ედემიდან მოტანილო ალვის ხევ,
ნუ ისურვებ, თორემ გულს მთლად დამიხევ,
ხელი რო მკრა, — წყალში გადავარდები!
გული ჩემი შენზე იმედს აკვესებს,
მაგრამ სევდა თავს კვლავ ზევით აღერებს,
ჭიანურო, იტირე და მაკვნესე,
შენც, მეზურნევ, ნაღვლიანად დაჰმღერე!

მე, სამხრეთის მზეზე შეყვარებული,
გულალალი, ძარღვში სისხლი ქართული

მიყვარს, მაშინ ყარაჩოხელთ კრებული,
როს კრივშია მადიანად გართული.
იქ ირევა ერთმანეთში ყოველი,
ჭიქა, სუფრა და ლანგარზე ბოთლები;
ჩვენ ამ ქვეყნად ლხინისათვის მოველით,
ტოლუმბაშო, გაგვამხნევე ლოთები!
მუშტიკრივი, შფოთი ჩაუქრობელი,
ზურნის ჭიჭყინს ამკობს ჰარი-ჰარალე,
შხამი არის ჩვენთვის წუთისოფელი —
ჩვენც სოფლისთვის — მარტოოდენ ზარალი.
ისევ ღვინო, ეს ძარღვების მალამო,
ისევ ლხინი, გულის გაალმასებით,
მეგობრებო, გამოსცალეთ თასები,
თქვენც, მინდვრებო, ჩემი გულის სალამი!
უკვე შეწყდა, გული ცეცხლს არ აკვესებს,
კაეშანი თავს კვლავ ზევით აღერებს,
ჭიანურო, იტირე და მაკვნესე,
შენც, მეზურნევ, ნაღვლიანად დაჰმღერე!

ვიცი კარგად, ბოლო ცუდი მომელის,
ბედნიერი არის მხოლოდ ნიავი,
მას ვერ სწვდება სოფლის ცოდვა-სიავე,
არის მკვეთრი და ფრთებდაუდგრომელი.
მისგან ვიცი ქვეყნის საშინელება, —
რომ ის ზღვაა უძირო და მღელვარე,
დროულია სიყვარულით ცხელება,
მეგობრობაც ანგარებით ელვარებს.
და დავდივარ ჩემი თავის ამარა,
ეგ მაზალოც შეკრულია წებოთი,
ამოთხრილი ვერსად ვპოვე სამარე,
თორემ ვფიცავ, შიგ დროზე ჩავწვებოდი!
უკვე შეწყდა, გული ცეცხლს არ აკვესებს,
ეგ ვარამი თავს კვლავ ზევით აღერებს,
ჭიანურო, იტირე და მაკვნესე,
შენც, მეზურნევ, ნაღვლიანად დაჰმღერე!..

 1919

## ბელურები

მზე ამოდის მკრთალ სხივების მოდუნებით
ზეცა მიწას უხალისოდ ეხურება.
მაინც ტკბილად ყღურტულობენ ჩიტუნები,
მოკვდავთ სევდა რა იციან ბეღურებმა!

რა იციან, რომ არსებობს ჩუმი იქვი
ჩვენს სულში რომ მარადიულ ტანჯვას ბადებს,
მათ ახარებთ ბაღში ტოტებშლილი ფიქვი
და პეპლები ყვავილებზე მოფარფატე.

ყღურტულებენ, ჟრიალებენ ტრამალებში
და ვიშვიშით ჩვენი მათ არ ეყურებათ,
ხიდან — ხეზე დაფრინავენ გამალებით,
მოკვდავთ სევდა რა იციან ბეღურებმა!

1919

## ლურჯი ფრინველი

სად არის ახლა ის ადგილი, ზურმუხტად შლილი,
სადაც მსუბუქად თამაშობდა ნიავი გრილი,
ლურჯი ფრინველი ადრე დილით მოფრინდებოდა,
მოფრინდებოდა, რომ დაეწყო გალობა ტკბილი.

იქ მე ყოველდღე დავდიოდი უზაკველ რწმენით,
ბალახებს შორის ვსაუბრობდი უცნაურ ენით,
ლურჯი ფრინველის ხმა მესმოდა იმედიანი
და მიდიოდა ასე ჩემი ოცნების დღენი.

მრავალტოტება დიდი მუხა მშვიდი და წყნარი,
იყო იქ მუდამ მოშრიალე, ამაყად მდგარი
და როცა მის ქვეშ ვიჯექი მე ფიქრებით სავსე —
ნაღველს ფანტავდა ცელქი რხევით საამო ქარი.

იჭვის და ფიქრის სამყაროდან გამოქცეული
იქ დაეძებდა მოსვენებას დაღლილი სული.
განმარტოებულს უნუგეშოდ მდიოდა ცრემლი
და ამ ცრემლებში უხალისოდ დნებოდა გული.

მაგრამ, სად არის ახლა თუნდაც ცრემლი წყლიანი,
ან ის ნუგეში, სად ოცნება ჩნდებოდა ტკბილი,

განმორებული მარტოობა კაეშნიანი
და ასწლოვანი დიდი მუხის შტოების ჩრდილი!

ლურჯი ფრინველიც აღარ გალობს, ხმა საკვირველი
მაინც სად არის, სად გაფრინდა ლურჯი ფრინველი,
აღარც ის მდელო, აღარც ნამი მინდვრად ციალებს,
ის დიდი მუხაც ჩუმად დგას და აღარ შრიალებს,
თითქოს სატანამ გულმოსულმა შეკრა კამარა,
და ქვეყანაზე ყველაფერი დაასამარა!..

1920

## მთაწმინდის მთიდან

მთაწმინდის მთიდან გადმოვყურებ ბობოქარ თბილისს,
ნაირფერებით იხატება ერის მშვენება,
ხან აღმაფრენის, ხან ნაღველის ალმური მივლის,
აქაც ვერ ვპოვე მე სიმშვიდე და მოსვენება.

თვალწინ იშლება ღვაწლმოსილი ერის ცხოვრება,
ძველ ნანგრევთ შორის ახლაც ელავს გმირული სული,
მწვავე წყლულები ყუჩდებიან, ვარამიც ქრება
და კვლავ ირთვება მხარე ჩემი, ვით თაიგული.

აგერ, სულ ქვევით, მიმოხვევით მდინარე მტკვარი
მართალი მოწმე წარსულ წელთა დუხჭირ დროისა,
დინჯად მოღელავს, მოდუდუნებს ტკბილხმა, ნარნარი, ،
ცდილობს გაგლიჯოს კალაპოტი სივიწროვისა.

თავისუფალი ბუნებაა ლაჟვარდისფერი,
ფართო ქუჩები შეუპყრია სიცოცხლის ძალას,
ქარხნების შავ ბოლს უერთდება ქალაქის მტვერი
და ეფინება ნისლისფერად დიდუბის ჭალას.

მიყვარს მთაწმინდა, მიყვარს მისი საღამო წყნარი,
ჟამს მარტოობის აქ ისვენებს დაღლილი სული,
აქ არის ყველა, — წამს იღება მომავლის კარი
და ვხედავ, როგორ ძალუმად ფეთქს სამშობლოს გული!..

1920

## ტუსაღი

მთვლემარე ფიქრით დაჩრდილული
გაყურებს არეს,
ქურდულად აწვდის მკრთალ სინათლეს
ვიწრო სარკმელი,
კეთილ აზრისთვის ბორკილები
ფეხთ შეუყარეს
და გაუხადეს საცხოვრებლად
ოთხი კედელი.

მის წინ იშლება ტანჯვა
აწმყოს და წარსულისა,
გარემოცული ბნელ წყვდიადით,
შავი ძალებით,
გამკურნებელი არავინ ყავს
მძიმე წყლულისა;
შებორკილია ყოველ მხრიდან
რკინის რკალებით.

იყო დრო, როცა მშრომელ მხარეს
დამწვარს, გაძარცვულს
უქადაგებდა ცეცხლის სიტყვით
ძმობას, ერთობას,
მოუწოდებდა ხალხს

ძველ ქვეყნის დანგრევისაკენ
და უნერგავდა გულს მომავლის
სიყვარულს, ტრფობას.

დღეს კი, სიბნელით გარემოცულს
და გულმწუხარეს,
ქურდულად აწვდის
მკრთალ სინათლეს ვიწრო სარკმელი,
მაგრამ მომავლის
საიმედო რწმენა ახარებს:
ბნელ ღამეს შეცვლის
ნეტარების გზით დღე ნათელი.

1920

## ბრძოლის ტალღებში

მომავალი გვიდგას წინ სხივმფინარე, დიადი,
ბაირახტრად მოუძღვის ბრწყინვალე განთიადი.

მხოლოდ ჩვენ კი, ხმელეთის ბრძოლის ცეცხლში აღზრდილებს,
ბრძოლა გვითბობს მკერდში გულს და ვიყუჩებთ ტკივილებს.

არ გაქრება ეს ნდომა, არ გაქრება ეს რწმენა,
მებრძოლ გმირს არ უხდება მონობაში მოთმენა!

და ასე წინ, გმირებო, შევეგებოთ მომავალს,
თუ დავეცით ბრძოლაში — მით მოვიხდით ჩვენ დიდ ვალს.

მოპირქუშდი, აკოკრდი, მზეო გაზაფხულისავ!
აბიბინდი, ატოკდი, ბედო დაჩაგრულისავ!

დავანთხიოთ გულიდან შხამი შენაქუჩები,
სიცოცხლისა ელფერით მოვრთოთ ფართე ქუჩები.

ვიშ! აი, იქ სართულში როიალი გრიალებს,
ქვემოთ სნეულ-ეული სიმშილისგან ხრიალებს.

ისმის მტვრიან ქოხებში მაშვრალთ მწარე გოდება,
დასასრული როდი აქვს დღითი-დღე მეორდება:

მწუხარება, ვაება, კვნესა, ტანჯვა და წყრომა.
ზევით კი, სასახლეში ზეიმი და განცხრომა.

დავანთხიოთ გულიდან შხამი შენაქუჩები,
სიცოცხლისა ელფერით მოვრთოთ ფართე ქუჩები.

1920

## სიყვარულის გალადა

სიყვარულს გულით ეფიცებოდნენ,
ლამაზ სიტყვებში დნებოდა სული,
ყრმობის დრო იყო და ამ ყრმობაში
მცირე მიზეზით გაცივდა გული.
და როს ერთმანეთს ხვდებიან ახლა —
თავს არიდებენ ცივ-მოკრძალებით,
აღარ ღელავენ მათი გულები,
აღარ ელავენ მათი თვალები.

იყო დრო, როცა ერთმანეთისთვის
გულცივ-გულძვირი აგრე არ იყვნენ,
წამს ვერ დათმობდნენ და არც შეეძლოთ
ერთად ყოფნით რომ არ დამტკბარიყვნენ.
მაგრამ ახლა, რომ მის სახეს ხედავს,
თავს ეკითხება: ნუთუ, ის არი?
და თუ ის არი, იმ თვალებიდან,
რატომ არ ხვდება მის გულს ისარი?
და ახლა, როგორც ალვისხე ორი,

როცა მათ არხევს შრიალით ქარი,
შორით უცქერენ ერთმანეთს ცივად,
მინდვრის სხვადასხვა ადგილას მდგარნი, —
აგრე ისინიც, თითქო უცნობნი,
დაშორებულნი ამ ვრცელ არეში —
შეურიგებლად, ვით მომდურავნი
ჩავლენ უსიტყვოდ ცივ სამარეში.

## ღამე სიმინდის სარჩევში

-

რა ღამეა, ცა კაშკაშებს,
კალოს პირად ხარობს გული,
ღრუბლებს შორის, ვით მწევარი
გარბის მთვარე გათანგული.
იქ სიმღერა, აქ კოცონი
ხშირ-ხშირი და მოჯარული,
ურმები და ავტოები,
თან ყანები მოჩალული.
აგერ, ღველფის პირად ჰყრია
კვახები და ხაპერები;
სიმინდების ჭყინტი ტარო
ნასათუთებ-ნაფერები, —
იწვებიან ცეცხლის პირად,
იბრაწება ბწკარზე-ბწკარი,
კოცონების მიბნედილ ცეცხლს
აძლიერებს შუქი მთვარის.
ხოლო აქეთ, ნალიასთან
სპილოსფეხა ბოკონები
დგანან ბურჯად, იქვე ახლო
ვაქები და გოგონები —
წვავენ სიმინდს, თან ჭიქებიც
მაჭრით სავსე იცლებიან,
სიმინდს წვავენ, მაგრამ ტრფობით
თვითონ უფრო იწვებიან.
მეც აქა ვარ, ჩემს ტრფიალთან
ფუჩეჩ-ფუჩეჩ ვისვრი ტაროს,
შემწვარ სიმინდს შევექცევით,

რომ მით უფრო გავიხაროთ.
ხან ის მაწვდის, ხან კიდევ მე,
თავზე გვათოვს შუქი მთვარის,
ერთი ბწკარი მან ჩაკბიჩა
და მე კიდევ ორი ბწკარი.
მან კვლავ სცადა, მომაწოდა,
მეც ჩამოვფშვენ ერთი ღარი,
მარცვლებს წითლად შებრაწულებს
ასდიოდათ ორთქლის ღვარი.
ის სულ ახლო მოდის ჩემთან,
ახლო მიდგა გულთან გული;
სურვილს უფრო მიმატებდა
ცქერა ოდნავ გაბედული.
მისი ჩუმი, ხავერდის ხმა,
ჩემს ყურებთან ღუღუნებდა,
ურმებზე კი, გოდრების ხმა
ქუხილივით გუგუნებდა.
ბოლოს, როცა რჩევას მოვრჩით —
გაიმართა განდაგანა,
ზოგი წინ და ზოგი უკან
ზოგიც კალოს თავზე დგანან;
და როდესაც მთვარე ოდნავ
კუზიან მთას მიეფარა,
ჩემი ტოლი, გულის სწორი —
ფეხაკრეფით მომეპარა, —
მომაწოდა კიდევ ერთხელ
ჭყინტი ტაროს ერთი ბწკარი,
ბწკარს მე პირი ავარიდე
და მის ტუჩებს დავეკარი.
ის მყის შედგა, მეც გავქვავდი,
თითქოს გული გაიყინა,
თრთოდენ, ქუხილს აპირებდენ
ბაგეები პაწაწინა.
— ოხ, ეს რა ჰქენ?! — ეს თქვა მხოლოდ
და იმ წუთში კალო, ყანა,

მიატოვა გულმოსულმა
და შინისკენ გაექანა.
ო, წავიდა, მე კი დავრჩი
იქვე, ობლად, გულმოკლული,
აღარც მთვარე ანათებდა,
აღარც მკერდში ძგერდა გული.
და მეგონა ეს ქვეყანა
იყო ჩემთვის დაკარგული.
ასე მიდის, რაც რომ ჩვენთვის
ქვეყანაზე ძვირად ფასობს,
ზოგს საწუთრო ტკბილად ალხენს
და ზოგს გულში მახვილს ასობს.
და მას შემდეგ სულის სწორი
საავდარო ღრუბლის დარად
გაპირქუშდა, და იმ დღიდან
ჩამომშორდა, გამეყარა.
აღარ მხვდება, პირს მარიდებს,
აიყარა ჩემზე გული,
გამწყრალია, შორისშორს ვართ,
ბავშვებივით გაბუტულნი.
ის კუშტად დგას, ქედს არც მე ვხრი,
თუმც ორივეს გვინდა ხლება,
ისე მტკიცედ, ისე მძაფრად
ზვირთი-ზვირთს რომ შეეხლება.
და ჰა, ახლაც იმ ფიქრში ვარ,
მაგონდება მე ის ღამე,
როცა მთვარე ანათებდა
ვარსკვლავებით მოკამკამე.
კოცონები, ღამის თევა
და ღიმილი სავსე მთვარის,
შებრაწული სიმინდები
და შავი ზღვის ნიავქარი.
ის კი, თითქოს ახლაც აქ დგას,
არ ერევა არცერთ წყვილებს,
დგას ჩუმად და შემწვარ სიმინდს

თითქოს ახლაც ანაწილებს.
და სურს მოსვლა, მომეახლოს,
მეც გავუღო გულის კარი,
განვაახლოთ ძველებურად
ჩვენი ტკბილი საუბარი.
მაგრამ გული, ეს ოხერი,
სიამაყით სავსე გული,
განა ვისმეს შეიცოდებს?
მან არ იცის სიბრალული!
და დავშორდით ასე უღვთოდ
ჩვენ ერთმანეთს ორი გული,
როგორც ცუდად შეკონილი
ყვავილების თაიგული...

## გამოთხოვების სამძიმარი

საღამო იყო მშვენიერი. გავსილი მთვარე
ზედ დანათოდა არემარეს
მკრთალი ნათელით —
და ლამაზ ჩრდილში ხვევდა
ჩუმად მძინარე მხარეს
გედისებურად მოღერილი
მთაწმინდის ყელი.
ამ დროს, ჩვენ ორნი,
მხოლოდ ორნი, ვიყავით ერთად,
სრულიად მარტო,
განშორებით ვისხედით ქუშად, —
შენ მდიდარი და ჩემზე უფრო
ცნობილი ქალი,
მე კი, უბრალო,
ჩუქურთმების მკვეთელი მუშა.
მიყვარდი ძლიერ,
მაგრამ ვგრძნობდი იყო სიშორე
მე და შენს შორის,
მეგობარო, ისე ძლიერი —
რომ ჭაბუკ მუშას
მიკარგავდა გაბედვის უნარს
სანდომიანი შენი სახის სიმშვენიერე!
კარგად გამჩნევდი სითამამეს,
მოგწონდა ვიგრძენ —
მხოლოდ ხუჭუჭი შლილი თმები შავ აბრეშუმად;
მიცქერდი თვალში გაბედულად

და მეც გიცქერდი,
ვიყავით დიდხანს ასე ორთავ
უნდოთ და ჩუმად!
რამდენი ღამე ჩვენ ამრიგად გვიტარებია,
გითქვამს შენ ჩემთვის, სასურველო,
რამდენი რამე!
მაგრამ სხვა იყო უცნაური და მიმზიდველი
უკანასკნელი უბედური შეხვედრის ღამე.
და მეც გავბედე რაინდული ფიქრი ამაზე —
ჩემ საყვარელ ქალს,
თუ რა ხერხით მოვინადირებ. —
როცა ის არის თამამი და მეტად ლამაზი.
და თვალებიც რომ უგავს ქურციკს,
უცოდველ ირემს!
ვიყავ ამ ფიქრით
დატვირთული და უზრუნველად,
ქვევით მოჰქროდა მტკვარი ზათქით
ზვირთებმქუხარე,
უიმედობის კაეშანით დალონებული
გიცქერდი თვალში, და შენც
თვალში მიცქერდი მწარედ,
უცებ მოვკვეთე სალი ქვისგან
ძეგლი, რომელიც —
იყო პატარა, უცნაური,
როგორც რომ ბედი,
და შიგ, ამ ძეგლში ჩავატანე ყველა ტანჯვები
და აკვნესება სასიკვდილოდ დაჭრილი გედის.
ეს ძვირფასი რამ, ჩემი ხელით ნაქანდაკევი,
მოგართვი დილით
გატაცებულ ვნებების მონამ,
და რა შეხედე, იმ წუთშივე მიგიხვდი უცებ —
არც ერთი ხაზი,
და თვით ძეგლი არ მოგეწონა.
ავღელდი ძლიერ,
და საშინელ ამდუღარებით

ფეთქავდა გული,
უნებურად ელავდა თავშიც,
გაწამებულმა
და უბედოდ დაწუნებულმა
მე არ ვიცოდი,
თუ ესეც ბევრს ნიშნავდა მაშინ!

ვიყავ დიდი ხნით მოწყენილი,
მწუხარედ ასე,
გულში მეწოდა იარებად სევდის ჩქერები,
და მსურდა ახლა,
რომ მიმეპყრო ხატება შენი —
ჩემივე გულის სხვა ეშხით და სხვა სიმღერებით.
ხელში ავიღე მეტ-სიფრთხილით
წკრიალა თარი,
თითები მძაფრად
რომ შეეხენ მიზრაფით სიმებს,
იმ წუთში ვიგრძენ,
რომ შენს სახეს გადაეფარა
ქუფრი ნაღველის უნიათო ხაზები მძიმე.
და მე დავღონდი...
აკვნესებულ თარის ტირილთან —
ვიწყე ქვითინი,
თითქოს ვიყავ ობოლი ბავშვი...
გაწბილებული და უბედოდ დამცირებული
რას მივხვდებოდი
თუ ესეც ბევრს ნიშნავდა მაშინ!

მე არ ვიცოდი, რაღა მექნა,
რით მომეხიბლე,
რით ვყოფილიყავ შენი გულის
სანდო მსახური;
და ერთხელ დილით,
სულ უბრალო, სრულიად მცირე
შემოგთავაზე მოკრძალებით მარჯნის საყურე.

ჯერ გაგიკვირდა,
გადახედე თვალს საყურისას,
და რომ ზედ ხარბად
დააშტერდა თვალების ჩერო,
შენ გულს მიმიკარ
და მითხარი ტკბილი ღიმილით:
„ო, რა კარგი ხარ,
ძვირფასო ჩემო“!
მე ვერ გავიგე შენი ქცევა ეს უცნაური,
ალბათ, ვიყავი მაშინ კიდევ უჩვევი ბავშვი.
ასე ერთთავად,
ერთი თვალით მოწონებულმა —
მე რა ვიცოდი,
თუ ესეც ბევრს ნიშნავდა მაშინ!

გავიდა ხანი,
ჩვენ დავიწყეთ ცხოვრება ერთად,
და მიდიოდენ უფერული დღეები ასე;
გვქონდა წუთები ერთნაირად ჩვეულებრივი
და სამდურავი არ გვეთქმოდა ამ ცხოვრებაზე,
მაგრამ ვხედავდი, ის არ იყო რაც მე მინდოდა.
ცივი სამარე საუბრობდა ყოველ შენს ხმაზე.
დიდხანს ვეძებე, მაგრამ შენში ვერ ვპოვე ოდნავ
ვერც სისპეტაკე, ვერც ხალისი, ვერც სილამაზე!
თუმცა არ გაკლდა მოხატული
თვალი და ფერი,
წარბებიც რბილი, ბროწეულის
შოლტებად შლილი,
გიმკობდა გულმკერდს
ორი კულა სადაფისფერი
და შუბლს თმა გიშრის
საკეკლუცოდ გადმოფენილი.
მაგრამ არ იყო მეგობრობა, კვდებოდა გრძნობა,

მიმზიდველობა ვნებებისაც არ იყო მკვეთრად,
და მე ვიგრძენი სისაძაგლე ამ ცხოვრებისა
როცა ერთ ჭერქვეშ იმყოფება
უცხონი ერთად!

შენ ვერ ისწავლე ჩემს მტრებთან ბრძოლა,
ველარ შეიძლე შენ ვერც დედობა,
და მეგობრობა სად მჭირდებოდა
იქ შენი ოდნავ არ მქონდა ნდობა.
თუმც იყავ ხშირად ბრძოლაში ჩემთან,
იქ, სად მრისხანე ქარბუქი ჰქუხდა.
ენთო ხანძარი — გულშემზარავი
და ზუზუნებდენ ტყვიები ყურთან.
მაგრამ, როდესაც გრიგალი ჩადგა,
და ცა სხვაგვარად გადაისუდრა —
შენ ჩამომშორდი, როდესაც დაღლილს.
მყუდრო ბინა და ალერსი მსურდა.
დიახ, წადი და თან წარიტაცე
სუყველაფერი — დღენიც საერთო:
არ არის ძალა ჩვენ შეგვარიგოს.
და მით უმეტეს, რომ შეგვაერთოს.
კმარა, რაც ენთო და რაც ეწვალა
უმსგავსოება უფერულ ფერთა.
აწ. არ იქნება ტანჯვა სულისა,
როს არ ვიქნებით უცხონი ერთად.
და ვით ორი კლდე მდინარისგან
მკერდგაგლეჯილი,
მოჩანს ნაპრალთა საშიშ სიღრმემდე.
ისე ჩვენც ახლა, უიმედოთ დაშორებულნი
ვართ სიცოცხლეში — სიკვდილის დღემდე!

## სოფლის ბალადა

ღამეა, ჰყინავს ალაბი თოვლი,
გულშემზარავად ტრიალებს ქარი.
ის არ იღლება ქვეყნების მოვლით,
არის მეხივით დაუდეგარი.
მის ქვეშ ზანზარებს გაშლილი ბარი.
თან იღუნება მთების ორწოხი.
თოვლის ქულა სქლად გადანაფარი
ისევ წელმაგრად დგას გლეხის ქოხი.

ქოხში ჩოჩქოლი, ნახევრად ბნელა.
და, ახალგაზრდა ყმაწვილი ქალი —
გიტარის სიმებს აყღერებს ნელა
თვალებგიშერი, გულმკერდფიქალი.
თან მღერის ეშხის გრძნობებით მთვრალი.
ქოხის კედლებს კი, მოჭდეულს ჩიხით,
რომელსაც შვენის ნაქარგი ხალი —
ჰკიდია რქები: ირმის და ჯიხვის.

ყმაწვილო ქალო, რად შეაჩერე,
დე, იწკრიალოს სიმებმა ისევ!
ნუ დაადუმებ გულს ანაძგერებს,
შხამნაწვეთ დარდებს ნუ შემომისევ!
დაუკარ, ჩქარა, დაუკარ, მყისვე,
სანამ სხეულში ცეცხლი ანთია;
სანამ ჯერ კიდევ ეს სიხალისე
ალმოდებული განთიადია!

ბედი ცბიერი, თუ დღეს დაგცინის,
გული ხომ მაინც არ დაიშანთა?
ალმოდებული ვნება და ჟინი,
რომელიც დღემდე შენთვის არ ჩანდა —
მოვარდა უცებ, მოგხვია კალთა
და რაღას დგახარ — შორს გარინდებით,
ჩამოიხადე ადათის ფარდა,
მომხვიე მძლავრად ბროლის თითები!

მჯერა, კარგია მშობლების კერა,
გულს სიხარულის სხივებით ათბობს;
ზიხარ, გიცქერენ, შენი სიმღერა
ხიბლავს, იტაცებს ახოვან სატრფოს.
შენს გულსაც მისი ალერსი ათბობს!
მაგრამ სულ სხვაა გულისთქმა ცხელი,
და შენც სულ სხვა ხარ, ძველო ადათო!
რა დროს ეგ არის, მიეცი ხელი
სიძეს სიწითლე სახეზე ათოვს.

და მობრუნდება ამაყად სიძე
ყელმოღერებით, როგორც რომ შველი;
ხედავს, დღეს ახალ სიცოცხლეს იძენს,
ხელში უპყრია დაუწურველი
საცოლეს ჩვილი, ფაფუკი ხელი.
და ფიქრობს, ერთხელ მაინც აკოცოს,
რადგან გრძნობები გიჟი და ცხელი
აღვიძებს ტანში ჩაუქრობ კოცონს.

ზე წამოდგება მამა კეთილი
და მოკრძალებით დალოცავს შვილებს.
დედა კი, თითქო მუხლმოკვეთილი
სახეს იხოკს და ძალ-ღონეს ილევს.
იწყვეტს ქობაზეც ღირკილს და ღილებს,
ქმარი კი ეტყვის: ქალო, ნუ ჯავრობ,
ანდა, რა შენი ცოდვა გაკივლებს,
ვითომ, რა უპირს უღვდვლოდ, უჯვაროდ?!

თანხმდება დედაც. ლოცავს. არიგებს
ტკბილ იმედებით შეუღლებულებს:
„იცხოვრეთ შრომით და სიღარიბე
რას' უზამს სისხლით ანთებულ გულებს!
გწამდეთ თანხმობა. თან სიერთგულე,
გაჰყევით მტკიცედ გულისთქმის ჯირითს —
და ვერ დაგაკლებთ სიკეთეს ულევს
კარზე მომდგარი ურვა და ჭირი!“

ქოხში კი, ისევ გრძელდება ლხინი
და ფერადდება ჯმუხი ბუნება.
მწყობრი და ნელი ტკბილი ღიღინი
გულს სამკურნალოდ ესალმუნება.
იღვიძებს შფოთი, თან მოდუნებას
სურს თავის ძალა წარმოადგინოს;
ზოგს ეკარგება თრობის გუნება,
მაგრამ რას იზამს, მაინც სვამს ღვინოს.

ცეკვა. ჩოჩქოლი. ბუქნა და მღერა
ჩაღდება უფრო მხურვალე ტაშით.
მწვადი, მწვანილი და ტკბილისკვერი
როდი ილევა უზუნდარაში.
დუმს მერიქიფე. სმის მოდარაჯე,
ზვერავს, ვით ქურდი ყველას მალულად,
აკარწახებულ მუქი ფარაჯით
დადის და დააქვს ყანწი და კულა.

— სცეცხლე, ეგ არის ძარღვების ზეთი
და მოქეიფეც ზედიზედ ყლაპავს.
— ჰა, ბიჭიც სწორედ უნდა ასეთი
ერთ ქვევრს დალევს და პირს არ დაღაფავს!
— ხედავ, დავცალე, სხვა რალა გიყო?
— გენაცვა სულში, ალალი იყოს!
— მაშ, ალავერდი შენთან ვარ, მიხო!
— კარგი, შენც ერთი, რა დროს ეგ არი,

იმდენს ვსვამ ლამის კუჭი გავიხმო!
— უ, რა ბიჭი ხარ, შე სახეძაღლო!
აქ მო, ტოლუმბაშს მოუჯექ ახლოს
და გადაჰკარი ყანწიც და კულაც,
თან მოიხსენე ბახუსის მადლი,
თორემ ჩემმა მზემ ყურებს აგათლი!
და სცემს ხმაური, გრგვინვა ზღვაური,
თითქო ცა სწყრება, თითქოს ჟამია —
ისე გუგუნებს: მრავალჟამიერ.

თამადა ამ დროს დგას, როგორც ქვევრი,
სტომაქში მიდის კახურის ღვარი,
თავის საქებად დალია ბევრი —
მაგრამ ჯერ კიდევ „მთვრალი" არ არის!
თუმცა გულში ფეთქს ცეცხლი ღადარი,
თვალებსაც უკვე ჩაუქრა სხივი
და მოდუნების ნიშნის სადარი —
სდის შუბლზე ოფლი ცხარე და ცივი.
ზოგი იძახის თავისთვის მხოლოდ:
— ჰმ, ვინ მიჰქარა, არა ვარ მთვრალი!
ყანწების ჯირითს აღარ აქვს ბოლო,
ახლა ჯამებმაც იწყეს ტრიალი.
ჩხუბი, გინება, ხანჯლის პრიალი,
— გამიშვით, მოვკლავ! — და ხმალს უღირებს.
მოპირდაპირემ შეჰქმნა ღრიალი:
— გზა დამიცალეთ, ყოფას ვუტირებ!
გრძელდება კიდევ აურზაური
და აიშლება სულ მთელი სეფა,
ფანტასტიური და უცნაური
ღამე, ყინვა და ძაღლების ყეფა.
ავყია ქარიც კარს ენარცხება
და დაჰქრის ყველგან, როგორც აფთარი;
ხან ღრუბელთ ქულას მოაფრენს წყებად.
ხან სტირის, როგორც სიმები თარის.

ბნელა, სიჩუმე, სძინავს სუყველას,
ხოლო ქოხზე სქლად ნაყარი ისლი
დროგამოშვებით შრიალებს ნელა,
როცა აწვება ქარი და ნისლი.
გიტარის ჟღერაც შეწყდა, არ ისმის,
არც სირინოზი სასიმღეროსი;
უკვე იღვიძებს ვნება და სისხლი,
უკვე მოქმედობს ცხელი ეროსი.

## მეფე და პოეტი

დიდი სასახლე მოჭედილი
ძვირფასი თვლებით,
ანათებს ტახტი, როგორც დილა
ბრილიანტებით.
ფარჩა, ზარბაბი, დიბა, ნოხი
მრავალნაირი,
ზოგი ბაღდადის, ზოგი ნუხის,
ზოგიც ქაირის.
ელავს კედელი, როგორც მდელო
ნაირ ხალებით,
სხედან ორმწკრივად საქართველოს
ამორძალები.
აქ არის ცეცხლი, ვნების ცეცხლი —
მწვავე და ცხელი,
ძვირფასი თვლები, ოქროვერცხლი
აურაცხელი.
ტკბილი მუსიკა და გრძნეული
ქართული თარი,
ატლასები და ფარჩეული
მრავალი გვარი —
ელავენ ისე, ვით უბრწყინავს
ფრთები ფერიას,
ამის გარეშე აქ სიცოცხლე
არაფერია.

ვის მოელიან, რომ მზადება
ასეთი არის?
იქნებ, ამალით მობრძანდება
შაჰი ირანის!
იქნებ, ხონთქარიც მოისწრაფვის
გულის ღრმა ძვერით,
რომ აქ გაერთოს ბანოვანთა
ცქრიალა ცქერით?!
მაგრამ ო, არა, აქ ზეიმი
სულ სხვაგვარია,
უკრავს მუტრიბნი და ხმამაღიმედ
სტირის არია.
ნაზირ-ვეზირი თამარ მეფის
სულ აქ არიან.
ჩქეფს შადრევანი ვერცხლის შხეფით
თითქოს ცვარია.
იღება კარი, მოდის თამარ
მზის ბრწყინვალებით.
ცელქად ელავენ და თამამად
სათნო თვალები.
უკან მოჰყვება რუსთაველი,
ყმა ეშხნაკრავი.
ისმის მუსიკა, ხმები მწველი,
თარსაც უკრავენ.
მოცეკვავენიც ტანსაამოდ
ემზადებიან,
რომ ფხიზლად შეხვდნენ ამ საღამოს
ცხელს და ვნებიანს.
დიდებულები და ფარეშნიც,
მთელი ამალა
აქ არის, ზეიმს მათ გარეშე
როდი აქვს ძალა!
ბოლოს, წამოდგა თამარ, გვიან
მწველი იერით,

ოქროს დარბაზში მოაფრქვია
სიმშვენიერე.
და ყრმას, რომელიც იდგა იქვე
ეშხით დამთვრალი —
მან გადახედა ანთებული
ვნებიან თვალით.
უთხრა: — „ქება და შესხმის სიტყვა
ბევრი მსმენია.
ჩემს ხელმწიფობას შეხებია
შენი გენია!
მსურს მოვისმინო, მაშ დაიწყე,
ნუ გერიდება,
თუ გულს ეამა, ვფიცავ გვირგვინს, —
გელის დიდება!"
ჰკადრა პოეტმა: — „დიდებულო,
მეფეთ-მეფეო,
ეშხით დამთვრალმა უნებლიეთ
დავიყეფეო.
მოვსულვარ შენთან და მსაჯულიც
შენ იყავ, მზეო!.."
თქვა ეს გრძნობით და წაიკითხა
მთელი პოემა, —
ახლა იმისი მსგავსი ძვირად
მოიპოვება.
თვით კი, კვლავ ფეხზე იდგა, როგორც
ირემი მთისა,
შუბლზე ეფინა აღმაფრენა
და სიხალისე.
უკვირდა ყველას, თვით თამარის
ამაყი გული
ღელავდა, ვით ზღვა ბობოქარი,
აზავთებული.
მაგრამ ჯერ იდგა მდუმარებით,
ვით მთაში ღვია,

დუმდა, სიჩუმე აქ ვერავის
ვერ დაერღვია.
ბოლოს, ისევ მან მოიღერა
ლამაზი ყელი,
თავის ტახტისკენ მიიწვია
ყრმა საყვარელი.
და იმის ნიშნად, რომ მოსწონდა
ტკბილი შაირი, —
პოეტს აჩუქა საბოძვრები
მრავალნაირი.
უთხრა: — „ჭაბუკო, ნუ მომაკლებ
ლექსებს ტკბილხმიანს,
ჩემი სასახლე შენთვის მუდამ
იქნება ღია!
და, რადგან ამგვარ ნიჭს მადლიანს
კიდევ არ ველი —
ამიერიდან მე ვიქნები
შენი მფარველი!“
უთხრა ეს ვნებით და მხურვალედ
შუბლზე აკოცა.
მწველი ნაპერწკლის ისარი ჰკრა
ანთებულ კოცონს.
პოეტმაც ვეღარ მოითმინა
და მოეხვია.
თითქოს შეერთდნენ ერთი წამით
დეკა და ღვია...
ისევ თამარმა იგრძნო ბოლოს
შეურაცხყოფა.
კეთილ სახეზე ახლა რისხვა
აენთო ცოფად —
და სათნო პოეტს, რომლის გული
დასერა ღამემ,
ჰკადრა სიტყვები საყვედურის,
აღსავსე შხამით.

განრისხდა ახლა თვით პოეტის
ამაყი გული,
ვით ზღვა ავდარში ქარიშხლისგან
აქაფებული,
და ამდროს მისი აღელვება
გრძნობა ზღვაური,
იყო სათუთი, მიმზიდველი
და უცნაური...
— „მშვიდობით ჩემო, მე მივდივარ.
მომეცით ხელი!
მე ამის შემდეგ ვერ მიხილავს
სამშობლოს ველი!
ვერც ეს ძვირფასი გიშრის თვალნი
ცოცხალს მნახავენ,
დავშთები ასე, უტირებელ
დაუმარხავი!
თვით მოგონება ჩემზე ალბათ
დარჩება ტკბილი.
რომ ეს თვალები ცრემლით დალბა.
გული — სახმილით!
გადაკარგულის გულს შებოჭავს —
სევდის ქამარი,
ველარც სამშობლო გამახარებს,
ველარც თამარი!
და რაკი ვხედავ შენს გულს ახლა
თავს ვერ ვაფარებ.
სხვა ქვეყანაში გამეთხრება
ბედკრულს სამარე!
მშვიდობით, ჩემო, ეს ოხვრაა
უკანასკნელი,
აწ, არ იკვნესებს რუსთაველის
ჰანგები მწველი!
დაიმტვრა ჩანგი და უეცრად
დაწყდა სიმებიც.

შორს გადაფრინდნენ პოეზიის
სერაფიმები.
რადგან სიტურფემ ეშხის ძალა
მოიგერია, —
კმარა, ძვირფასო, რაც რომ შენთვის
მე მიმღერია!..
აწ, ვერ იმღერებს აღტაცებით
პოეტის ლირა,
იგი უფსკრულში გადავარდა
და ჩაიძირა.
კმარა, ძვირფასო, მე მივდივარ,
ღმერთო, შენ მიცავ! —
მშვიდობით, ჩემო საყვარელო
სამშობლო მიწავ!..“



## შირაჟიანი

1

ჩემო ძვირფასო, კახეთო,
ველებო ნარიყალაო,
ჯეირანების სანუკრევ,
გზადაგზა ხმელო ჩალაო,
შიგ ფრთხილად მძრომო დურაჯო,
ტურფაო, ქალისთვალაო,
აქეთ — გრიალა შირაქო,
იქით — ალაზნის ჭალაო,
ამდენხანს შემონახულო —
ნავთის ბრდღვიალა ძალაო!

2

ჭაბურღილების კოშკებო,
ცამდე გიწვდებათ წვერები,
თავზე გადგიათ ჯარადა
ვაჟკაცნი მკერდმოღერებით.
ბურღი, როცა სჭრის ქვესკნელსა
ისმის გრიალი ძგერების,
მოდის და მოდის გამდნარი
ქვიშა სხვადასხვა ფერების,

დღეცა და ღამეც ფხიზლად დგას
მზით გადამწვარი სერები.

3

ღამეა, მთვარის შუქზედა
ბრწყინავს ყინული მინებად,
ქვევით კი, ისმის ჩხრიალი —
ნავთის მილებში დინება,
ბურღი სჭრის და ხრავს კარჩხალებს,
ჩასჭრის და ჩაერკინება,
აგერ მზემ წვერი ამოყო
და გაღვიძება ინება,
ჯერ გადახედავს ტრამალებს —
და მერე გაეცინება.

4

თუმც თოვლი სტირის ლანქერად,
ქარი მაინც ქრის საზარი,
ჭაბურღილებზე კოშკების
არის რყევა და ზანზარი,
მაგრამ ბრძოლისთვის ამდგარი
უკვე მუშებიც მზად არი.
 დაჭკრეს, ჩაჭაფეს ფერდობი
ხრიოკ-უდაბნოს სადარი,
მიწა ძგრიალებს შეტევით,
მოდის ღველფების ღადარი.

5

სალამი, თქვენდა გმირებო,
სალამი, თქვენდა მზიანი!
თქვენსკენ მოვქროდი იმედით,
როგორც ისარი ფრთიანი,
გამოვიარე მინდვრები,
ქედები ულრან-ტყიანი,
თქვენ კი, აქ ებრძვით მიწის გულს,
როგორც ჯიხვები რქიანი.

ჩასჭერით, ჩააგრიალეთ,
მთების გულ-მკერდი ქვიანი!

6

რომ ნაცვლად მგელთა ყმუილის
ქვესკნელის მესმას ხრიალი,
ჩარხის უკუღმა ბრუნვამა —
წაღმა რომ იწყოს ტრიალი,
რომ ხმაურობდეს მუდმივად
მთებიც კარჩხალა, ტყიანი,
არსაით იყოს წუხილი,
აღარც გოდება ტიალი,
ხალისის ცეცხლი გვდაღავდეს:
ნდობით, გრძნობით და გრიალით.

7

აგერ, აი იქ, ბექობზე
კოშკი დგას რკინით ნაგები,
რკინით ნაჭედი ბოძებით
და რკინისავე თაღებით...
შემომცქერიან ქუშადა
ჭვარტლის და კუპრის დაღებით.
ბურღი მძიმედ სჭრის ყამირსა —
ცახცახით, ათახთახებით,
ზედ ახვევიან ჯარადა
ვაჟკაცი ამხანაგები.

8

და, როცა ასე შრომობენ,
მზეც კუნთებს ელამუნება,
აქებენ ცისკარაულსა
აქვსო ვაჟკაცის გუნება,

ჭირში არ იცის გატეხა,
არც შიში, არც მოდუნება,
მუდამ სიცოცხლით სავსეა
მისი ბავშვური ბუნება,
დღეცა და ღამე ტრიალებს,
წელშიაც არ იღუნება.

9

ვნახე ეგ ტანბრგე ვაჟკაცი
ღადარ ცეცხლივით ღვიოდა,
სჭრიდა და კვეთდა მიწის გულს,
შუბლიდან ოფლი სდიოდა;
მოტორი იდგა გრიალით,
მიწა ყამირად დიოდა,
მწვავე ცეცხლს ჰყრიდა სატეხი,
ფხას ნაპერწკლები სცვივოდა,
ტინი გაეხრა და მაინც
უვაჟკაცობას ჩიოდა.

10

„შაბაში“ არის, მუშებიც
სხედან ჯარად და ჯარადა,
ამ დროს კი, ცისკარაული
ზის ჭაბურღილთან წყნარადა.
მივუახლოვდი, წამოდგა,
რაღაც ნაღველსაც ფარავდა,
ვთხოვე და მანაც მიამბო
თავის წარსული წყნარადა,
ირემი მთასა მყვირალი —
თუ რამ მოაგდო ბარადა.

11

დაიწყო და მოყვა წყნარად,
მეც ვუსმენდი გულისყურით,
იდგა მთებზე დახვეული
ნისლები და შავი ბური.
თითქო, კიდეც შვენოდა მთებს
ეს შავლეგა მოსახური.
ის კი, ისევ განაგრძობდა,
ყურთან რეკდა სიტყვა თქმული,
მაგრამ, როცა განცდილ ამბებს
მოხვდა მწარედ კაცის გული —

12

მაშინ სახეც შეეცვალა
თვალს მოედო ცეცხლის ალი,
— მე მიყვარდა, — თქვა მან ბოლოს —
მეც მიყვარდა ერთი ქალი,
ნუ დამცინებ, განა ცოტა
არის ქვეყნად ეშხით მთვრალი?
დიახ, მეც ეს სენი მჭირდა,
მწვავე ცეცხლში დნება რვალიც.
ო, მას ვამბობ, რა თქმა უნდა
მეც მიყვარდა ერთი ქალი.

13

მასაც ჩემებრ სწვავდა ვიცი,
გულს უდუღდა ცეცხლის ალი.
მინათებდა, ვუნათებდი,
ვით ღამეში მთვარე მცხრალი,
ჩოხა მეცვა მოოჭვილი,
და ზედ მერტყა ბასრი ხმალი,

აყვავებას რაღა მიკლდა,
ცხენიც მყავდა — ქორებრ მალი,
ო, მას ვამბობ, მას ვუყვარდი,
მეც მიყვარდა იგი ქალი.

14

მაგრამ ქალის მშობლებს ჩემი
არ მოსწონდა სახლი, კარი,
მათ სხვა ყავდათ არჩეული,
გოროზი და თან მდიდარი;
გაფრინდაულს ეძახოდენ —
ასე იყო მისი გვარი,
მაგრამ ქალს ის არ უყვარდა,
ჩემკენ ჰქონდა ნდობის თვალი,
არად უჩნდა სიმდიდრე და —
უთვალავი მთაში ცხვარი.

15

ჰოდა, ერთ დღეს მოიწვიეს,
საქორწილოც დადგა დარი,
მზე ხალისით იცინოდა,
და ჩიტივით ქროდა ქარი.
დაპატიჟეს მოკეთენიც,
ათიოდეც დაჰკლეს ცხვარი,
მწვადებს წვრილად აკეპილებს,
მოსდიოდა ზეთის ცვარი,
იჯდენ, სვამდენ, იღვრებოდა
არაყის და ლუდის ღვარი.

16

აგერ, მოვიდა სასიძოც,
ხელი დაედო ხმალზედა,
ლაღად მოჰქონდა მხარ-ბეჭი,
ყოველ მის შერხევაზედა.

უცებ ცხენიდან ჩამოხტა,
თვალი უჭირავს ქალზედა,
მშობლებიც გამოეგებენ —
მოსულებს თოფის ხმაზედა.
ცხენებს უძღებენ ქერითა,
თივას აყრიან თავზედა.

17

ამ დროს, მე ვზივარ მწუხარედ,
ფიქრები მაწევს შხამისა,
ველი პასუხს და სანაცვლოდ
მესმის გრიალი ქარისა.
ბოლოს, გავიგე ამბავი,
მეც იმან წამახალისა,
ნანე მითვლიდა: მელოდე,
თუ შევძელ მე ქმნა ამისა, —
გამოვექცევი ჩემს მშობლებს,
არ მეშინია ღამისა.

18

ღამე თეთრად გავათენე,
უძილობის თეთრი ღამე,
გულით ველი, ველარ ვხედავ,
აღარ მოდის ჩემი ნანე,
გული მეწვის მოლოდინით,
ნაღველს ვკლავ და ვებრძვი მწარედ,
მწარე ლუდში ვახშობ გრძნობას
ათრთოლებულს, მოელვარეს,
ველი გულით, მაინც არ ჩანს,
არვინ აღებს სახლის კარებს.

19

ბოლოს კარიც გაიღება,
გაეხსნება იმედს ღილი,
გული ისევ მობრუნდება
სასოება გადაჭრილი,
მოდის ნანეს უმცროსი ძმა,
ეს ნუგეში იყო თბილი,
ბარათს მაძლევს, შვების ბარათს,
აზვირთებულ გრძნობის შვილი,
რომ დავხედე, ნანეს იყო,
თავის ხელით მოწერილი.

20

მწერდა: — ვზივარ, შენს სიყვარულს
გულში ვკლავ და ვეღარ ვამხელ,
ვინ გამიგებს, რომ გავენდო,
შემიყვარდა შენი სახე.
მშობლებს ვფიცავ, გავგიჟდები,
თუ ოდესმე ვეღარ გნახე,
ან თუ მტერმა გიორგულა
და დაგიგო შავი მახე,
ვაი, ჩემი ცოდვის ბრალი,
თავი როგორ დავიგლახე!

21

თუ გინდივარ, მოდი, გიცდი,
და ცრემლები ჩამომბანე,
დამანახვე ცის სინათლე,
სერები და ტყენი მწვანე.
თუ არა და სხვას მივყევარ —
თუ ოდნავად დაახანე;

გევედრები, ნუ შეიცდი,
სადაც გსურდეს წამიყვანე,
სიკვდილამდე ნუ დამტოვებ,
ამასა გთხოვ: შენი ნანე.

22

ასე მწერდა, — ნუ იფიქრებ.
კაცმა მოკლას დარდი დანით!
მას ვუყვარდი, მეც მიყვარდა
მისი სახე, მისი ტანი,
იქ კი, ამდროს ლხინი იყო,
მე კი, ვიყავ განზე მდგარი,
სისინებდა, გრიალებდა,
ორწოხებში ცივი ქარი,
გათენებას ცოტა აკლდა,
იდგა შავი ნისლის ღვარი.

23

დილით კიდევ მოდის კაცი,
ამბავს მეტყვის უფრო მწარეს,
— გაფრინდაულს შენი ნანე
მიყავს უკვე თავის მხარეს.
გული ცეცხლით დამედაღა,
წამს ვივიწყებ წარსულ ალერსს,
სალეს ბროლად გადავლესავ
ხმალს მასათით პირანალესს.
მოკვდეს ბიჭი, გაფრინდაულს,
თუ გავატან ახლა ნანეს!

24

ვთქვი ესა და გამოვვარდი,
წამს დავიდე ფერი მგლისა,

დილა იყო, შორს მოსჩანდნენ
შვიდნი მთანი ალმასისა,
არსად იყო, ჩამდგარიყო,
არ ისმოდა ჩქამი ხმისა,
ხოლო ქვევით, დაბლა ბარზე,
იდგა შავი ნისლი მთისა,
ერთმანეთსა ეხვეოდენ
სხივი მზის და მტვერი გზისა.

25

მომგვარეს ცხენი ისეთი,
იყო ძლიერი ჯანზედა,
სამ ვაჟკაცს ხელში ეჭირა,
კიდევ დგებოდა ყალყზედა,
სამნივ დასძალა თავითა,
გადმოხტა მოედანზედა,
ფეხი შემოვკარ, გაფრინდა
გაფრინდაულის კვალზედა,
ისე მივქროდი ხრამებზე,
თითქოს ვიჯექი ქარზედა.

26

ბევრჯერ გაქროლე ლურჯაო,
დღე დაგაყენე მწარეო,
პირს გედვა მძიმე ლაგამი,
ოფლის ღვართქაფში გბანეო,
ქერივით ხრავდი ლაგამსა,
გიცვლიდი მალი-მალეო,
ახლაც გაფრინდი ჩიტივით,
ქვესკნელშიც გამატარეო,
ნუ გეშინია ღამისა —
გზაზე გვინათებს მთვარეო!

27

თუმცა, ჯერ კიდევ ღამეა,
და მთვარე ბრწყინავს ცაზედა,
ჯარად და ჯარად გამფრთხალან
ჯიხვები იალაღზედა,
აყღერებულან ფრინველნი,
ნისლები წვება მთაზედა,
უცებ ხმაური მომესმა —
თურმე მტერს მივსდევ კვალზედა,
როცა შეჩერდენ, შევძახე
სიტყვა ბრაზიან ხმაზედა:

28

გაქცევით — ვერ გამექცევით,
იმედს ნუ იჭერთ ხსნისასა,
დაგკრავთ და ცხელსა ტყვიასა
ნამტვრევს გავატან ძვლისასა,
ჩემი შაშხანის ქუხილი
ჩამონგრევას ჰგავს ცისასა,
ქალი დასტოვეთ, ნუ მიგყავთ,
ვაი, ვაჰ დედას მტრისასა!

29

პასუხად კვეხნა მომესმა,
გულბოროტი და გვიანი:
— არც ჩვენ გახლავართ კურდღლები,
არც ჯიხვები ვართ რქიანი.
წელს ჩვენც გვარტყია მახვილი
პირალესილი ფხიანი,
აბა, ვნახოთ და გადმოდით,
ვინც დარჩეს სახელიანი,
სისხლი გადინოთ ღვარებად,
მიწა გაჭამოთ ქვიანი.

30

ეგ თქვეს და არც დაახანეს,
თოფიც შემართეს წამზედა.
ხმლებიც იშიშვლეს ისეთი,
ბეწვ ეჭრებოდა ფხაზედა.
კვამლი გახვიეს კვამლშია,
ტყვია სკდებოდა გზაზედა,
დააფრთხო ჭექა-ქუხილმა
ჯიხვები იალაღზედა.
თოფი ჭექს, ხმლებიც წკრიალებს,
ცა მეხურება თავზედა.

31

მეც გადავეშვი ბრძოლაში,
თვალი ელვისებრ ელდება,
დავჭრილვარ, ჩემი სისხლისგან
ჩემივე ჩოხა სველდება,
მაგრამ, ვერა ვგრძნობ ნატყვიარს,
ბრძოლაში გული მგელდება,
გრიალებს ხმები, მიდამოც
თოფის კვამლისგან ბნელდება,
ამდგარი სისხლის ღვარებით
ჭალას არაგვი ღელდება.

32

ნუ გიკვირს, რასაც გიამბობ,
მერწმუნე, სულ მართალია,
მე კიდევ ვერ ვიმეტებდი,
კაცის სიკვდილი ბრალია,
მაგრამ როდესაც შევნიშნე,
ქალს მოუქნია ხმალია,

ნანეც დაეცა უსულოდ,
მოჭრილი ქონდა მხარია,
თვითონ კი, მხეცებრ მყეფარი
ხევს გავდა ნიაღვარიანს, —

33

მაშინ აღარც მე დავზოგე,
კლდეს მოეფარა ხრამიანს,
კლდე ოთხად დავანაფოტე,
წვრილად დავფშვენი ქვანია,
ფარი უფარა, ვერ ფარობს,
ვერ დაიფარა ტანია.
ხმალი დაეკარ და გავგლიჯე
რკინით ნაჭედი რვალია,
ერთიც რომ გადავუქნიე —
მაშინ დახუჭა თვალია.

34

ისეთ ხრამს გადავუძახე,
ყვავი ვერ ჩაფრინდებოდა,
ბრაზით აღსავსე თვალებში
'შუქი ჯერ კიდევ კრთებოდა,
კვდებოდა, აღარც კვდებოდა,
სიცოცხლეს ეთხოვებოდა,
ნისლები მაღალ მთებისა
ცივ შუბლზე ეფინებოდა,
ზეზე ადგომას ცდილობდა —
მუხლები ეკეცებოდა.

35

სხვები გაიქცნენ დამფრთხალნი,
ლაჩრულად სირცხვილიანი,

მზე ამოვიდა, ფოთლები
ბრწყინავდენ თვირთვილიანი,
მივედი, ნანეს დავხედე,
თვალები ჰქონდა ღიანი,
მაგრამ სულს აღარ ითქვამდა,
არც გული ძგერდა ფრთქიალით,
შევკრთი, გავშრი და გავქვავდი,
დღე დამიბნელდა მზიანი.

36

შავო, რას დუმხარ, სიკვდილო,
რაღად არ იღებ ხმასაო,
რად ეფინები შავადა,
შავო ღრუბელო, ცასაო,
შავო, რას დახვალ, ყორანო,
შავად რად იქნევ მხარსაო,
ნაპრალებს რომ ეტანები,
ალბათ, ეძახი სხვასაო,
მაინც არ შეგახვრეპინებ
დაქცეულ სისხლის ღვარსაო!

37

ცხენი შემორბის როშკაში,
ოთხს მოანათებს ნალსაო,
სიკვდილის მაუწყებელი
ამბავი მოაქვს მგზავრსაო:
ვერ გაუჭრია პერანგი
გაფრინდაულის ხმალსაო,
ჩაუკლავს ვეფხვი ბწკლიანი
შაშხანის ცეცხლის ალსაო,
აწ ვერ ჩაიხვევს ლამაზად
თავის დანიშნულ ქალსაო.

38

მართლაც და, ამ დროს ხირჩლასას
შავი ამბავი ხდებოდა,
ისრაფილ გაფრინდაული —
სიცოცხლეს ეომებოდა,
სამს მოეყვანა ვაჟკაცსა,
ბველივით იკლაკნებოდა,
ტახტზე გართხმული ვაჟკაცი
ფეხზე ველარა დგებოდა,
ნათელ-ძლიერი სიცოცხლე
გულშემზარავად ქრებოდა.

39

ცალ ხელში ჰქონდა სანთელი,
ცალშიაც ხმალი კრთებოდა,
ლურჯაი ხრავდა ლაგამსა,
წალმა-უკუღმა ხტებოდა,
სანთელიც მილეულიყო,
თან ხმალიც ძირს ეშვებოდა,
— მოხკალით, — სპექდა ხრიალით,
ძმაც ცრემლით ეფიცებოდა,
ტკბილსა სიცოცხლეს ვაჟკაცი
გულის წვით ეთხოვებოდა.

40

ვაი, რა დიდი ბრალია
ტანჯვით დახუჭვა თვალისა,
წვალებით სუნთქვის შეწყვეტა,
არ გათენება ხვალისა,
გაგოსალმება უდროოდ
შეყვარებული ქალისა.

აგრე რად იცი, სიკვდილო,
ქნევა უწყალო ხმალისა,
დაჰკრავ და მოშლი ვაჟკაცსა,
გულიც რომ ჰქონდეს რვალისა.

41

გათავდა, მოკვდა ისრაფილ,
თვალებიც ჩაქრნენ შავადა,
— ვაიმე, შვილო, რა მიყავ.
დედა სტიროდა ავადა,
იწყევლებოდა, გოდებდა,
შური ექცია ზვავათა.

42

ტირილის დღეა, ჰგოდებენ,
დღე ჩამობნელდა მზიანი,
ლურჯა შავებით მოსილი
კარზე დგას უნაგრიანი,
დედა დასტირის ისრაფილს
მწუხარე ვერცხლის თმიანი,
მამა მკერდს იმტვრევს მუშტითა,
გააქვს წიბოებს გრიალი,
არის ტირილი, გოდება,
დგას ბობოქრობა ტიალი.

43

მთებსაც ნისლების ბურუსი
შემოხვევია შავადა,
შემოხვევიან, ჩაუკრავთ,
თითქოს მთებია ავადა,
რა უცნაური ფერი აქვთ,
მეხიც ჰექს შემზარავადა,

სისხლის წვიმაც წვიმს, ხევებიც
აზმუვლებულან ზვავადა,
მიაქვთ და მიაქვთ ლოდები
ქვესკნელში დასაფქვავადა.

44

თავზე დასტირის ისრაფილს,
თავის ძმა თვალცრემლიანი,
— მოკვდეს ჯუთა, თუ დაბრუნდეს
როშკაში სირცხვილიანი,
ქვესკნელს მოვძებნი მოსისხლეს,
მთაც ვერ დაფარავს ტყიანი,
ვერც ღამე თავის ბურუსით,
დღე გათენდება მზიანი,
ვერ გაექცევა ჩემს რისხვას
ვეფხიც, რომ გახდეს ბწკლიანი!

45

ხირჩლა კი, თავის პირმშოსა
არიგებს გულისხმიერი:
— თოფს, შვილო, ნუ დაენდობი,
თოფი მელაა ცბიერი,
ნურც ხმალსა ნუ მიენდობი,
ხმალიც მგელია მშიერი,
ნურცა რა თავის ღონესა —
სხვასაც მკლავი აქვს ძლიერი,
მტერთან სიფრთხილით მისვლა სჯობს,
მით უფრო, თუა ცბიერი.

46

ხერხით დაუხვდი მოსისხლეს,
ფარი უფარე ფარზედა,

გული ნუ აგიჩქარდება,
ხმლით რომ წამოვა ხმალზედა,
მაშინაც ნუ შეიბრალებ,
ხორცს რომ იგლეჯდეს ტანზედა,
სვავები გვამს რომ უგლეჯდენ,
იჯდენ გამოხრულ ძვალზედა,
სისხლით ძღებოდენ ყორნები,
ყეფდენ სიკვდილის ხმაზედა!

47

ეს თქვა ხირჩლამ და დალოცა
შვილი განიერმხრიანი,
ჯუთამც აისხა ფარ-ხმალი —
პირალესილი, ფხიანი,
კვალს გამომიდგა ბოროტად,
მას მეც დავუხვდი ჭკვიანი,
მთაში გავარდი ყაჩაღად,
ჯაგი მოვნახე ტყიანი,
შიგ დავბუნაგდი ნადირი,
მხეცი შევიქენ ბწკლიანი.

48

მაგრამ ვაი, რა ცუდია
ტყეში გდება და ყიალი,
მომწყინდა მუდამ ყაჩაღის
შავი ცხოვრება ტიალი,
დუშეთს ჩავედი, ქალაქში
შეველ ფორაჯა-ხმლიანი,
ალმასკომს თხოვნა მივართვი,
ვწერდი რაც მქონდა ზიანი,
შემირიგეს და დამითმეს,
კვლავ გავხდი ადამიანი.

49

კაცად ვიქეც და მას შემდეგ —
ძველი დავკარგე იერიც,
ახლა აქა ვარ, ხომ ხედავ,
ვარ თითქოს მეც ბედნიერი,
სულ დამავიწყდა ფიქრები
გულღრძო და გულმანკიერი,
ახალ ქვეყანას ვაშენებთ,
მიწაც იქრება ფხვიერი,
მოსისხლეც ჩემი გვერდში მყავს,
აქ არის ჯუთა ძლიერი.

50

ძალიან გიკვირს? მეც მიკვირს,
დიახ, მეც მიკვირს ძალზედა,
გაეგო ჩემი აქ ყოფნა,
გამომყოლოდა კვალზედა,
მუშად მოვიდა, მიიღეს,
შური უკრთოდა თვალზედა,
მეც კიდევ ვერიდებოდი,
არსად ვხვდებოდი გზაზედა,
არ მსურდა ჩემი ტალკვესი
ანთებულიყო რვალზედა.

51

დიდხანს ვიყავით ამრიგად,
დრო მიდიოდა გრიალით,
ერთ დღეს კი, როცა ოთახში
ლამპა ავანთე მზიანი,
მოულოდნელად შემოდის
ჯუთა განიერმხრიანი,

მეგონა სამტროდ მოვიდა,
ვეფხი წამოვხტი ბწკლიანი,
მაგრამ, თვით კართან გაჩერდა,
მომცა სალამი გვიანი.

52

მითხრა, დამშვიდდი, არ გერჩი,
მე არ მოვსულვარ მტრულადა,
ერთად ვიბრძვით და ვმუშაობთ,
სუფრაც ერთი გვაქვს ძმურადა,
შევრიგდეთ, ძველი იარა,
გულს რომ აჩნია წყლულადა,
მალე გაივლის ეს ბოღმაც,
გთხოვ, ნუ მიყურებ მტრულადა,
აი, შევრიგდეთ, არაბულ,
ხელს გიწვდი მეგობრულადა!

53

მეც ხელი მივეც, ეს იყო
დაძმობილება მტრებისა,
შევრიგდით, შემდეგ ახალი
სიამე ვიგრძენ შვებისა.
გულს რაღაც ცივი ნატეხი
მოშორდა ღორღი ქვებისა,
მას შემდეგ ესღა მაწუხებს:
ნახვა მსურს მშობელ მთებისა,
მომნატრებია ქედები
ნამტვრევი ჯიხვთა რქებისა.

54

ახლა მქნა ნეტავ მთაშია.
მომცა იგი დრო სვიანი,

დილით ცისკარზე ადგომა,
ღამით დაწოლა გვიანი,
წელს მერტყას ლეკეთს ნაჭედი
სპილოს რგვალტარა ფხიანი,
ლურჯაი გახელებული
ქარზე ფაფარის შრიალით,
ღორღებს რომ ხეთქდეს ტორებით -
ტახტას გაქონდეს ჭრიალი!

55

მაგრამ ვერ ვნახავ, მგონია,
აწ მთის გრიალა ნიავსა,
ალაღებულსა მდინარეს,
ტაფობებს ბალახიანსა,
არწივებს მხრებდაგრეხილებს,
ორღობეს ტალახიანსა,
ბექობებს ფრთხილი შურთხებით,
ამწვანებულებს ტყიანსა,
ნისლებით თავშეხვეულსა
ჩემ კუთხეს მთაგორიანსა!

56

ძვირფასო არსოტიონო,
გიგონებ გულის გებითა.
მუდამ ლამაზო არხვატო,
შემოღობილო მთებითა,
ჯიხვებო — საჯიხვეებზე,
ჯარო და ჯარო რქებისა,
ფრთხილად მავალნო კარჩხლებზე
წამი რომ არ გაქვთ შვებისა,
ალაღებულო მდინარევ,
მესმის გრიალი ქვებისა!

57

ეს ვთქვი და მეც გამოვედი,
ვიგრძენ სიამე შვებისა,
ცა ქათქათებდა ფრიალო,
იდგა ჩრდილები მთებისა,
შირაქი ქუხდა, ისმოდა
ყრუ ხმები ტრამალებისა,
გალმა კი იდგა ნისლები,
ვით ფრთები არწივებისა,
მოქონდა ნიავს სურნელი
ალაზნის ნაპირებისა.

58

ალაზნის წყალო ტიალო,
ლამიანო და ტყიანო,
ხან წყნარი ზლაზნით მდინარევ,
და ხან მყიფო და გრიალო,
ნისლები მაღალ მთებისა
შენს დიდ ჭალაზე დიანო;
ცივად დაგყურებს გომბორი,
ალგეთსა თუ იშვიანობს,
შემოჰკარ ტალღა ტალღაზე
დუდუნით, ნულარ გვიანობ!

59

მეც შენით ალაღებული
სხვა ფიქრებით ვარ მწუხარე,
ნაღველის გასაფანტავად
გადმოვარდნილი ტლე მხარეს,
ბევრი მდენია ცრემლები
მლაშე, მღვრიე და მდუღარე,
მაგრამ მოსულსა მწარე ბედს
ჯერ ქედი არ მოვუხარე,
ვდგევარ და გიცქერ იმედით
მეც შენებრ გულით მქუხარე!

60

ეს ხმები, შენი ხმებია
ტკბილი და იმედიანი,
ეს ჩვენი წინსვლა ყეფაა —
მოტორთა მძლავრი გრიალით,
ხან შეძახილი ტოროლას,
მესმის მკვეთრი ხმის წკრიალი,
ცა ვარსკვლავებით ნაჭედი
დგას შუბლგახსნილი გვიანი,
ელავენ მთვარის შუქზედა
სიპი კლდეები ქვიანი.

61

და ვუცქერ დამშვიდებული
მეც ამ ტევრს იმედიანი,
დგას ნავთით სავსე ბაკები,
როგორც ჯიქნები რძიანი,
ჩვენი წინსვლის და სიმაგრის
ეს დუღაბია ქვიანი.
ვერ ჩამოანგრევს ქარბუქი,
ვერც დღე ჩამოშლის მზიანი,
შენ, საქართველოს იმედო,
კოშკი ხარ ფოლადიანი!

62

თქვენც, ჩვენო დიდო იმედნო,
კოშკნო ნაგებნო რკინითა,
რვალით ნაჭედო ბიჭებო,
მზეევ სხივმომფენო დილითა,
შავლეგა ღვრია წყარონო,
რომ მოჰქუხთ თუჯის მილიდან,

ყამირო, გადაჭედილო
კარჩხლით, კუპრით და კირითა,
ჩაეჭიდენით ერთმანეთს
მტკიცე დუღაბის ღილითა!

63

მეორე დღეა. გრიალი
კიდევ უფრო დგას ხშირადა,
მოდის ყამირი ფხვიერი
გადაქცეული კირადა.
არჩევენ, თან კითხულობენ
ვინ არის ახლა წბილადა,
ვის გაუღიმა იმედმა,
ან ვის თავს ადგას ჭირადა,
ვინ შავ დაფაზე გააკრეს
ან ვინ გამოდის გმირადა!

64

ორი ბრიგადა ერთმანეთს
შეჯიბრებია ძალადა,
შეჯიბრებიან შრომაში
ჩამწკრივებულან ჯარადა,
ერთს ხელმძღვანელობს არაბულ,
ცისკარაული გვარადა,
მეორეს ჯუთა გაჰკივის,
ჭანგთა ბგერა დგას ზარადა,
კვამლი და ბური ტრიალებს,
ოფლი ჩამოდის ღვარადა.

65

განსაკუთრებით არაბულ
თავგამეტებით ტრიალებს,

დაზგაზე გარდამავალი
წითელი დროშა ფრიალებს,
ჩანები ორთქლით ბოლავენ,
ბურღი ქვესკნელში ხრიალებს,
შავი მდინარე კუპრისა
ისე, ვით სარკე კრიალებს,
მოდის და მოდის თქრიალით,
დიდ აუზებში გრიალებს.

66

ჯუთა კი, ცდილობს აჯობოს,
ხტის, როგორც ვეფხი ბწკლიანი,
ჩასჭრა და ჩააგრიალა
ორგან კარჩხალი ქვიანი,
უნდა დასჯაბნოს მეტოქე,
დაზგებს უმატა გრიალი,
ხან ისე დაიწურება,
როგორც არწივი მხრიანი,
მაგრამ ჯერ კიდევ არ ისმის
იგი ხმა იმედიანი!

67

მაგრამ არც ისე შორეა —
ხმა გამარჯვების მზიანი,
ჯუთასკენ გადაიხარა
დროშა კალთების ფრიალით,
ეს კი არ მოსწონს არაბულს,
მაგრამ უკვეა გვიანი,
დღემდე მის მიერ ნაშრომი
ჯუთას მიჰქონდა გრიალით,
მიჰქონდა თან იძახოდა:
— ბიჭი ვარ ფოლადიანი!

68

გუშინ მაჯობე, მაგრამ დღეს
მე მხვდა ზეიმი დილისა,
დროშა წაგართვი წითელი,
მკლავი მოგკვეთე რკინისა,
ჩემმა ბრიგადამ შენს ბიჭებს
ოფლი ადინა ჭირისა,
ჯუთა ვარ გაფრინდაული
მკვიდრი ძმა ისრაფილისა!

69

ოცი წლის შემდეგ სურვილი
უფრო გახდება ხმიანი,
ამის პირობა აქვეა:
ცოცხალი ადამიანი,
მირზანში — კერესელიძე,
ჩათმაში — გოლეთიანი,
მარტყოფში — დავით ბერიძე
დგას ხმაურით და გრიალით,
შორით გაჰკივის სივრცეებს —
დიდი დაზგების თქრიალით!

70

დაიჭექს მძლავრად ქვესკნელიც,
თუ მტკიცედ დავეჩემებით,
წამოვა ნავთის მდინარე
შავლეგა ნავთსადენებით,
ბათუმში შემოგვესევა
მშიერ მგლებივით გემები,
აქეთ რიონიც დაიძვრის
მრავალ ათასი ცხენებით,
შორ ტრამალებსაც დასჭედენ
ხშირ ლიანდაგის ქსელებით.

71

და მაშინ, ჩემო თბილისო,
უფრო იქნები მზიანი,
წყლებზე გასდებენ ხიდებს
ოწინარების ჭრიალით,
მოირწყებიან ბაღები,
მოლი ამოვა რძიანი,
სახლებიც ჩაირაზმება
მუქ-ფორაჯა და ქვიანი,
ახმაურდება ქარხნები,
გრდემლებიც იჭექს ძგრიალით,
შვიდი მთა, ზეცა ვარსკვლავთა
თავს დაგვადგება ცქრიალით,
აქეთ დიდუბე იყვირებს —
იქით სამგორი მტვრიანი,
შევალთ სასურველ მხარეში:
ბრძოლით, შრომით და გრიალით!

## ზ ე ლ ი მ ხ ა ნ ი

I

ჰქრის ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი, საზარი
და მთებსაც ზურგი თითქოს განგებ უჩვენებია,
რომ ავ ქარაშოტს დაახვედროს უზარმაზარი
კლდის გალავანი და შეასკდეს წიბოებს ქვიანს.
ასეთ ღამეში თვით ეშმაკიც ბრაზისგან წივის,
სოროს დაეძებს ღამის მხეცი და თვით ყარყუმი
აღარ იძახის გამარჯვებულ კომანდორივით,
რომ კვლავ მოაწყოს ზეიმი და დიდი აღლუმი.
სძინავს აულსაც, მაგრამ ყაჩაღ ზელიმხანს გული
შავი ნაღველის და სიბრაზის შხამით ევსება.
მაგრამ ამ ბრაზს და ამ შავ ნაღველს ვაჟკაცი, თული,
თითქო უყვარსო, ისე ტკბილად ეალერსება:
—„რატომ ფართხალობ, გულო ჩემო, ჩიტივით ასე,
იყუჩე-მეთქი, მეც დავწყნარდე იქნება ცოტა!
სახიფათო რამ ხომ არ მოდის ამ ოხერ თავზე,
რომ აგრე ერთად აირია მადლიც და ცოდვაც?!“
მაგრამ ზელიმხანს გულისყური როდი ღალატობს.
განსაცდელის ჟამს წინათგრძნობაც ცოცხალი არის,
და ჰა, ამდგარა სავერაგოთ და საჯალათოთ —
გიორგი გურჯი, ყაზახ-რუსთა დიდი ლაშქარით.

II

მიჰქრის გიორგი, გულში უდევს იმედი ტკბილი:
აგურხანი სწერს: — ჩვენი მტერი სახლში არისო

და წარჩინების მომლოდინე თავადიშვილი
მოიკრა მთაში, ვით გრიგალის მძვინვარე რისხვა;
შემოკრა მთები, არსად არის გზა გასავალი,
ზათქს სცვლის ყიჟინა და ყიჟინას დიდი ხმაური.
სროლა თოფების და ამდგარი ხანძარის ალით
იგვემებოდა აგურხანის მთელი აული.
მაგრამ ზელიმხან რის გმირია, თუ მტერს აბუჩად
თავს დაუდებს და მოადუნებს მკლავებს ძარღვიანს!
ნახა რა საფრთხე, წამს მოახტა საყვარელ ლურჯას
და მყისვე გაქრა, როგორც ცხელი ყურშუმის ტყვია.
— როგორ გაიქცა, ეგ აბრაგი! — ყვირის აგურხან.
თვით გიორგისაც ყელში შური ცეცხლივით უჭერს.
ღრიალებს ქარი და აქა-იქ ცაზე ღრუბელი
თითქო მთვარესაც მოკრძალებით თმას უხუჭუჭებს.
— ჰოი, სირცხვილო, ამდენს ერთმა როგორ გვაჯობა?
— ახლა ასე გვჭირს, მაგრამ შემდეგ
ვუტირებთ ყოფას.
— ასეთ შემთხვევას კიდევ ეშმაც ვერ მოიგონებს!
— დიდ არს ალლაჰი, მეთაურო, ის მოგვცემს ღონეს!
— კარგი, მაშ წადი და მომგვარე ცოლი იმ დათვის!
— ამას ნუ ვიზამთ, მეთაურო, ღვთის გულისათვის!
— როგორ, შენ კიდეც ეურჩები ბატონის ნებას?
— ალლაჰი ხედავს, ვით ვასრულებ მე შენს ბრძანებას!
— მაშ წადი მეთქი, და მომგვარე, გესმის თუ არა?
მე ეს ასე მსურს, მოთმენა და დუმილიც კმარა!
მე მინდა მძევლად წავიყვანო აბრაგის ცოლი,
ამბობენ ძლიერ ლამაზია, — მზგავსია ბროლის!
და თუ აგრეა, მომგვარე, რომ ვიჯერო გული!..
და ეს სურვილი წამსვე იქნა შესრულებული.

III

გათენდა დილა, ქარი ჩადგა, მზემ ოქროს სხივი
დაღესტნის მთებში მოაფრქვია უცხო ხალისით;
ხოლო გიორგი, როგორც წყალზე მცურავი ტივი
ფარჩის ლოგინში გორაობდა აგურხანისას.

ზელიმხანი ხომ ტყედ გაიჭრა, მაგრამ იმისი
ცოლიც და შვილიც დღეს მოსისხლე მტერის ხელშია.
თუ კი ისურვა, ვერ დაიჭერს ალლაჰის რისხვაც,
მოჰკლავს და მორჩა, დაიამებს გულის ჯავრს მშიერს.
მაგრამ გიორგის სულ სხვა ფიქრი გულს უტრიალებს,
იგი ელის, რომ ავი ხვედრიც დადგება მალე,
როცა საწუთრო ულმობელი და სატიალო
დაღესტანის გმირს დაუხუჭავს ორთავე თვალებს.

IV

დაჰქრის ზელიმხან ოსინოვის ავ ხეობაში,
როგორც ხანძარის დახვეული ირიბი ალი
და ახლა, მხოლოდ უტრიალებს ბურანად თავში
მძლე აგურხანის და გიორგის შემონათვალი.
როგორ? ყაჩაღმა თავი გასცეს თავისი ხელით,
თან იარაღიც აიყაროს, სად გაგონილა?!
უწინ ცა გასწყრეს და შეინძრეს ქვევით ქვესკნელი,
ვინემ ზელიმხანს გაუთენდეს ასეთი დილა!
მერე, ეგ რისთვის? როს მნახავენ უიარაღოს
თავსაც მომკვეთენ, კარგად ვიცი მათი პირობა!
იქუხე მედგრად ზელიმხანის გულო ამაყო,
მთელ დაღესტანში ზღაპრად დადის შენი გმირობა.
ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ზელიმხანი უიარაღოდ!
ცა უმეხოდ და დედამიწა — უპურმარილოდ!
რად არ გაიტკლეც, ჯოჯოხეთო, გულს უღარიბესს,
თუ შენც ასეთი ბედი გელის გაუხარელი!

V

მაგრამ ჰა, დადგა ზელიმხანის დრო სასურველი,
მოდის გიორგი ოსინოვის ვიწრო ხეობით
და გზაზე ახლა სამოსისხლოდ არავის ელის,
მოდის ამაყად და თან მოსდევს რაზმიც მხნეობით;
ზელიმხანი კი, ხიდისთავთან ჩაჯაფრებული,
მოელის მტერს და გულიც მკერდში გორავს ლოდივით.

სად შეუძლია მას ამდენი ცდა და ლოდინი?!
უნდა ამოხტეს საფარიდან, მაგრამ ჰა, უცებ
თვალწინ გამოჩნდა ის, ვინც ასე ამღელვარებდა.
მყის შეასწორა ყარაბინა მოხდენილ გულზე
და ცხელმა ტყვიამ ამოხეთქა სისხლი ღვარებად.
მოკვდა გიორგი, ახლა რაზმმაც იბრუნა პირი,
ზოგი სად გარბის და ზოგი სად ვიწრო ხვეულით.
ზელიმხან ყვირის, როგორც ომში ძლევის საყვირი
და უსწორდება ყაზახ რუსებს ცოფმორეული.
მაგრამ, ვით ხშირად, როცა ვეფხვი უდაბნოისა
წამოეწევა ქარავანს და დაჰკრავს ტორს ძლიერს, —
ბედუინები კი, ამ უცებ მოვარდნილ რისხვას
უბედურებად და ალლაჰის წყრომადა სთვლიან, —
და, ვით უეცრად საზარელი იგი ნადირი
ერთ-ერთ ბედუინს მოიტაცებს მყლაპავი პირით
და გაქანდება შურდულივით — ისე ზელიმხან
მოჰკლავს რა უცებ ბოქაულსაც მახვილი დაშნით,
მყის გაიჭრება ხევისაკენ მქროლავი რაშით.

## VI

სძინავს აულებს, შუაღამეა, ამოდის მთვარე,
დაღესტნის მთები შევერცხლილა უკვე ჭაღარით.
და ამ ღამეში ბრაზიანი ქარი მშფოთვარე
დაჰქრის ზმუილით ნადავლი და ნაყაჩაღარი.
თვით ხის შტოებსაც წვავს და სუსხავს ყინვა საზარი,
მაგრამ ზელიმხან არ გაურბის სუსხიან ღამეს
და თავის ლურჯას მიაქროლებს დაუდეგარი,
რომ გაასწოროს ხშირი მთების ქიმი და ხრამი.
ყაბარდოელ ცხენს რა დაიჭერს ამაყს და ძლიერს,
მიჰქრის ზელიმხან, არსად გზაზე მარცხს არ მოელის,
იგი თავის ცხენს არასოდეს არ გაიმეტებს
და არც მერანი გასწირავს მას ყაბარდოელი.
ზელიმხანს უყვარს თავის ლურჯა, ქვეყანას ოხერს
აშკარად ებრძვის, ცხენსაც ესმის გმირი მხედარის.

ორთავეს გული ფოლადია და მეამბოხე,
ორთავეს სისხლი ცხელია და დაუდეგარი.
მიჰქრის ზელიმხან, მაგრამ აგრე რად მოიჩქარის
მძლე აგურხანის აულისკენ, როგორც შურდული?
შესაძლო არის სიყვარულის მგზნებარე ალი
დაღესტნის არწივს გულზე ცეცხლის ზოლებად უვლია!
მაგრამ აგურხან, ხომ მტერია ზელიმხანისა,
ვით დღე და ღამე, ცა და მიწა, ცეცხლი და წყალი,
როგორც ვეშაპნი და ნიანგნი ჰირკანიისა —
არ შეუძლიათ გაუჩერონ ერთმანეთს თვალი.
აგურხანს სისხლი უდუღს გულში ავი ძახილით,
ზელიმხან კიდევ აგურხანის მტრობისგან ღელავს
და გაცოფებულ ორი ლეკის ბასრი მახვილი
ამოღებული ქარქაშიდან მრისხანედ ელავს.

## VII

მთელ დაღესტანში განთქმულია მძლე აგურხანი,
მას ვინ არ იცნობს, აქვს სასახლე სიკეთით სავსე
და მთელ აულის მოყმეები, კაცი თუ ქალი
მას როგორც ბატონს ევლებიან მორჩილად თავზე.
ჰყავს ერთადერთი მას ლამაზი ქალი ლეილა,
რომლის მშვენებამ აუძგერა ზელიმხანს გული
და ამ ხანუმის სავსე სახე — ლაჟვარდი დილა —
არის ძვირფასი ვარდყაყაჩოდ აყვავებული.
სწორედ ამ დროზე, შარშან, როცა ყინვა სწურავდა
ლეკეთის მთებს და მთაგორაკებს მსუსხავი ძალით —
მივიდა ჩუმად ზელიმხან და დაუყურადა
ხანის აულს, რომ მოეტაცა ლამაზი ქალი.
მაგრამ შეუტყვეს ამაყ არწივს კარისკაცებმა,
გადაუკეტეს ალაყაფი, შეჰქმნეს ქადილი
და ამის შემდეგ ქალის ცხით გამოტაცება
ზელიმხანისთვის აღარ იყო უკვე ადვილი.
ეგ შარშან იყო, დღეს კი, გული ამაყ მთიელის
აღარ ეტევა საბუდარში, გახელდა დათვი

და საყაჩაღო ასპარეზი და სარბიელი
მას აღარ ყოფნის გულის ჯავრის დაცხრომისათვის.
მაგრამ, ვით ხშირად მძლე გრიგალის მოვარდნის უწინ
შავს ულრან ტყეში მყუდროება დაისადგურებს,
აღარ სცემს ბინდი და ფოთლებიც დაწყნარდებიან
ისე, რომ მათი შრიალიც კი არ ესმის ყურებს —
და, ვით უეცრად ეს გრიგალი ამოვარდება,
გაარღვევს ხოლმე ამ სიჩუმეს, — ისე ზელიმხან
მიუხტა მთაში მძლე აგურხანს არწივის მსგავსად
და ახლა იგი არ ზოგავდა ცხენსაც და თავსაც.

## VIII

ატყდა ყიჟინა, ატყდა ზათქი, ატყდა ხმაური.
ყვირის აგურხან, — ჩემი ქალი როგორ დანებდა?!
ამაო იყო ყველაფერი, გრგვინვა აულის,
თავის ლეილას ზელიმხან წინ მიაქანებდა.
— ორასი ოქრო, ვინც მიაწვდენს ტყვიას ყურშუმის!
— ხუთასი ოქრო, ვინც მოიტანს თავს მაგ ოხერის!
მაგრამ ყმებს შორის იდგა მხოლოდ ცივი სიჩუმე
და არ მოჩანდა ზელიმხანის მოსისხლე მტერი.
ყვირის აგურხან, თავშიც იცემს, ალმური დაგავს,
მაგრამ არავის ესმის ვიში და მწუხარება
და მოხუც სვავის მრისხანებით სავსე თვალთაგან
მოდის და მოჰქუხს მდუღარება მლაშე ღვარებად.
მაგრამ ეგ ვიში მოხუცს უფრო მკერდში გულს უპამს.
მიჰქრის ზელიმხან შევარდენის მაგარი ფრთებით
და დაღესტანის გაწოლილი ხრამი და მთები
ყაბარდოელ ცხენს თითქო თვალშიც აღარა უჩანს.

## IX

გავიდა წელი, აღარა ჩანს კაცი მნახველი
მძლე ზელიმხანის, თითქო იგი დაინთქა კიდეც:
მაგრამ მოშუღლე აგურხანის შავი ნაღველი
ისე დიდია, რომ ლეკეთიც ვეღარ დაიტევს.

გზავნის მეგზურებს და მწყემსებსაც იბირებს მწყრალი.
არ ზოგავს დოვლათს, ოღონდ ხელში ჩაიგდოს მტერი,
მაგრამ არსად ჩანს ზელიმხანის ამქვეყნად კვალი
და მოხუც ვერაგს უსივდება ნაღველი ძგერით.
— მონავ, მურტალო, უსარგებლოვ, სად გქონდა თვალი,
რად არ შეაკვდი მომხდურ ვეშაპს, გეძინა განა?
ჩაძაღლდე უნდა, ანდა ბატონს მომგვარო ქალი,
მთლად მოიარე მთა და ბარი, ცა და ქვეყანა!
და თუ შენ შეძლებ, მომიტანო მტარვალის თავი,
დაგასაჩუქრებ, ვფიცავ, ალლაჰს. რამდენიც გინდა
ბაჯაღლო ოქრო, მამულები, ძვირფასი თვალი,
ფარჩეულები და ზარბაბი, — ხასიდა წმინდა.
მაგრამ თუ ოდნავ ვერ შეიძელ ესოდენ მწვავე
ჩემი სურვილის აღსრულებას, ვფიცავ, ამ მეჩეთს,
გიჯობს, შენივე ხელით გასჭრა შენი საფლავი
და ცოცხლად ჩაწვე, ვინემ ფუჭად მოხვიდე ჩემთან,
ოჰ, ზეცის ძალნო, სასოებავ უკვდავებისა,
მომეშველენით, სანამ ქვის გულს გავიმეხავდე!
მომეცით სისხლი, მტერის სისხლი, სისხლი მხეცისა,
რომ ამ სისხლითვე შევიღებო თავით ფეხამდე!..

X

არ ჩანდა ქვეყნად ზელიმხანი, მდევრები ბრიყვი
თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ ვერსად იპოვეს კვალი,
რადგან საფარი ტყედ გაპრილი ვაჟკაცის იყო
ხალხის გული და თვით ლეკეთის კაცი თუ ქალი.
ესეც არ იყოს, ცოფიან ლომს ვინ შეეჭიდოს,
მახის დამგებად, როცა მას თვით გმირობა ჰფარავს
და შეუძლია გამორეკოს ყველა მდევრები
ისე, ვით მწყემსი საძოვრიდან გამორეკს ფარას!
— წყეულიმც იყოს სატანა და ეშმა ცბიერი!
წყეულიმც იყოს ის დღე, რა დღეს მეყოლა ქალი!
მაგრამ ეგ წყევლა იყო მცირე და წუთიერი
და ისევ ხანის გულს ხვდებოდა მგზნებარე ალით.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲕᲘᲗ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲘᲡᲐᲡ
ᲛᲝᲘᲢᲐᲪᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲭᲐᲜᲓᲔᲑᲐ, ᲕᲘᲗ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲢᲧᲕᲘᲐ,
ᲐᲦᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲪᲘᲡ ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲖᲔ ᲓᲐ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ
ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲧᲜᲐᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ.
ᲓᲐ ᲕᲘᲗ ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ᲡᲐᲖᲐᲠᲔᲚᲘ ᲤᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲐᲖᲕᲐ
ᲪᲘᲡ ᲚᲣᲠᲯ ᲙᲐᲛᲐᲠᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲔᲠᲐᲕᲡ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ
ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ, — ᲘᲡᲔ ᲖᲔᲚᲘᲛᲮᲐᲜ
ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲭᲠᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲬᲘᲕᲘ
ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲘᲧᲝ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ ᲪᲘᲕᲘ.

## XI

ᲐᲣᲚᲘ. ᲛᲗᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲝᲑᲐᲐ, ᲖᲔᲘᲛᲝᲑᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ
ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲪᲔᲙᲕᲐ-ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ.
ᲐᲠᲘᲡ ᲯᲘᲠᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲪ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲡ ᲐᲚᲮᲔᲜᲡ,
ᲛᲫᲚᲔ ᲖᲔᲚᲘᲛᲮᲐᲜᲘᲪ ᲛᲝᲘᲡᲬᲠᲐᲤᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲝᲑᲐᲨᲘ.
ᲬᲐᲛᲡ ᲖᲔᲓ ᲛᲘᲘᲭᲠᲐ, ᲚᲔᲙᲡ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ.
— ᲒᲖᲐ! ᲓᲐᲘᲫᲐᲮᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲠᲝ ᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ
ᲓᲐ ᲖᲔᲚᲘᲛᲮᲐᲜᲘᲪ ᲜᲣᲒᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲐᲣᲚᲘᲡ
ᲛᲝᲭᲓᲔᲣᲚ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲭᲠᲐ, ᲕᲘᲗ ᲝᲠᲗᲥᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ.
ᲐᲢᲧᲓᲐ ᲨᲔᲓᲚᲣᲚᲘ, ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲯᲘᲠᲘᲗᲘᲪ ᲣᲪᲔᲑ,
ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲡ ᲓᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲛᲝᲜᲘᲪ ᲓᲐᲣᲙᲠᲔᲡ ᲩᲥᲐᲠᲘ.
ᲐᲥ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚ ᲚᲔᲙᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲣᲪᲔᲛᲡ,
ᲑᲝᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲕᲓᲐ ᲐᲥ ᲐᲠ ᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ.
— ᲯᲘᲠᲘᲗᲨᲘ ᲕᲘᲜ ᲯᲝᲑᲡ ᲛᲝᲯᲘᲠᲘᲗᲔᲓ? — ᲛᲫᲚᲔ ᲖᲔᲚᲘᲛᲮᲐᲜᲘ!
— ᲢᲧᲕᲘᲐ ᲜᲘᲨᲐᲜᲨᲘ ᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ? — ᲖᲔᲚᲘᲛᲮᲐᲜᲘᲡᲐ!
ᲓᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲑᲘ, ᲙᲐᲪᲘ ᲗᲣ ᲥᲐᲚᲘ
ᲔᲜᲗᲝᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲩᲐᲣᲥᲠᲝᲑᲔᲚ ᲡᲘᲢᲙᲑᲝ-ᲮᲐᲚᲘᲡᲐᲓ.
ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲝᲐᲮᲢᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲚᲣᲠᲯᲐᲡ ᲛᲗᲘᲡᲐ ᲐᲠᲬᲘᲕᲘ,
ᲛᲝᲖᲔᲘᲛᲔ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲐ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ
ᲓᲐ ᲐᲥᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲛᲝᲦᲣᲨᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲛᲙᲔᲠᲓᲘ ᲪᲘᲕᲘ —
ᲣᲪᲔᲑ ᲐᲔᲜᲗᲝ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲐᲚᲘᲗ:
— ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲮᲝᲛ ᲘᲪᲘᲗ, ᲐᲒᲣᲠᲮᲐᲜᲘ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲘᲞᲘᲠᲔᲑᲡ!
— ᲕᲤᲘᲪᲐᲕᲗ ᲐᲚᲚᲐᲰᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲕᲔᲠᲐᲒᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲛᲮᲐᲠᲘ.

— იმას ჰგონია, ისე მომკლავს, ვით მთაში ირემს!
— უწინამც მეხი თავს დაატყდეს მძლე ნიაღვარით.
— ხალხო, ზელიმხან ყაჩაღია, მაგრამ ძერწნუნეთ,
იგი თქვენს ნამუსს და მთიელის სახელსაც იცავს.
ძვირფასი არის მისთვის ხალხის ყოველი სიტყვა
და უფრო ძვირი დაღესტანის კეთილი მიწა!
— იყავ დღეგრძელი და იკურთხოს შენი მარჯვენა!
— ხალხო, თქვენ იცით, ოჯახი მთლად გამინადგურეს,
მაგრამ არ სჩივის უბედობას გული მაგარი.
ჩემი სახელი ყველამ იცის მთელ დაღესტანში,
თვით ამ სახელმა თქვას ზელიმხან რაც კაცი არი!
— ვიცით, გმირი ხარ, ჩაგრულ ხალხის მოსარჩლე გმირი!
— მაგრამ გმირობას ჩემსას, ხალხო, ტალახში სვრიან!
კმარა მოთმენა. ჩემ თავს თვით მე ვუყავ ზიანი!
დღეიდან ჩემი სიხარული მხოლოდ სისხლია
და საყაჩაღო ყარაბინი პირმეხიანი!..
თქვა ეს და გაჰქრა, რაშმაც ისე მოუსვა ფოლო,
რომ თვით მხედარმა ქარის ცემით თვალი დანაბა;
და ამის შემდეგ წერტილი-ღა მოჩანდა მხოლოდ —
მიაქროლებდა ცხენი თითქო ცარიელ ნაბადს.

## XII

შეჰკედლებია ზელიმხანი ძველ ციხეს მთაში,
რომელიც თითქო ხელაპყრობით შეჰყურებს ალლაჰს
და ბექობს ქვევით სძოვს უნაგირმოხდილი რაში,
უხვად დაფენილ მობიბინე ნოყიერ ბალახს.
უწინ ეგ ციხე იყო ქვეყნის მტკიცე ადგილი,
ქვითკირის მკერდით ედგა ამ მთას სეტყვა-ქარიანს.
მაგრამ დღეს იგი არის ჩარდახ-გადაგლეჯილი
მხოლოდ ყაჩაღთა და აბრაგთა თავსაფარია.
ლურჯა სძოვს ბალახს; ეგ ძმა არის ზელიმხანისა,
როცა გრძნობს საფრთხეს
და განსაცდელს დაიწყებს ჰიხვინს,
და ზელიმხანმაც იცის მაშინ, რომ რაღაც რისხვა

ახლოვდება და წამს ყურს დაცქვიტს მამალი ჯიხვი.
მაგრამ ჯერ ისევ სიმშვიდეა, აღარც ქარია,
თვლემს მთის გარემო ღრმა წყვდიადში, ღამეა ბნელი
და მკერდდაღარულ მთაგორაკებს ნიაღვარიანს
მოსდევს ჭალები საოცნებო და საკვირველი.
მაგრამ ვინ არის, აგერ ჭალის ნაპირს რომ გასცდა,
გზა მოუხვია და იბრუნა მთისაკენ პირი?
რა დაჰკარგვია ამ ღამეში აბრაგს და ოხერს?
იქნებ, ის ფიქრობს, მოჰკლას ჩუმად მთიელი გმირი!
დიახ, ეს სწორედ აგურხანის ყმა ომარია,
იგი აავსო ვერაგ სვავმა უხვი წყალობით
და ამის შემდეგ ხარბი გული უცებ არია
დიდ სასყიდელმა ვერაგობით და მტარვალობით.
ბრიყვი ყოველთვის ბრიყვი არის, მოსისხარ თავში
ფიქრის საგანი ხანჯალი და მხოლოდ თოფია.
მან უნდა მოჰკლას ზელიმხანი, სხვა შემთხვევაში
სიტყვას გასტეხს და, ვით გადურჩეს ვერაგ ცოფიანს!

## XIII

შუაღამეა, ზელიმხანი ჯერ მოკრძალებით
უცქერს სატურფალს შორეული ტკბილი ალერსით
და ლეკი ქალის ნამიანი ფართო თვალები
იწურებიან მორცხვობით და ვნება-ალერსით.
— ასე არავინ მყვარებია, ქვეყანაზედა!
— ვით დავიჯერო, სასურველო, მატყუებ, ვხედავ!
— ო, ვფიცავ მეჩეთს და თვით ყურანს, ხელთ რომ მჭერია.
— კიდევ არ მჯერა, თუმც ეს ფიცი დასაჯერია!
— ენდე ჩემ სიტყვებს და არასდროს ინაღვლებ, ქალო!
— სიტყვას ვით ვენდო, თუ კი გული აღარა მწყალობს!
— გულიც გწყალობს და ზელიმხანიც,
მიყვარხარ ძლიერ!
— მერე, ეგ შენი სიყვარული რამდენად მძლეა?
— ესე მტკიცეა, ვით კაშხალი, ქვა და ფოლადი!
— ამას სისხლი სჯის, რასაც გული მოჰკლავს ბოლომდე.

— არ გეწყინება ქვის გული, რომ გამიჭრას ტყვიამ?
— მანამ თვით მოვკვდე და უწინამც დღე დამლევია!
— მაშ, გყვარებივარ! ოჰ, მომეკარ გულმკერდზე ასე!
და წამს ტუჩებიც ირიბულად გადაირაზეს.

## XIV

როს ხვევნის ცეცხლში ტრიალებდა ქალიც და ვაჟიც
და სიყვარულის გახელებას გრძნობდა ამური,
უცებ მთის ძირში აჭიხვინდა ერთგული რაში
და ზელიმხანმაც მყის დაცქვიტა მახვილი ყური.
— ვგონებ, რაღაცა უნდა იყოს, ჯობს რომ მივხედო,
— არაფერია, ნუ მიდიხარ, ჩემო იმედო!
— ვაჰ, თუ მტერია და შესცვალოს ხალისი გლოვად,
— ასეთ ღამეში სამტროდ მთაში ქაჯიც ვერ მოვა!
— მაშ კარგი, ვრჩები, თუ მტერია, მეც გავცემ პასუხს.
—შენი ღონე და ვაჟკაცობა. მჯერა, ძვირფასო!
— ოჰ, დიდებულო, ქალთა მეფევ, დაღესტანისა,
მათბობს და მათრობს სურნელება შენი ტანისა!
და ზელიმხანმა გაათავა რა ეს ალერსი, —
ლეილა ხანუმს ჩაეკონა ვნებაალესით.

## XV

სძინავს ზელიმხანს, ქალსაც სძინავს მთვლემარე ძილით,
ცა მიბნედილა და მიწასაც ცასავით სძინავს.
მაგრამ არ სძინავს ღამის ოხერს ბასრი მახვილით
და ციხის გულში ზელიმხანის დაეძებს ბინას.
აგერ, მიაგნო მწოლიარეს. ღამის ვერაგი,
ისე მტკიცეა, თითქო გულში ჩანჩქერი უცემს,
მაგრამ ამაყი მთის არწივის მარტო სულისთქმამ
ომარს ღონე და ნებისყოფა მოჰკვეთა უცებ.
ცეცხლით აენთო, მეხის ჭექამ გულს დაუარა,
დგას აქ ბოროტად ჯოჯოხეთურ ქანდაკის მსგავსად

და ვეღარ ბედავს, აღმართული ფხიანი ხმალი
დაარტყას მკვეთრად ზელიმხანის მძინარე თავსა.
მაგრამ, ვით ხშირად მძინარე ლომს უღრან ტყისასა
თავს წაადგება მონადირე მოულოდნელად,
უკან დახევის დროც არ არის და ისევ იგი
მოემზადება შებმისათვის უკახასკხელად —
და, ვით უეცრად მონადირე თოფსაც შემართავს,
რომ მყის გაგმიროს მხეცის გული, ისე ომარმაც
აღმართა ხმალი, ბასრი ხმალი, მაგარი მკლავით,
რომ ერთი დაკვრით წააკვეთოს ზელიმხანს თავი.
აგერ, მივიდა, სულ ახლოა, თანაც ყოყმანობს,
მაგრამ ბოროტი როგორ დაძლევს თავის სიბრაზეს,
არ მოერიდა, არ დაინდო და ბასრი ხმალი
დაჰკრა ზელიმხანს აფრასავით აღმართულ თავზე.
და ჰა, შეიძრა თითქოს ერთხელ მორგვი მიწისა,
შემდეგ დამშვიდდა ოდნავ არე ქუში და მწყრალი,
და როცა გული განგმირული კიდევ ქელავდა
აღარ ელავდა მრისხანებით მძლეველი თვალი.

1927

# არსენა ჯოჯიაშვილი

## თავი პირველი

არის თბილისში, როგორც ელადა,
უძვირფასესი ლამაზი მხარე,
და მასში სისხლი მაჭრად მდუღარე,
მოდის და მოჰქუხს უზრუნველადა.
აქ, როცა ცხელი მზე სხივნაყარი
ტიტველი გულით დაჰყურებს მიწას,
ასე მგონია, მხურვალე დარით
მშობელ ქვეყანას მტრებისგან იცავს.
ეგ არის ჩვენი ნაძალადევი,
მისი მზე ახლაც სხივების ღვარებს
უხვად შლის ირგვლივ და როგორც დევი,
იცავს ამაყად თბილისის კარებს.
რამდენ წვალებას და მწუხარებას
ამ მიდამოზე მიწა უთხრია,
მაგრამ მებრძოლებს მძლე მქუხარებით,
მტრების წინ ქედი არ მოუხრიათ.
არ მოუხრიათ და ამ ჭიდილში,
ბევრნიც დანთქმულა ბრძოლის მშვენებად.
მაგრამ, სად არის გმირთა სახელი,
ხალხში დღეს რატომ არ იხსენება?
ვხედავ, ბრძოლებიც თითქოს წავიდნენ,
უწინ, რომ ჰქუხდნენ ტალღებად თერგის,
მაგრამ დღეს იგი არ წალეკილა,
ვით რუს ნაპირზე მიყრილი ხერგი.
რადგან ამ ბრძოლებს ოდნავ არ ჩრდილავს,

დღეს ისტორიის ხმები მყვირალი, —
იმან იტიროს, ვინც ღვარძლი სთესა,
თორემ, ჩვენ რა გვაქვს დღეს სატირალი?
წარსული ჩვენი ნათელი არის
და მომავალიც ისე ბრწყინვალე,
როგორც მზის სხივთა მომსკდარი ღვარი —
მწველ ცქრიალით რომ აბრმავებს თვალებს!
ესეც არ იყოს, დაჩაგრულ ძმებში,
ჩვენც სასახელო ხვედრი გვრგებია
და სასახელოდ მრავალ ბრძოლებში
წითელი დროშა გვიტარებია.
თუმცა ეს დროშა დაფლეთილია,
ვით ძველი ყოფა და იდილია,
მაგრამ თქვენ იცით, ამხანაგებო,
ეს მოგონებაც რარიგ ტკბილია!
ის დაიცრიცა თან მებრძოლები
სისხლით რომ იყვნენ მკერდდაბანილი
აღარ არიან დღეს ჩვენს ქუჩებში
სხვა დროშებია გამოტანილი.
ჰქუხს ახლაც ჩვენი ნაძალადევი
და შრომის შვილთა ძლევის არია
მე მომაგონებს მდინარეს ხევის,
მომსკდარს, მოვარდნილს, ნიაღვარიანს.
რომელიც მუდამ ღმუის და ყვირის,
როგორც დაჭრილი ავი ნადირი
და ჟამთა ცეცხლის წვას და სიაფთრეს,
იგი თავისი მხრებით მიათრევს.

## თავი მეორე

ტრიალ მინდორზე უხვ სილამაზით
გადაშლილიყო წყნარი დაისი
და სავსე მთვარე კრიალა ცაზე
ვიდოდა ჩუმი სიდარბაისლით.
ტყე უდაბური, ტყე გულზვიადი,
ახლა მდუმარე ამაყი გულით —
გარემოცული ავ სიწყვდიადით

იყო საოცრად ჩაფიქრებული.
ხოლო ვარსკვლავნი მოკაშკაშენი
ღამის იდუმალ ფერით ნალესნი —
გადმოჰყურებდნენ მთვლემარ ქვეყანას
დაუსრულებელ ჩუმი ალერსით.
მიწურულიყო ხალისი დღისა,
თითქო მთებსაც კი ჩასძინებოდათ,
და უზრუნველი ჩხრიალი წყლისა,
მივარდნილ ხევში ისმოდა ოდნავ.
იყო მოწყენით ასე გარემო
და ასეთივე მკრთალი იერით
ზედ დანათოდა თვალებგაშლილი
ცა უღრუბლო და ცა მშვენიერი.
ხოლო მწყემსი კი, იქვე ტირიფთან,
თავდავიწყებით თავის სალამურს
ხან აკვნესებდა, ხან ატირებდა,
მარად ტკბილსა და მარად საამურს.
რა უნაღვლოა ცხოვრება მისი,
ტკბილი განცდები ათასგვარ ხმაზე!
უვლის ნახირს და არცერთი ბოღმა
მას არ აწუხებს ამ ქვეყანაზე,
მაგრამ ჰა, უცებ, გუშაგი ძაღლი,
მოულოდნელად წამოხტა ზეზე.
და მორთო ყეფა, რა დაინახა
მოძრავი შავი წერტილი ველზე.
მწყემსმაც გაჰხედა გარემოს მდუმარს,
და რა იხილა მგზავრი გვიანი,
ძაღლს გაუჯავრდა და უცხო სტუმარს
წინ მიეგება ხალისიანად.
— მწყემსს გაუმარჯოს! — იცოცხლე, ძმაო,
თუ გულს კეთილი განზრახვა გიდევს!
— დუშეთელი ვარ, ჯორჯიაშვილი,
დიდი გზა დარჩა მცხეთამდე კიდევ?
— ათიოდ ვერსი, მაგრამ ამ ღამე,
ჯობს რომ აქ დარჩე, მეც შენთან ასე,

დროს გავატარებ და რომ იცისკრებს,
გაგაღვიძებ და წახვალ შენს გზაზე!
ნუ გერიდება, ხომ იცი, ძმაო,
„ყველი და პური, კეთილი გული“
მამა-პაპიდან მოგვდევს ქართველებს,
როგორც ადათი მოწონებული.
აი, ეს არის რასაც აქ ხედავ,
რაც ქვეყანაზე მე მაბადია —
და ვეთხოვები ტანგაუხდელი,
აქ ყოველ ღამეს შავნაბადიანს.
ვუვლი ნახირს და ერთგული ძაღლიც
კეთილ მეგობარს ჩემშიაც ხედავს.
იმისი შიშით ულრან ტყის ნადირს
ჯოგზე დაცემა ვერ გაუბედავს.
ბევრი რამ არის აქ სახალისო,
მაგრამ მოწყენაც საკმაოდ არის.
მაგრამ მერწმუნე, ძმაო, მთელ სოფელ'ს
ჯობს ტყეში გდება მშვიდი და წყნარი.
ეს მაინც რად ღირს, რომ ბოქაული
დაუნდობელი, ბოროტი ხელით,
რომ არ მადგია თავზე ყოველ დღე,
გულზვიადი და ჯავრის ამყრელი.
კმაყოფილი ვარ, ვცხოვრობ აქ ჩემთვის,
ნაცნობთ, ნათესავთ, ძმათ მოკლებული,
მაგრამ ყველაფერს აიტანს, თურმე,
ძმაო, კაცის ქვა, ამაყი გული.
განა ოდესმე წარმოვიდგენდი,
მარტოკა გდებას ამ ულრან ტყეში,
ჩემი სიცოცხლის ნათელ დღეების
ასე ჩაჭკნობას სიყმაწვილეში?
მაგრამ, რას ვიზამთ, ბედი ყოფილა
მეფე, თვით ჩვენი ნების გარეშე
და გვხუთავს ყველას მისი ზვირთების,
მჭუხარება და სიავთარეშე.
მწყემსი ვარ, ძმაო, მაგრამ ვარამი

ჩემი ქვეყნისა აქამდეც აღწევს.
ჩემთა მოძმეთა მწუხარე ხვედრი
მეც გულზე მძიმე ლოდივით მაწევს.
შენ ახლა მიცქერ მე როგორც მწუემსსა,
მაგრამ გენახე, ძმობილო, მაშინ,
როცა ქალაქში ყაზახ რუსებთან
და ცხელ ტყვიებთან მქონდა თამაში?!
დიახ, მეც ვიყავ ერთხელ მებრძოლი,
ერთ დროს მეც მქონდა გული კლდესავით,
და ხალხის მტერი სადაც კი შემხვდა,
არ დამრჩენია გაუსრესავი.
მაგრამ მომწყინდა ცხოვრება მგლური
და სულ მშფოთვარე დღეები რთული,
ახლა, აქა ვარ, ვცხოვრობ, ვით მწირი
ტყესა და ველებს შეფარებული!
— განა ქალაქი ისე ცუდია,
რომ იქ ცხოვრებას ტყეში ჯობს ყოფნა?
— არ იცი განა, იქ ჩვენი ხალხი
მძიმე შრომაში იღვრება ოფლად?!
ქალაქი, ძმაო, პირდაპირია,
თანაც გულქვაა და ულმობელი,
ჯავრის ამყრელი და გულზვიადი
ოფლის და სისხლის მარად მდომელი.
მარად მოძრავი და ბობოქარი,
ნიაღვარივით დაუდგრომელი,
და მისი გული კერპად ქცეული
ვერაგია და დაუნდობელი.
ბევრი მინახავს მისგან წამხდარი
და უფრო ბევრი, ცრემლით მტირალი;
შენ ეს გაოცებს ვხედავ, ძმობილო,
მაგრამ როდია გასაკვირალი!
ახლა, სოფელსაც გეტყვი რაც არი:
იგი სიმშვიდის თითქოს მწუემსია,
მაგრამ იმისი ღველფის ნაცარი,
თვით ჯოჯოხეთზე უარესია!

ჩუმი, მკბენარი და არგამტანი,
სიხარულშიც კი, ნაღველი შეაქვს.
აქ თვითეული გლეხის სიცოცხლე
ბოქაულის და გზირის ხელშია.
მაგრამ მე გირჩევ, მაინც აქ დარჩე,
გავიყოთ ერთად ჭირი და ლხინი,
როცა გული-გულს შეუთანხმდება —
მას ვერც ზამთარი დააზრობს ყინვით!
— არა, გზა უკვე არჩეული მაქვს,
მე, აქ, ძმობილო, არ მეცხოვრება!
მივალ ქალაქში, თუმცა სოფელიც —
სიკვდილის დღემდე მემახსოვრება!
მჯერა, ეგ ხსოვნა იქნება მწარე
და გულს სევდების ზღვა დააღონებს,
მაგრამ რაც დროა, ჩაჰკლავს ამ ნაღველს,
ახალგაზრდული ძალა და ღონე.
სხვა რა არის ძმავ, ამ ქვეყნად კარგი,
რომ ესეც ჩვენთვის კეთილი იყოს!
ცხოვრება მოჰქუხს, როგორც მდინარე,
ჩვენ კი, ქვები ვართ თვალუწვდენ რიყის!
და ამ ქვებს ტალღა ავი მდინარის,
რომ მიაგორებს თავის ნებაზე —
ქაფი დუღს, ტალღა კლდეს შეჰღრიალებს,
ქვა კი არ ფიქრობს დამარცხებაზე!
მშვიდობით, ძმაო, მადლობელი ვარ,
რომ მესაუბრე გულთბილად ასე,
ღმერთმა ჰქნას, კიდევ შევხვედრილიყოთ
ერთმანეთს, ჩვენი ცხოვრების გზაზე!
თქვა ეს და ღამის სიწყვდიადეში
წამს გაექანა, კეთილი მგზავრი.
მწყემსი კი, იდგა თავის კარავთან
დაღონებული, აღვსილი ჯავრით.
და შორს ტყისაკენ მიმავალ ლანდურს,
ისე უცქერდა ჩუმი ხალისით,
რომ ამ დროს იგი სასომიხდილი,

ცოდვა იყო და შესაბრალისი.
ვინ იცის, გულში რა მდუღარება
უტრიალებდა ნიაღვარივით?!
იდგა მარტოკა, იდგა მოწყენით,
ვით უთვისტომო ვინმე ყარიბი!
და არემარეს მოკრიალებულს,
მინდვრებს ცვარნამას და უტალახოს,
იგი უცქერდა ისე მშიერი,
როგორც ირემი საიალაღოს.
მგზავრი კი მიდის შეუჩერებლივ,
და მისი ცეცხლით აღსავსე სული
წინ ეზიდება მოქანცულ სხეულს,
ახალ ცხოვრებას მოწყურვებული.

## თავი მესამე

უკვე ახლოა დედაქალაქიც,
ხოლო პირქუში ნაძალადევი,
როგორც ამაყი არწივი მთისა,
წამოსკუპულა ფერდობის ზევით.
აქ ერთი სახლი ირჩევა მხოლოდ
მნათობის შუქზე, ვით ანარეკლი
და იგიც ისე დგას მდუმარებით,
ვით მივიწყებულ საფლავზე ძეგლი.
ამ სახლში ახლა სძინავს გიორგის,
მუშას, მხნე მებრძოლს, ვაჟკაცს და ზვიადს,
სძინავს და მკერდი ამირანისა
რა უდარდელად გაუღეღია!
მთელი დღე შრომით მოღლილი ოდნავ,
ახლა სხეულიც ეძლევა ძილსა —
და რა იცისკრებს, მსწრაფლ უნდა ადგეს,
ქარხნის საყვირის მძლე დაძახილზე.
თუმც განთიადი კიდევ შორს არის,
ცისკრის ვარსკვლავიც არა ჩანს ცაზე,
მაგრამ ვინ არის, ასე სიფრთხილით

რომ უკაკუნებს გიორგის კარზე?.
— ვინ აკაკუნებს? — მე ვარ, არსენა!
— არსენა? — დიახ, ჯორჯიაშვილი!
— ჰა, მოდი, მოდი, ჩემო არსენა!.
და უცებ გაფრთხა თვალთაგან ძილი.
— საიდან, ძმაო, რამ გაიძულა,
რომ წამოსულხარ ფეხით ამ ღამე,
იქნებ ცუდი რამ ამბავი მოგაქვს
ჩვენი სოფლიდან, მითხარი რამე?
— ძალიან ცუდი, ჩემო გიორგი,
არაფერს არ გავს ცხოვრება ჩვენი;
ყაზახ-რუსების ავმა თარეშმა
მთლად მოგვისწრაფა სიცოცხლის დღენი!
ზოგს ციე ციმბირში უკრეს ძმავ, თავი,
ზოგიც საკანში ახლაც ზის ობლად,
რა სურათია, რა გულსაკლავი.
ოხ, რომ იცოდე, გიორგი, სოფლად!
სულ წახდა, ძმაო, ცხოვრება ჩვენი
და გაითელა ხალისიც თემის,
ვაჭარი გვღლეტს და ბობოლა გვხუთავს,
ბოქაული კი, მათრახის ცემით
დაივლის სოფელს და სადაც ნახავს,
კაცს მეამბოხეს და მეფის მძრახავს
ჯავრის ამოყრას არ აგვიანებს —
და თხრის მთელს ოჯახს ძირბუდიანად.
რამდენი კაი ვაჟკაცი წახდა
ასეთ ბრძოლაში იმ ვერაგ ძაღლთან?
რამდენის დედა ატირებულა,
მხეცის წინაზე ბრალად და წყლულად,
მაგრამ ჰე, ძმაო, ვერაგი გული,
შხამით და გესლით ადუღებული,
მეც მწვავედ დამწვდა განზრახვით ავით
და მასთან ბრძოლით წავაგე თავი!
— შენთან აბა, მას რა ხელი ჰქონდა?
— ის ხელი ჰქონდა, რაც სხვებთან, ძმაო,

განა ღრიანკელს თუკი საკმაოდ
ნეშტარში გესლი მოეპოვება
დაგზოგავს რითმე? მეც, ძმაო, ისე,
გულში ჩამიკლა მან სიხალისე
და ჩემი სიყრმის გაფურჩქვნილ იმედს
რკინის ურდული დაადო მძიმე.
დღეს ისევ ვხარშავ ამ უბედობას,
ბოღმას, ნაღველს და უიმედობას,
ცეცხლსა და ზავთსა ჩემივე გულის —
ერთად რომ არის ადუღებული.
ვხედავ, რომ გიკვირს, მაგრამ ჰე, ძმაო,
ახლა ჩემს გულში ხანძარი ავობს,
რომლის გუგუნი შესაძლო არის
არც კი გესმოდეს ესოდენ მწარე,
მაგრამ მე ვხედავ, რომ შენ გულშიაც
მას ღრმად ფესვები გადაუშლია,
რადგან სახეზეც ჭმუნვისა სხივი —
დახანძრებული ელფერით ჰღვივის.
ნუ მიწყენ, ძმაო, რომ აგრე უცებ,
ჩემი ვარამი გატაკე გულზე!
იყო დრო, როცა მზარავ ღვარებად
იგი სხვა გულსაც ამღელვარებდა!
თუ კი მომისმენ, ყველაფერს გეტყვი,
თუ, ვით გაფუჭდა ცხოვრება ჩემი.
ეს თქვა და უცებ შემოტრიალდა,
ცეცხლით ანთებულ თვალების მჩენი.
— ეს იყო წრეულს, ცხელი მკათათვე
იდგა, ვით ღველფის მწველი ღადარი.
უჭირდა კაცს და ნახირსაც მინდვრად,
გულს უწუხებდა მცხუნვარე დარი.
შემომწყვდეული ასეთ ხრიოკში
ტოროლაც სევდის ხმით დაგვტიროდა:
ხან კი გვესმოდა ჩხრიალი წყლისა,
ჩვენი მდინარის სანაპიროდან.
უწინ ეს მხარე, მწვანეთ გაშლილი

ჩვენი მდინარის ლამაზი ჭალა
თემს ეკუთვნოდა საიალაღოდ.
მაგრამ ვერაგს და უსინდისო ჯალათს
გულს ეყრებოდა, რომ ეს ველები
იყო ძველადვე გლეხების ხელში;
ბრაზი უჭერდა მგელსავით ყელში,
და ეს ველები პაპისეული,
ბოროტმა ჩვენდა გულისაკლავად
გადასცა თემის დამღუპველ თავადს.
ბევრი ვიყვირეთ, მაგრამ ჩივილით
არაფერიც არ გამოვიდა რა;
მზეს დაეფარა შავი ღრუბელი
და შემდეგ აღარ გამოიდარა.

ეს იყო შარშან, წელს კი, როს ავი
მოგვხვდა მკათათვე ცხელი და მწვავე,
გადახმა მდელო, ხმა მისწყდა რუსაც
და ველი მზისგან გადაიტრუსა, —
ჩვენ ბოქაულის დაუკითხველად
საძოვრად ჯოგი მივრეკეთ ველად.
ბოქაულთან კი, წესის მიხედვით,
ამოგვირჩიეს სამიოდ კაცი,
რომ მოგვეტეხა თხოვნით იმ მხეცის
ტლუ ხასიათი ავი და მკაცრი.
ჩვენ რომ მივედით, სამხარი იყო,
მზე გადასული წითლად ელავდა;
ბოქაული კი, ეზოში მარტო
ბოლთას სცემდა და ძალზედ ღელავდა.
თურმე, გაეგო იმ სატიალოს,
რომ დავბანაკდით მდინარის პირად.
ვაი, თქვენს მტერსა, რაც იმან გვიყო,
მისვლისთანავე შემოგვიბღვირა:

— როგორ გაჰბედეთ, არამზადებო,
ნახირის აყრა დაუკითხველად?
განა, არ იცით, რომ საძოვრები
თავადის პაპას ეჭირა ძველად?!
თითქო ეს არის ძლიერი მეხი
თავს დაგვეცაო, ამგვარად ჩვენა
ვიდექით ყრუდ და აღარ ეძროდა
არც ერთს ჩვენთაგანს მეტყველი ენა.
მაგრამ, ვით ხშირად ქუხილის შემდეგ,
ტყე შებერტყილი ცოცხლდება ისევ,
მეც აგრე გულმა არ მომითმინა
და ბოქაულთან მივიჭერ მყისვე:
— როგორ! შევყვირე: — ჩვენ იმ საძოვრებს
არვის დავუთმობთ ცოცხალი თავით!
იქ ჩვენს წინაპრებს ჩაუთესია
ოფლი და სისხლი, ღონე და მკლავი!
— შეხეთ ამ ლეკვსა, როგორ ყეფს აქა?!
იყვირა მხეცმა და მისი გული
ისე გასივდა ავ ბრაზისაგან,
ვით მოშხამული გესლისგან წყლული.
— მაშ, როგორც ვხედავ, შენ არც კი ფიქრობ,
საწყალ ხალხზე რომ იბრუნო გული!
რა დავაშავეთ, ჩვენ ხომ არა ვართ
ტყეში გაჭრილი ყაჩაღი, თული?!
ჩვენც ხომ კაცნი ვართ, ამ ქვეყანაზე,
დღე და ღამ ვშრომობთ, არ დრკება მკლავი.
თუ ბრძოლა არის, ჩვენც შეგვიძლია
ცხარე ბრძოლაში გავსწიროთ თავი!
— შეხეთ ამ რეგვენს, რაებსა როშავს,
სულაც არ ესმის ამ ხეპრეს ჩემი!
— როგორ არ გვესმის? შენ სასაცილოდ
ვხედავ არ გყოფნის წუხილი თემის!
თორემ ეს რას გავს, მოვსულვართ შენთან,
შენ კი, ღრიალებ, ვით ტყის ნადირი.
თუ საქმე მხოლოდ ყვირილი არის

ჩვენც შევსძლებთ ასეთ თავხედურ ყვირილს!
ვთქვი ეს მწარედ და ის იყო ბრაზით
უნდა ვცემოდი იმ მხეცს, ვით ელდა,
რომ უცებ თავზე დამკრა ყაზახმა
და მზეც იმ წუთში ჩამომიბნელდა.
ო, რა ტკივილი ვიგრძენი მაშინ,
სულ მთლად ამემღვრა გულიც და ტვინიც;
ხესაც მოთხრიდა ეს ერთი დარტყმა —
თუნდაც ფესვები ჰქონოდა რკინის!
შემდეგ არ მახსოვს მე იქ რაც მიყვეს.
ალბათ საკმაოდ იჯერეს გული,
გონს რომ მოვედი საკანში ვეგდე
დამტვრეული და დალურჯებული.
— შემდეგ? — რაც მოხდა, ნუ მკითხავ, ძმაო,
გულის დამჭრელი ამბავი არის;
სოფლის დასჯის და აოხრებისთვის
ჩამოაყენეს ყაზახთა ჯარი.
ბევრიც გადასწვეს, ააწიოკეს,
ბევრ კარგ ვაჟკაცსაც მოუკლეს გული,
მთელი სოფელი, ჩვენი სოფელი
დამწვარია და გადაბუგული!
გული რაც უნდა სალი კლდის იყოს
ამდუღარდება სისხლად და წვიმად,
როს შენი ქვეყნის მშრომელთა იმედს
უცქერი, როგორც გატეხილ რკინას.
მაგრამ, ეს რკინა კვლავ გამრთელდება,
კვლავ შემოიკრებს ბრძოლებში იმედს
და მტერს, დღეს ასე გაბოროტებულს
თავს დაეცემა ლოდივით მძიმე.
მეც სხვებთან ერთად საკანში ამ დროს,
ვით გალიაში ბოკვერი ლომის —
ვიჯექი ობლად და გულს მიკლავდა
წუთები მძიმე ტანჯვის და კვდომის!
მაგრამ, ვით ხშირად დატყვევებული
რკინის ხაფანგში გული ლომისა

შფოთავს და კბილით ღუნავს სალტეებს —
უკანასკნელად მცდელი ღონისა, —
ისე მეც, ძმაო, აღშფოთებული,
ვით გავარდნილი ვერაგი მხეცი,
დავსწვდი კედელს და რაფი ლანძვისა
გამოვამტვრიე და გავიქეცი.
— შაბაშ, ბიჭობას, ჩემო არსენა,
ეს კი, ნამდვილად გივაქკაცია!
— მაშ, სხვა რა მექნა, თუ არა ესა,
ცხორება, ძმაო, ძალზე მკაცრია!
თავს თუ დაუდებ, ისიც უხეშად,
დაგიბრიყვებს და დაგიწყებს თელვას,
არ შეიბრალებს შენს კარგ ბიჭობას
და არც შენს კაცურ გულის ღრმა ღელვას.
ახლა, შენ თვითონ იგრძნობ ყველაფერს,
ჩემი ცხოვრება წინ დგას ვით სარკე.
ერთი გზა მქონდა გადაუჭრელი,
და ეს გზა იყო ქალაქისაკენ.
ახლა, შენთან ვარ, გულიც მაშვრალი,
ერთ დროს მღელვარე, მწველი ვით ალი,
დამშვიდდა ოდნავ, მაგრამ ჯერ კიდევ
განცდილ წამების ბოლმებს ვით ვიტევ;
ის გულში ღვივის და რაც დრო არის —
გადმოიღვრება ცეცხლის მთოვარი.
მაგრამ რაც არის დე, დარჩეს ასე,
გულს მარტო სევდა ვერ ამოავსებს.
მასში სხვაც ბევრი გრძნობაა წრფელი,
სიკვდილის დღემდე დაუშრეტელი.
მაგრამ რაც დროა, ამ გრძნობებს გულის,
ერთად რომ არის ადუღებული —
ვერ დააკავებს სალი კლდე მწირი,
ვერც ზღუდე მტკიცე ქვისა და კირის,
გახეთქს თვით რკინას, ამაყი გულით —
ამ ცხოვრებაზე ამხედრებული.
მსურს შენთან დავრჩე, ცხოვრება მძიმე

აქ ვერ ამომგლეჯს გულიდან იმედს!
არაფერია იყოს წუხილი,
ორ ტანჯულ კაცის გულის დუღილი,
ახლა რომ გვაჩენს დაღივით ღარებს,
აღარ იქნება ესოდენ მწარე.
მეც შევეჩვევი შრომას და ბრძოლას,
ავი ქარიშხლის სუსხიან ქროლას.
და მძლე ბრძოლებში მეც თქვენთან ერთად
ვიქნები მარად, მრისხანე ბედთან.
— მაშ კარგი, დარჩი, რაკი გსურს ასე,
ერთად ვიაროთ ცხოვრების გზაზე.
მაგრამ ხომ იცი, ჩვენი ცხოვრება,
არა ჰგავს, ძმაო, შენს განვლილ დღეებს!
აქ ბრძოლაც არის და შემდეგ გული
იგრძნობს ათასგვარ სხვა სიძნელეებს.
შრომობ მთელი დღე და, როგორც გრდემლი,
გავარვარებულ რკინებთან დგეხარ:
თქრიალებს ოფლი და მანქანებიც,
აქ სულ მთელი დღე  გრიალებს მეხად.
წუთი არ არის მოსვენებისა,
თითქოს მკერდიდან რკინა გულს თხრიდეს,
თავი მომიკვდეს, თუ რომ ასეთი,
გამწარებული ცხოვრება ღირდეს!
შენ, ახლა გიკვირს, მაგრამ მე მჯერა,
შენც შეეჩვევი ჩაქუჩის ჭერას;
გულს მოიბრუნებ, შეხედავ სხვებსაც —
მწარე ბედის ქვეშ მყოფ ჩაგრულ ძმებსა
და მათთან ერთად ჭაპანის წყვეტა,
გახურებული რკინების კვეთა —
რომ გეჩვენება შენ ცეცხლებრ მწველი
აღარ იქნება ესოდენ ძნელი.
მაშ ასე, დარჩი, ჩემო არსენა,
მე ხვალ მოგიწყობ დეპოში რამეს.
უნდა ოფლს ღვრიდე, შრომაშიც ძმაო
არის ერთგვარი რაღაც სიამე.

შემდეგ გაგაცნობ ჩემს ამხანაგებს,
საერთო საქმეს მომავალ დღეთა,
თუ როგორ უნდა ბრძოლა ხსნისათვის
გათავხედებულ და ვერაგ მტერთან.
თუ როგორ ვიბრძვით, ან რისთვის ვიბრძვით,
ან როგორია ეს ბრძოლა ახლაც,
რომლისთვის გული უძგერს ათასებს
და არ იციან რა არის დაღლა!
დიახ, ყველაფერს გაიგებ, რადგან,
შენს მებრძოლ გულშიც კვლავ ცეცხლი ჰკვესავს.
შეერთებული მუშური ღონით,
თუკი შევუტევთ, — გავარღვევთ კლდესაც!
დიდხანს, სულ დიდხანს ორივე ასე
ლაპარაკობდნენ ლხინსა და ჭირზე,
ხან მღელვარების ცეცხლი მგზნებარე,
გადაურბენდა არსენას პირზე.
მაგრამ, როდესაც მათ საუბარში
სულ მისწყდა ბოლოს გრძნობები ტკბილი,
მძლე დაღლილობის იფეთქა ძალამ
და მოეკიდა ორივეს ძილი...

## თავი მეოთხე

ნაძალადევი, როგორც დევი ნაიარალი,
არის ერთგული მოდარაჯე წითელი დროშის,
ბევრი ბრძოლები მას უნახავს სხვადასხვა დროში.
შეგებებია მშრომელთ დღეებს ქუფრს და მწუხრიანს,
მაგრამ მას ქედი არასოდეს არ დაუხრია.
აქ. ხარ-კამეჩებს სოფლის ბიჭი აღარ აძოვებს,
ს მაგიეროდ მანქანები კუპრის ტბას სწოვენ.
და თუ შენ ხედავ, მეგობარო, აქ, უბირ ქოხებს,
ნაძალადევი კვლავ გმირია და მეამბოხე,
რომლის ძარღვებში ღელავს სისხლი — ქვის გამკვეთელი
ღა მღელვარება სანაქებო, დაუშრეტელი.

იგი გმირია და მის ნებას ქლიბით ალესილს,
ვერ იმორჩილებს მრისხანება და ვერც ალერსი.
უჭირავს დროშა, სისხლისფერი, მრისხანეც არი,
ვით მთის ფერდოდან გამძაფრებით მომსკდარი ღვარი.
და რაც არ გლიჯონ გრიგალებმა, ის მაინც არი
დაუძლეველი, საქართველოს ბაირახტარი.

თუმცა არ გვესმის ტკბილხმოვანი ჰარი-ჰარალი,
მაგრამ გულები ნასეტყვი და ნაიარალი
მარსელიეზას დანთებული ხანძარით ობება.
მომავალს გული გაუშლია, წარსული კვდება,
და დღეს, ვით დევი, გულმხურვალე ნაძალადევი,
რომ ქუხს და ღელავს, აღარა ჰგავს მკვნესარ იადონს, —
ამხანაგებო, ჩვენც ვიმღეროთ საგანთიადოდ!

სად დაიკარგა ხალხის ხალისი,
ნუთუ, მან სწრაფად გზები მოლია,
და ცხრაას ხუთის მომსკდარი ძალა,
ცხრაას ექვს წელმა გაიყოლია!
მაინც სად არის ეს ვაჟკაცები,
მარსელიეზაც რად არ გრიალებს,
რომ ხალხში ჰქუხდეს ტრიბუნი ისევ,
თავგანწირულად მოხეტიალე?!
მაგრამ პასუხი ვინ თქვას, როდესაც,
ჰქრის ცხრაას ექვსის მსუსხავი ქარი.
გრიაზნოვი კი, თავაშვებული —
თარეშობს ყველგან ყაზახთა ჯარით.
აგერ, მიუხტა გაფიცულ მუშებს,
გააფთრებული, ვერაგი სვავი.
გაჩაღდა ბრძოლა უთანასწორო,
ბრძოლა ფიცხი და გულის საკლავი.
არც ერთი მხარე არ თმობს ბრძოლის ველს,
გულშემზარავი გრიალი არის.
უიარაღო მუშებს არტყია
მშიერ მგლებივით ყაზახთა ჯარი.
მაგრამ, ვით ხშირად, ზაფხულის სეტყვა,
დაიგრიალებს ქუშად და ბნელად,

თვალუწვდენ ველის არემარეზე
დარეგვავს ჯეჯილს დაუზოგველად, —
ისე მუშებსაც ყაზახთა ჯარი
თავის ძალღონის დაიმედებით,
თავს დაესხა და დარეგვა უცებ
გაცოფებული ვეფხის კვეთებით.
და ჰა, ღრუბელი მწუხარებისა,
კვლავ გაიშალა სამშობლო მხარეს;
ჰქუხს მღელვარება, გრიალებს ხმები,
შურისძიებით აღვსილი, მწარე.
ყველგან ტირილი, გლოვა და ზარი,
ქუჩის კიდურზეც სისხლის ხაზია.
აქეთ ხარხარებს შავი ძალები,
იქეთ ნებივრობს ბურჟუაზია.
მუშები გმინავს, ყრუდ ისმის ხმები,
კოშკიც ინგრევა რკინით ნაგები.
არ ხმაურობენ სახელოსნონი,
არ გრიალებენ, ლიანდაგებიც.
და, ვით ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი,
წევს ფრაკიელი გლადიატორი,
ათასი უცხო გარეშე თვალი
მას, რომ დაცინვით უცქერის შორით, —
ისე თბილისიც ღარიბ-ღატაკთა,
რომ არ ხედავდა არსაით იმედს,
უთანასწორო ცხარე ბრძოლაში,
თავგანწირული დაეცა მძიმედ.

ნაძალადევი მაინც ჰქუხს მედგრად,
შურისძიება ახლა მეტია;
მრავალი წლობით ნაგუბი ბოღმა,
ხალხს უკვე გულში არ დაეტია
და როგორც მხეცი დატყვევებული,
გარეთ რომ იწევს მეხივით მალი,
ენთება ბრაზით, ურტყამს ტორს კარებს,
საკუთარ ბედზე შმაგი და მწყრალი.

ლეწავს სალტეებს, ზაფრის თვალებიც
აქვს ამღვრეული, ვით წყალში ღვინო,
უნდა გავარდეს გარედ, რომ შემდეგ
ოვითონაც წახდეს, სხვაც წაახდინოს, —
ისე მრისხანე ნაძალადევიც,
შურისძიებით მთლად ანთებული,
ადგა ბრძოლებით შთაგონებული,
რომ გრიაზნოვზე იჯეროს გული.
— ვინ მოჰკლავს მტარვალს, იძახის ვიღაც.
— მე, მე, მე, — არის პასუხი ბევრი,
და კვლავ ბობოქრობს აღშფოთებული,
დაუცხრომელი ტალღების ტევრი.
ჯალათის მოკვლის მსურველთა შორის
არის არსენა ჯორჯიაშვილი,
არწივის სახეს შვენის სიმკაცრე,
და შუბლს — შავი თმა ხუჭუჭად შლილი.
ზღვა ხალხის ტალღა გასჭრა მან ისე,
ვით ძლიერ ქარბუქს სჭრის შევარდენი,
და დამშვიდებით დადგა კრების წინ,
ლამაზი სახის ამაყად მჩენი.
— ამხანაგებო, მე დამავალეთ,
ეგ ჩემზე იყოს ვერაგი სვავი.
თუ შეკარცხვინოთ, — მოკვდეს არსენა, —
თუ არ გავწირო ხალხისთვის თავი!
მე არ წავახდენ ჩვენს წმინდა საქმეს,
სანამ გული ძგერს მართალი ძგერით;
სანამ არ მომკვეთს თავსა და მკლავებს.
ბასრი მახვილით ვერაგი მტერი!..
— ვაშა არსენა, დაიგრიალეს,
მუშებმა მტკიცე მჭექარე ხმებით
და მას გაბედულ გულწრფელობისთვის
გადაეხვიენ ჩაგრული ძმები.
და, ვით მშობელი დედა მტირალი —
შვილს ეთხოვება სიკვდილის წინა,
თვალებიდან სდის კოკისპირული

ღრმა მწუხარების ღვართქაფა წვიმა, —
ისე მუშებიც, ახლა არსენას,
რომ აღარ სურდა ცდა და ლოდინი,
წასვლის წინ, როგორც ჭირისუფლები,
ეთხოვებოდენ გულდაკოდილნი.

* *

ვინ არის იგი, ნაბიჯით ჩქარით,
რომ მიისწრაფვის შურდულის მსგავსად,
ტანს რომ ფარაჯის კალთებს აფარებს
და ყაბალახით რომ მალავს თავსაც?
ვინ არის იგი, აგრე გაბედვით,
რომ სურს დაუდგეს გრიაზნოვს წინა?
ქვა ხომ არ არის ეგ დალოცვილი,
ანდა, უტეხი ხორასნის რკინა?
მაგრამ, ეგ ხომ ის არსენა არის,
თავდადებული მებრძოლი ცხარე,
ბევრჯერ რომ ცეცხლის წვიმა უნახავს,
და უფრო მეტჯერ დღეები მწარე!
ყუმბარით ხელში, ის მტარვალს უცდის,
რომ თავზე დასცეს გლოვა და ზარი.
ზამთარი ბრაზობს, და სუსხიანი
დასავლეთიდან გრიალებს ქარი.
მაგრამ, ის მიჰქრის შურდულის მსგავსად,
არ ერიდება მიმავალ მგზავრსაც;
ისევ ვით ვეფხვი ბასრ კლანჭითითება
მსხვერპლს რომ მოსხლეტით გაეკიდება
დაუზოგველი, ფიცხი და მწყრალი,
თუკი შორიდან მოჰკრა მას თვალი.
და ჰა, გამოჩნდა ქუჩაში ეტლიც,
რომელშიაც ზის ვერაგი სვავი.
კლდეზე მიჯაჭვულ ამირანის მკერდს
რომ არ აკლებდა კორტნას და ჩხავილს.
არსენაც უცებ გასწორდა წელში,

როგორც უღელში მამაცი ხარი.
შიში არ იპყრობს? კითხულობს ვიღაც.
— სრულიად არა, — იძახის მტკვარი.
ეტლიც თანდათან უახლოვდება,
არესაც. ზამთრის ებურვის თალხი.
ახლაც არა კრთის? — კითხულობს ვიღაც.
— სრულიად არა, — ღრიალებს ხალხი.
და ვით ყაჩაღი ჩასაფრებული,
მტერს დაუხვდება ამაყს და ზვიადს,
რომ ჩუმად, თოფის ერთი გასროლით,
თავის მოქიშპეს აგემოს ტყვია, —
ისე არსენაც ჯალათ გრიაზნოვს,
რომ გაუსწორდა ქორივით მალი,
დასცა ყუმბარა, და უცებ ეტლსაც.
მოედო მწვავე ხანძარის ალი.
მძიმედ დაიჭრა ხალხის მგვემელი,
კვნესოდა მწარედ, უწუხდა გული
და ასეთ დუხჭირ მწუხარებაში
დალია თავის ცოდვილი სული.
ხოლო არსენა თავის საშველად
მირბის ძალღონე დაუზოგველად,
მაგრამ დამქაშთა მთელი კრებული
მისდევს მას უკან ამხედრებული.
და ვით უდაბურ ტყის განაპირად,
სულგანაბული ზის მონადირე,
მეძებრები კი ყეფენ ბრაზისგან,
მისდევენ ტყისკენ გაქცეულ ირემს,
არის გრიალი და ტყის შრიალი,
დაფეთებული ზანზარებს არეც,
ბოლოს, რომ თოფი იჭექებს სადღაც
და ძირს ირემიც ეცემა მწარედ, —
ისე არსენაც, მტრისგან დევნილი,
წინ რომ მიჰქროდა, ვით შევარდენი,
უცებ იგრძნო, რომ წამოეწია
გაცოფებული ყაზახი ცხენით.

ჯალათმა დაჰკრა კონდახი თავზე.
და ამ დარტყმამაც ისე იქუხა,
რომ ძირს დაეცა გულშეღონებით
არსენა, როგორც მოთხრილი მუხა.

## თავი მეხუთე

ამაყი თბილისი, როგორც მდუმარება,
მძიმე ფიქრებშია ჩაფლული ღრმად
და ყოველ უბნიდან, ქარის მქუხარებით,
მოდის მღელვარებით მუშების ხმა.
თითქოს ცრემლებია დედის დაღვარული,
ისე იღუშება უღრუბლო ცა.
და ტკბილ იმედებს გული დაღარული,
თითქოს განუზომელ გრძნობებით წვავს.
რომელმა საგულემ უნდა აიტანოს,
ესოდენ წვალება ნათელი დღის,
როდესაც ჯალათი ყოველ მოედანზე,
გულებს საგულედან წამებით თხრის.
როდესაც ძლიერი სწრაფვა იმედისა,
და უძვირფასეს სიტყვების თქმა,
რჩება უდაბნოსა შინა მღაღადებლად
და იმედს შორეულს უფსკრული ნთქავს.
როდესაც, ეს ცეცხლი უხვად მოვლენილი,
თვით ჯოჯოხეთის ცეცხლებსა ჰგავს,
როდესაც უსისხლოდ არ გადარჩენილა,
თბილისის ქუჩებში არც ერთი ქვა,
როდესაც ჟლეტაა მებრძოლთა რიგების
და სისხლის ღელეც, რომ ტრიალებს ღრმად,
სად არის ასეთ დროს მძლეველი მახვილი,
სად არის ასეთ დროს სიმართლის ხმა?!.

სცრის ნელი წვიმა წვრილ მარგალიტებს,
ხან თოვლის ბრტყელი ფანტელიც ცვივა,
და ცივი ქარი ყრუ დაღონებით,
ციხის ლანძვებში საბრალოდ წივის;

ხოლო არსენა ოთხ კედელს შორის,
განშორებული საყვარელ არეს,
ზის მარტოდმარტო, დაღონებული,
მშფოთვარე გული უკვდება მწარედ.
ციხევ, მოგიკვდეს ამშენებელი,
შენ ხარ ვაჟკაცის დამღონებელი,
შენ ხარ წვალების დილეგი მარად,
ბევრი მებრძოლი შენით წამხდარა
და როგორც ჩვარი, წამხდარი მწარედ —
დაცემის შემდეგ გისვრია გარეთ!
რა ცუდად გივლის შესაზარები,
ქვის კედლები და რკინის კარები,
ეგ რომ არ გქონდეს, ტყვე უბედური,
მთელი დღე თავის ხვედრს რომ ეძდურის —
ხომ უზრუნველად გაიპარება,
სადმე მთის ძირას დაიმალება,
იქ, სად ყოველდღე კარგი დარია,
სად მისი ნახვა, რომ უხარიათ:
ციცაბო კლდეებს, მინდვრებს და ველებს,
დიდი ხნით მწყურვალ საყვარლის ხელებს,
იქ, სად ძმებსა და მეგობრებს შორის,
კაცს შეუძლია იცხოვროს შრომით.
აქ კი, საკანში მთელი დღე მარტოდ,
ზიხარ და ისევ შენს თავზე დარდობ —
მოშორებული სახლ-კარს და დედას.
მზეც დღეში ერთს არ შემოიხედავს
თავის სხივებით, ელვარე — მწველით,
რომ ოდნავ გაშრეს კედლები სველი.
და ზიხარ ასე, და ზიხარ მარად,
ხან აღშფოთებით, ხან კიდევ წყნარად.
არვის აწუხებს ვარამი შენი,
მოდის და მიდის წვალების დღენი,
და ამ ყოფაში ილევი ისე,
როგორც ზაფხულში ყინული მთისა!
არსენაც ასე, ნახევრად მკვდარი,

საკანში ზის და არ ეცემს გელი;
შეუბრალებელ ცემა-გვემისგან
აქვს მთელი ტანი დალურჯებული.
ხოლო მის გვერდით, ზის ტყვე ყაჩაღი,
წუხს, რომ კაცს ხედავს იგი ამ დღეში.
თავზე ევლება, ვით ძმას საყვარელს,
რომ გაამხნევოს ოდნავ ნუგეშით.
— მოცოცხლდი, კაცო, რა გემართება,
სულ ხომ არ უნდა იყო, ძმავ, ასე?
— ა, შენ ხარ, სიკო? ცუდად ვარ, ძმაო,
თითქოს ვიღაცა ყელს მიჭერს თასმებს.
ძვლებიც სულ მტკივა, თან მიდის გულიც,
ამდენ ცემისგან დალურჯებული.
გუშინ შენ, ძმაო, ძლიერ მაამე,
ახლაც იმგვარად მოჰყევი რამე!
თუმცა, ჯერ არა, ჩემია ჯერი,
მეც მსურს, როგორმე თუ კი შევძელი —
გაგაცნო ჩემი მწუხარე ბედი,
ჩემი წასდენის წინამორბედი.
თავს არ შეგაწყენ, გეტყვი სულ მოკლედ.
როგორ გასტეხეს და როგორ მოჰკლეს,
ჯანსაღ ხალისით აღსავსე გული,
ახალ ცხოვრებას მოწყურებული.
რაღა დავმალო, მეც, ჩემო სიკო,
ბევრჯერ მიგრძვნია უმეგობრობა,
აი, თუნდ, როცა ვიყავი სოფლად,
მაშინაც ვგრძნობდი თავს მე, იქ ობლად.
არა მხიბლავდა არც შინ, არც გარეთ,
ერთფეროვანი ცხოვრება მწარე,
თავდახრილობა, მდორე და მკვდარი.
მე მიზიდავდა ცხოვრება ჩქარი,
და ერთ დღეს, როგორც ნადირი, მხეცი,
მშობლებს სოფლიდან გამოვექეცი.
ბევრი რამ ვნახე ქალაქში, ძმაო,
არ ჩაუვლია სულ მთლად ამაოდ,

აქ, ახალგაზრდულ სულისკვეთებას,
გულს რომ ეხვია ცეცხლის ღვედებად,
აქ იყო ოფლი, შრომა, ქმედობა,
ბრძოლა აქრობდა უიმედობას.
აქ, მანქანებიც ავი ხმაურით,
რომ გვაერთებდა კვამლით და მურით,
ცეცხლს ჰყრიდა შრომა, ელავდა რკინაც,
ვაქცევდით უხვად ჩვენ ოფლის წვიმას,
და ერთ ჭერის ქვეშ, რკინით ნაგებნი —
ვიყავით ყველა ამხანაგები.
მე აქ გავიგე, თუ რატომ არის,
ჩვენი ცხოვრება ესოდენ მწარე. —
თუ რატომ უნდა იყოს ყარიბი,
ზოგი მდიდარი, ზოგი ღარიბი,
და რკინის გულმაც შეკრულმა რგოლად
ისწავლა მტერთან მედგარი ბრძოლა.

იმ დღეს, როდესაც ჩვენ ბრძოლა გვქონდა,
გვაგებდა ხიშტზე, გვირტყამდა კონდახს
ბრაზმორეული ყაზახთა ჯარი —
მე იქ ვიბრძოდი, როგორც აფთარი.
მაგრამ ჰე, ძმაო, დავმარცხდით ძლიერ,
უიარაღო მუშები გვძლიეს,
და ამ ბრძოლაში ამდგარი ღვარით,
ცხრა ამხანაგი დაეცა მკვდარი.
მათ შორის იყო მებრძოლი ქალი,
მაგრამ მას ბედი უნდო და მწყრალი
არ მოერიდა, სრულიად არა
და სულ უდროოდ დაასამარა.
და, ვით ირემი დარჩება მარტოდ,
მეუღლის მოკვლას სტირის და დარდობს,
აღარც ხტის მთაში, აღარც ბალახობს,
თითქო ჯავრი აქვს საიალაღოს, —
ისე მეც, ძმაო, დამეჭრა გული
მკერდიდან ბოლმით ამოგდებული.

მე იგი ქალი მიყვარდა ისე,
როგორც ორაგულს ჩხრიალი წყლისა —
როცა გრძელ ჭავლებს აზვირთებს ქარი.
და გრძნობა ახლა, იმისი მწარი,
რომ ის ცოცხალი აღარსად არი —
ფეხის ფრჩხილამდე მიეონავს მწარედ.
დიახ, მიყვარდა, მასაც ამგვარად,
ტრფობისა ცეცხლი იპყრობდა წყნარად.
შენ ალბათ იცი, მშრომელი ქალი
არის მებრძოლი და მასთან დედაც.
იმისი გული ოჯახთან ერთად
თავისუფლების იმედსაც სჭედავს.
ის, ჩემო კარგო, არა ჰგავს ლამპარს,
თუ რომ აენთო, უცებ რომ ქრება.
ბრძოლაში იგი ვეფხვია ფიცხი
და მამაკაცთან უტეხი ვნება.
ბრძოლის ცეცხლს უფრო ამშვენიერებს
ბროლის მხარ-ბეჭზე დაყრილი თმები,
თითქოს ეს არი ორად გაშლილი
ცის მკრთალ ტატნობზე ყორანის ფრთები.
როცა მშრომელებს ჭირის დღე ადგას,
ისიც მხარდამხარ იბრძვის ვით გმირი
და გადადიან ასე მის თავზე
კაეშნიანი დღეები ხშირი.
ან, როცა მებრძოლს ქმარს გლეჯენ მკერდით
და განშორების წუთები არის, —
იგი აცილებს მას არა ცრემლით,
არამედ გმირულ სიტყვების ღვარით.
ასეთი იყო იგი, ვინც ასე
აღმანთო ჩემი ცხოვრების გზაზე,
იყოს ის ახლა ცოცხალი ისევ,
გამრთელდებოდა ეს გულიც მყისვე,
მაგრამ მას სძინავს მთვლემარე ძილით,
აღარ ახარებს სიცოცხლე ტკბილი,
არც მზე ცხოველი ზაფხულის დღეში,

წევს იგი ახლა ცივ სამარეში.
და მეც, რაც დროა, ვხედავ რომ მელის,
გულის განგმირვა მტარვალის ხელით.
მაგრამ მტერსაც ხომ დაუსვი ძვირად,
ვერც კი მოასწრო, რომ დაეყვირა —
თავის დაღუპვა საზარელ ხმებით.
ირგვლივ დაიფშვნა ხეცა და ქვებიც,
და მთელი არე თეთრი, ვით ჩალმა —
დაჰფარა უცებ ყუმბარის ალმა.
შენ ახლა მიცქერ მე, როგორც ძერას,
ამას ამტკიცებს ეგ შენი ცქერა, —
მაგრამ მე ჩემი რწმენის და ბედის,
ვიყავ ერთგული სიკვდილის დღემდი.
შენ ჯერ არ გესმის ხალხის მძლე ბრძოლა,
რომ გრგვინავს ახლა მეხივით მწველი.
კაცს ეგ ხან ისეთ გზითაც წაიყვანს —
სად ვერ გაივლის ვერც ერთი მგელი!
შენ კაცი მოჰკალ? მეც ხომ ვარ მკვლელი?!
ორთავე კაცის სისხლის ვართ მღვრელი!
მაგრამ მე ხალხის მტარვალს, ვით თული —
დავალევინე ცოდვილი სული.
იგი უნაღვლოდ მიჰქროდა ქვევით,
მე კი, გულის თქმის და შურის ნთხევით
ვიყავი იქვე ჩასაფრებული —
სიხარულისგან ტოკავდა გული.
და როგორც ხშირად, ავდრიან დღეში
ქარი ღმუის და ელავს ცის თაღი,
ჭექა-ქუხილიც გრგვინავს საზარლად,
როგორც სალ კლდეში გამსკდარი ნაღმი.
და შემდეგ ასეთ გრიალ გრუხუნში,
მეხი რომ დასჭექს დაუნდობელი,
გააპობს მუხას თავით ფესვამდე
ცეცხლი ფოლადის გამადნობელი, —
ისე მეც, ძმაო, მტარვალს ყუმბარა
დაუზოგველად ვესროლე მწარედ,

და რა იფეთქა ბოლმა ნალმისამ, —
შავ ღამესავით დაფარა არე.
კმაყოფილი ვარ, ჩემს საყვარელ ხალხს,
რითაც შემეძლო ვეცი პატივი.
არ დავიშურე მისთვის სიცოცხლე
და ნორჩი გული ანდამატივით.
და ახლა, როცა ნაცემ-ნაგვემი
სისხლი აწვება გულის მხნე კარებს,
ვყვირი: — სალამი თავისუფლებას,
სალამი ძვირფას სამშობლო მხარეს!
დე, ჩემი სისხლი დაიქცეს აქვე
და შეუერთდეს აქ მტკვრის ნაპირებს,
სამაგიეროდ წარმოშობს იგი
ბრძოლის უნარით აღსავსე გმირებს.
მე ხვალ ცისკრისას ალარ ვიქნები,
ვერ დამიტირებს ძვირფასი ბმები.
ვერც საყვარელი ამხანაგები —
მხურვალე გულის მწარე ნადებით.
მაგრამ შენ გახვალ აქედან მალე,
გთხოვ შემისრულო, რასაც გავალებ!
— მონახე ჩემი საბრალო დედა —
მას მე აქ, თითქო ჩემს თვალწინ ვხედავ,
და განწირულ შვილს, ფეხქვეშ გალესილს
თითქო მეხვევა იგი ალერსით.
მაგრამ მას უთხარ, რომ შენი შვილი
საფლავში წევს-თქო მთვლემარე ძილით.
ნეღარ იდარდებს, ნურცა იკვნესებს,
ნუ გადაჰყვება ადათს და წესებს,
ნურცა მოთელავს საჩოხე შალებს,
ნურც სიტყვას მისცემს გასათხოვ ქალებს,
ნურც იტირებს და ნურც ივალალებს,
ნუ ჩამოიშლის ვერცხლის დალალებს,
ცრემლით რასა იქმს, სულ ერთი არის,
მე ხომ იმ დროს ძმავ, ვიქნები მკვდარი!
ჩემს მეგობრებსაც უთხარ, რომ გული

ჰქონდა-თქო თქვენზე აჩუყებული,
მაგრამ ისიც თქვი, რომ მე ვით რკინა,
ვიდექი მტკიცედ სიკვდილის წინა.
და ამ სიტყვებზე ჯანმილეული
დაეცა იგი ძირს ისე მწარედ,
რომ ერთი წუთით შეინძრა უცებ
მუდამ მდუმარე საკანის არე.
მაგრამ კვლავ ოდნავ მოსულიერდა,
რომ მორჩა გული დაგუბულ შხამებს.
გარეთ მძლე ქარი ღმუოდა ისევ,
იდგა იანვრის მსუსხავი ღამე.
ჯერ კიდევ კარგად არ გახსნილიყო
აღმოსავლეთის ლურჯი ცის კარი,
რომ რაღაც მძიმე ღრმა მწუხარებით
მთებს გაჰკიოდა მშფოთვარე მტკვარი.
ხოლო მთები კი, ორთაჭალისა
ნარიყალასკენ მიწვენილ ველებს —
თითქო ვედრებით მისჩერებოდნენ
და თბილისისკენ იშვერდნენ ხელებს.
რა გაუჭირდათ ნეტავ ასეთი,
ხომ არ მოსულა მრისხანე ხანი,
რომ გული მებრძოლ საქართველოსი,
შემოპარულმა ამოსჭრას ღამით?!
მაგრამ, დღეს სპარსი როდი გვთელავდა,
როდი ელავდა მათი მახვილი.
ჯალათს მიჰყავდა ბნელი ხევისკენ,
ნაძალადევის მებრძოლი შვილი.
და იქ, სად ახლა მტკვარის ტალღები
ელავს მზის შუქზე პირმოციმციმედ —
ჯორჯიაშვილიც, მტარვალის ხელით
მკერდგახვრეტილი დაეცა მძიმედ.
ხოლო ის, რაღაც ხმა უცნაური
რომ აწვალებდა იმ ღამით არეს,
შემდეგ მწველ ხმებად გადმოიღვარა
და სევდის მოთქმა შეიქნა მწარე:

— მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
მიყვარს ყუმბარის ხელში ტრიალი,
მიყვარს მშრომელი და მის გულისთვის,
თავიც გავსწირე, ოხერ-ტიალი.
ცავ, ნუ პირქუშობ ასე მწუხარედ,
მამავ, ნუ სწუხარ, დედავ, ნუ სტირი,
ჩემო სამშობლო, მშრომელო მხარევ,
ხომ აგაშორე თავიდან ჭირი!
სანამ იქნება წვალება ქვეყნად
და იგვემება ჩაგრული ძმები,
მანამდე სული ვერ მოისვენებს,
ვერ მოისვენებს საფლავში ძვლებიც.
მაგრამ დრო მოვა, იჭექებს რისხვა,
მოიხსნის ხალხი თავიდან ურვებს
და მის მტარვალებს, პირსისხლიანებს
ძლიერი დარტყმით გაანადგურებს.
მაშინ მე მჯერა, ჩემი სახელიც,
ახლა რომ მტერი დასცინის მწარედ,
აღმობრწყინდება ხალხის გულიდან
როგორც ნათელი, პირბადრი მთვარე.
ცავ, ნუ პირქუშობ ასე მწუხარედ,
მამავ, ნუ სწუხარ, დედავ, ნუ სტირი,
ჩემო სამშობლოვ, მშრომელო მხარევ,
ხომ აგაშორე თავიდან ჭირი?!

1930

## მეწისქვილე

I

კავკასიონის მაღალი ქედი
ამაყად უცქერს ხევის ყრუ ხრამებს
და მისი რბილი, თეთრი საყელო
მუდამ ელვარებს: დღეცა და ღამეც.
თერგი ღრიალებს, ღმუის, ვით მხეცი,
სალ კლდეებს შორის ძლივსღა ეტევა,
ქვებს ემუქრება დაშლა-დაცრეცით
განუწყვეტელი მძლავრი შეტევა.
გრგვინვა ზღვაური, შფოთი და ექო,
მთები, კლდენი და წყალვარდნილები,
ვიწრო ბილიკი, — გზა საცალფეხო —
მიდის და მიდის, აღარ ილევა.
აგერ, მწვერვალი ნათელი შუბლით
უზარმაზარი ვეება, დიდი,
აშწვანებულ ხევს ჭილოფად იფენს,
კლდე ზედ აბია, ვით ყურსაკიდი.
თერგი კი მირბის და მიჰღრიალებს,
თითქო ვეფხვია და მისდევს ნადირს.
შორს, შორს ყრუ ხევში გადავარდნილი
ისმის მკვეთრი ხმა მისი ჩხრიალის.
აი, ამ ხევში წისქვილი ობლად
შეკედლებია გულქვა გარემოს.
ფქვავს და ფქვავს სიმინდს, ხან კიდევ ხორბალს,

თითქოს, იგიც გრძნობს ამ ფქვაში გემოს!
წისქვილში ფქვილის ბუქი და მტვერი
და დოლაბების მძაფრი ტრიალი
ისმის მთელ ხევში შეუჩერებლად,
როგორც დაჭრილი მხეცის ღრიალი.
აქ დღეც კარგია, მზე მოკრძალებით
მცხუნვარე სხივებს აფენს ხევს თავზე,
მთები სხედან, ვით ამორძალები,
თვალებს აშტერებს ეს სილამაზე.
დიდი ხანია, რაც აქ წისქვილი
ხევის ბინადართ ხალისით ართობს,
მის ლამაზ ბანზე მთა-გორად ჩრდილი
მოჩუქურთმებულ სურათებს ათოვს.
აგერ წისქვილის გაიღო კარი,
გარეთ გამოდის ჭაღარა ჯიბუ,
ეტყობა, გულს სწვავს ნაღველი მწარე
და ვნებიანად აბოლებს ჩიბუხს.
აგერ, წისქვილის ზემო ბანიდან
ქალმაც კისერი გადმოაღერა
და ნორჩ აისის სუნთქვა და ძგერა
მისმა თვალებმა ისე დასწურა,
რომ ძნელი იყო გასარკვევადა —
ამ ხევის არეს — ცად შემაერთი
მზე აძლევს სითბოს, თუ ეს ქალ-ღმერთი?!

II

ეგ ცოლ-ქმარია ამ ობოლ ხევში,
მათ არ იციან ჯერ ავი კვნესა.
ჯიბუ გართული არის საქმეში,
მზია კი მთაში ცხვრის ფარას მწყემსავს.
ჯიბუ მოხუცდა, ახალგაზრდული
ცეცხლიც მკლავებში თითქოს მინელდა,
კვლავინდებურად არ ერჩის გული
და ეს ტკივილით უღვიძებს ელდას.

მზია კი ცეცხლით სავსეა ისევ,
სახემზიური, ნაზი და ქორფა,
ორ გიშრის ტბაში ზის სიხალისე
და უზრუნველი ლამაზი ყოფა.
— მზია ქალაუ, დროა, რომ ცხვარი
დილაადრიან შერეკო მთაში!
— ჰო, კარგი, ჯიბუ! — და, როგორც ქარი,
მზია გავარდა ცხვრების ფარაში.
მიდის მზია და ცხვრებს იალაღზე
ველურ ხალისით მიერეკება.
მთები, ეს მიწის ცივი მუმია
ქალის ბროლის ტერფს ფარჩად ეგება.
თან მომხიბვლელი თბილი ალერსით
ყურს ჩასჩურჩულებს რაღაც ტკბილ ამბავს,
მზია გნოლივით წამს გაინაბა,
უსმენს ამ ჩურჩულს ვნება ალესით.

„— ქალო, ისე ლამაზი ხარ,
ვით ვერხვის ფოთოლი.
არ მიჯერი? ამ ჩვენ ხევში
არავინ გყავს ტოლი!
ჰყავხარ ამ ხევს ერთადერთი,
აფრქვევ სიხალისეს.
ქალო, ქმარი დაგიბერდა,
შენ ცეცხლი ხარ ისევ!
ტანი, როგორც თერგის ქაფი, —
თვალის შავი გუგა, —
ადნობს მთის თეთრ წამოსასხამს,
ხევიც გადაბუგა.
მკერდზე ორი ზვირთის ჭავლი,
ორი ქორფა ლეღვი —
არ ჩანს, კარგად გადიწიე
ეგ ფარჩის ელეღი!

შუბლი კლდეა, მის ქვემო ქიმს
აზის ორი გველი,
ორთავეა რქანაყარი,
გულის მიმზიდველი.

ანდა, კიდევ ეგ გიშრის ტყე
დალალებად შლილი,
ხშირია და გაუვალი,
გრძელია და გრილი.

კულასავით მოყვანილი
ეგ ლამაზი წვივი,
გულში ცეცხლის კოცონს აჩენს,
გიზგიზებს და წივის.

ბაგეს ღარში გახეთქილა
მწიფე ბროწეული,
და შიგ თეთრი წნელის ღობე
ბროლის სალტედ უვლის...“

III

შეწყდა უეცრად ტკბილი ჩურჩული,
თითქოს სიზმარი იყო ეს ხმები.
ისევ უძრავად ელაგნენ მთები,
ხოლო ყველაზე უმაღლესს მათში
წამოეხურა თეთრი ნაბადი
ამოქარგული ბუნების ფარჩით.

მზია გაოცდა, დგას მდუმარებით,
სახეს უხვად რწყავს ოფლის ღვარები.
ვერ გარკვეულა, იქნებ ეს ხმები
ზეშთაგონების ნაყოფი არი,
თორემ კლდე ასე ტკბილმოუბარი
ჯერ არ უნახავს და არც სმენია;
იქნებ ეს იყოს გველის გენია,
ან ხევის ჯოჯო, მავნე, ეული

თავის ხოჭოდან გამოთრეული!
მაგრამ გულმა ეს იქვიც გადიღო,
თითქო საავდრო ღრუბელი იყო,
და მიდის მზია, გზა მოფარჩული.
ფარა თავისით მიერეკება.
ვიშ, კიდევ ისმის იგი ჩურჩული,
გულის წარმტაცი ხოტბა და ქება:
—„ქალო, ასე მიმზიდველი,
მითხარ, როგორ გაქო!
ატრიალებ მაგ შავ თვალებს,
ვით საქსოვი მაქო!
ტანი, — ლელვი გარჩეული,
სახე — მწიფე ატმის,
სხეულს ჰფარავს ფარჩეული
და გულს, — ანდამატი.
წელი, როგორც დოქის ყია,
ფრჩხილი, — მკვრივი მინა,
მხოლოდ ეს ვერ შემიტყვია,
ქალო, სად გაქვს ბინა?
სად იძინებ, ან ვის მკლავზე
გიდევს თავი ღამე?
ვინ დაატკბე ბროლის მკერდით,
ანდა, ვინ აწამე?!.“

IV

შეწყდა ჩურჩული, მზია კი მიდის,
ცხვრის ჯოგიც მთისკენ მიექანება,
დგას გაზაფხულის კარგი ამინდი
და მთა დამსკდარი მრავალქანებად,
თითქო ვერ იტევს თავის სიმძიმეს,
მისი მწვერვალიც კრთის და ციმციმებს,
მზის სხივებს კოცნით ეალმასება,
როგორც საყვარელ ძვირფას არსებას.

აი, მთის ძირი! აქ მწვანე მოლი
მისდევს ზოლებად გაწოლილ ხრამებს.
თერგიდან შხეფი ამონასროლი
ბრწყინავს, ვით მზეზე დილის ცვარ-ნამი.
მზია კი, დახტის, როგორც ტყის ქალი,
მკერდაბურთული, შუქმოიეფე.
გული დარდისგან თავისუფალი,
აჩენს ავხორცულ მხურვალე ვნებებს.
უნდა დაცხრომა, ხტის ქვიდან ქვაზე,
ხან ცხვარს წაავლებს ხელს ბოძალ რქაზე,
ხან მწვანე მოლზე გაიშხვართება,
აწუხებს სისხლის წვა და ანთება,
მაგრამ რას იზამს, რჩება მწყურვალი
ამტყდარი ვნება და სიმხურვალე.
ცხვრები, ამ დროს მას, სულაც არ ახსოვს,
გულს ავიწყდება კერაც და ქმარიც, —
ის იყო ერთხელ, ახლა არ არი.
და ნატრობს იმ წუთს, როს უცხო ვაჟი
მას შეეყრება სადმე აქ, მთაში.
ჩაიხვევს გულში ამაყი მკლავი
და აღტყინების კოცონით ნავი
შორს გაიტაცებს ორთავეს ღელეთ,
რომ გადააჭდონ ურთიერთს ყელი.
ნატრობს ის ამ წუთს, მაგრამ სად არი,
თვალწინ ეხატვის მოხუცი ქმარი,
და მხოლოდ ფიქრში განზრახულ ღალატს
მზია მოენდო და დაიღალა...

V

სძოვს ცხვარი. ხევი ხმაურობს ისევ,
გულდამშვიდებით იძახის გნოლი,
და მთის მწვერვალზე ულრავი ბროლი
ბრწყინავს და ელავს მსურვალე მზისგან.
ჩუ, ეს ხმაური საიდან მოდის?

თან ლაპარაკიც გაისმის კენტად.
მზია შიშისგან სულ მოითენთა,
აქ ადამიანს არ მოელოდა.
უკვე გარკვევით ირჩევა ხმები:
— ხედავ, მუდაყან, მარტოა ქალი,
დავიცხროთ ვნება, წავასხათ ცხვრებიც,
რას დუმხარ, ბიჭო, ხომ არ ხარ მხდალი?!
ეს უთხრა ფიდომ მუდაყანს ისე,
რომ მისი ბოხი ხმის დაძახილი
თითქოს იყოო მთის ნადირისა,
როს დაჭრილია იგი მახვილით.
— მხდალი არა ვარ, მუდაყანს შიში
გულზე ოდნავად არ ეკარება.
მე მთაში ვცოცხლობ და ჩემს მძლე კუნთებს
ჰკოცნის ხალისით მზის თაკარება.
თუნდ იყოს აქვე ლაშქარი კახთა,
ის ვერ მომიკლავს შეტევის ხალისს,
მაგრამ გაძარცვა, ნამუსის ახდა
და ისიც, ასეთ უმწეო ქალის
ჩვენი მთის ადათს აღემატება!
შენ ბარელი ხარ, მე კი, მთიელი,
ორთავეს გული კლდეა ძლიერი,
მაგრამ მთამ, როგორ გაკადნიერდეს —
ისე, რომ მოჰკლას თავის იერი,
მიიღოს სახე მშიერი დათვის
პატარა ნუკრის გაჟყლეტვისათვის!
— მუდაყან, კიდევ არ შემესიტყვო,
მე შენ მეგონე მთიელი ბიჭი,
ამოირეცხე გულიდან იქვი,
თორემ, მზეს ვფიცავ, მზის სიბრწყინვალეს,
ჩვენ ორში, — ერთი დახუჭავს თვალებს!
— ნუ ცხარობ, ფიდო, შენ კარგად იცი,
ჩვენი დიდი ხნის აღთქმული ფიცი.
მას შემდეგ ჩვენი ორთავ გულები
სავსეა ძმობით და ერთგულებით.

დავდივართ მუდამ მთასა და ღრეში,
ვით დაგეშილნი მონადირენი.
უძილო ღამე: ნიალვარ-თქეშში
და ჩვენც დამფრთხალი, როგორც ირემი
ვნატრობთ ბავშვობას, მშობლიურ კერას.
დედის ალერსს და მამის სიმღერას.
შენ, შენს კახეთს და მე ჩემს ხევსურეთს,
სად უკეთესი გვიგრძნია წუთი,
სად გრძნობა წმინდა, გრძნობა სათუთი
იყო ჯერ კიდევ შეულახავი,
როგორც მყინვარის კრიალა თავი.
მაგრამ სადღაა ახლა ის წამი,
ძველი ხალისი მაინც სად არი?
დაჰბერა უცებ, მოვარდა ქარი
ის თან გადაჰყვა, ვითა ლერწამი.
ჩვენ დღეს ორთავე რამ გაგვახაროს,
თუ არა ძმურმა ნუგეშმა ისევ,
რითაც სიამე და სიხალისე
დასთესს ჩვენ შორის სიკეთეს ულევს
და გადაჯაჭვავს ორთავეს გულებს!
მიყვარხარ, ფიდო, და შენს მუდაყანს
გული ბავშვივით აქვს ლმობიერი.
ვარ მიმნდობი და მოსიყვარულე
და მძულს ბოროტი, ქუში, ცბიერი;
მანკიერება, ღალატი, ცოდო,
შორით ანთება, განზრახვა მტრული, —
ვფიცავ, არასდროს გამომეცადოს!
ხომ იცი, ძმა ვარ, შენი ერთგული!
— შენ კიდევ ურჩობ, მაგრამ გეტყობა
არ იცი ჩემი ძლიერი ნება!
შეკუმშე ძალა და ნებისყოფა,
აქ სახიფათო არა იქნება.
გაშალე შუბლი, ბეჭი და მხრები,
რაღას უდგეხარ? წავასხათ ცხვრები!
— ო, არა, ფიდო, ამას არ გირჩევ!

ჯობს, გავანებოთ ამ საქმეს თავი!
რაც უნდა იყოს, ქალია მაინც
და ქალის მიმართ ალმართვა მკლავის
როდი შეშვენის ხევსურელ რაინდს?!
— მუდაყან, წერას აუტანიხარ!
— ნუ მემუქრები, შენი მუქარა
ჩემს გულს არ ხვდება სუსხიან ქარად.
შენც კარგად იცი, ჩემი მკლავები,
თუ გულიანად მტარვალს შავები —
არ მეშინია; ამის ამარა
მტერს მყის გაუთხრის შავსა სამარეს!..
მზია დგას, ესმის ეგ შესიტყვება,
გულგახეთქილი კრთის და კანკალებს.
ძარღვებში სისხლი შიშისგან ლხვება,
ცრემლი უნამავს მაყვალა თვალებს.
უნდა გაიქცეს, მაგრამ სად, როგორ?
უცებ ფიდოც წინ გადაეღობა
და გასაქცევად შემართულ მზიას
იგი ძალუმად გადაეხვია.
ვაჟი ვერ იჭერს მოვარდნილ ვნებას,
ღრიალებს, ოფლის ალმურში დნება,
მზიაც იბრძვის, ვით ხაფანგში თაგვი,
თან იკეცება, ვეღარ შლის მკლავებს;
მის კივილს ისმენს მხოლოდ არაგვი,
რომელსაც ხევში უდევს სათავე.
მაგრამ უეცრად, მოულოდნელად,
თითქო ერთ წამით ცამ გაიელვა,
მუდაყან ფიდოს მიუვარდება —
მოჰგლეჯს, ვით ბალახს და გადაისვრის,
ფიდოც ეცემა უძრავ ლოდს კისრით.
აქ უკვე გაწყდა კავშირი ძმური,
ორთავეს გული აივსო შურით.
ფიდო ბრაზისგან სულ მთლად კანკალებს,
დაბეჟილი აქვს მთელი სხეული.
წამოდგა ზეზე, ძლივს ახელს თვალებს,

გულში მწვავედ გრძნობს, — არის ძლეული.
მაგრამ შეებას მუდაყანს მკლავით,
შემუსროს, ანდა, შეაკლას თავი —
ვერ ჰბედავს და ეს ძლიერ აღონებს,
რადგან გრძნობს მკლავში ღალატობს ღონე.
მაგრამ, ბოლოს ეს მაინც შეჰბედა:
— კარგი, დამაცა, გიტირებ დედას!
ჩვენ ამასშემდეგ შევხვდებით კიდევ!
ახლა კი, ამ მარცხს გულში ჩავიდებ,
და ვაი იმას, ვისაც ჩვენ ორში
ღარ დაურჩეს კეთილი ბოლო,
იგემოს მარცხი და ჩაიქოლოს!
ეს სთქვა ფიდომ და შემოტრიალდა,
გასწია თერგის ნაპირისაკენ,
სად მყინვარს თავის დაეშვა კალთა
და მწვერვალი კი კრთოდა, ვით სარკე.
მუდაყან თითქო დაიძრა კიდეც,
რომ ფიდოსათვის ხმა ჩაეკმიდა,
მან დააპირა გამოდევნება,
მაგრამ მზია სთხოვს დარჩეს და ისიც
ემორჩილება მთხოვნელის ნებას.
— ო, ჩემო მხსნელო, შენი სახელი?!
— ჩემი სახელი — მუდაყან გახლავთ!
— ჩემი კი, მზია, არ მოგწონთ განა?
აქ, თითქო გულზე დაჰკრეს ვაეს დანა,
დაება ენა, მაგრამ სულ ბოლოს
გასცა პასუხი სახის ანთებით:
— მშვენიერია, მაგრამ სახელზე
ულამაზესი თვითონ ბრძანდებით!
აქ უკვე შეწყდა კითხვა-პასუხი,
ახლა ზვერავენ ერთმანეთს თვალით.
ვაეი ტანადი და თვალებრუხი,
იდგა ქალის წინ ეშხით დამთვრალი.
ორთავეს გული სავსეა ვნებით,
ვეღარ ძღებიან მხურვალე ცქერით,

ქალის გულმკერდზე ბროლის მტევნები
მუდაყანს მკერდქვეშ გულსაც უძგერებს.
მას არ უნახავს ასეთი ქალი,
სულ ყველაფერით უხვად შემკული,
ქცევა და ცქერა თავისუფალი,
და, ვით ფიქალი სპეტაკი გული
მწველ სილამაზით შემოქარგული
იჩრდილებოდა სახის იერით,
რადგან აქ სჩქეფდა სიმშვენიერე.
მზიაც უცქერის ქვეშ-ქვეშ და ჩუმად
ვაჟის აშლილ თმას შავ აბრეშუმად,
ხან შუბლს, რის ქვემოთ კრთის როგორც ალი,
არწივის ორი მახვილი თვალი.
ქალს მოეწონა ნატიფი ვაჟი.
ზვერავს მკლავებს და განიერ ბეჭებს,
რომელიც ჰკვეთავს ყოველგვარ ეჭვებს
ქალის ვნებიან გულისცემაში.
დიდხანს, სულ დიდხანს აგრე უძრავად
იდგა ორთავე გარინდებული
და მათი ცეცხლით აღსავსე გული
სიჩუმეშიაც გრძნობდენ ტკბილ ალერსს,
ვნებას უწმინდესს და უმხურვალესს.

VI

ბოლოს, გაბედვით წარმოსთქვა ქალმა:
— წავიდეთ ჩემსა, შორს კი არ არი,
შინ დაგვიხვდება მოხუცი ქმარი
და მას ვუამბობ, რაც აქ გადამხდა,
რომ ამაშორე დღეს განსაცდელი,
მაგ შენ დალოცვილ, მადლიან ხელით!
— კარგი, წამოვალ! იყო პასუხი
და ვაჟის გული სიკეთით უხვი
ისევ აენთო, როგორც აბედი,
თითქო ლოყებიც წითლად იწვისო;
გული კი, გრძნობდა, რომ ჰპოვა ბედი
ახალცხოვრების წინამორბედი.

VII

ჯერ კიდევ არც კი დაღამებულა,
და მთვარის შუქით არ ბრწყინავს ხევი,
რადგან ჩამოწვა ნისლი შავ ქულად,
როგორც ზღაპრული ბაყბაყი დევი.
მაღალ მყინვარის ქუში მწვერვალიც
აღარ ანათებს მელოტი თავით,
მხოლოდ ხმა ისმის მყვირალი თერგის,
ხმა მრისხანე და გულისაკლავი.
არც არშის ციხე აღარ ჩანს უკვე,
არც მისი ძველი ნაჩარდახალი,
რომელიც მყინვარს თითქო ჯიბრს უწევს:
შენ, ჩემზე უფრო, რად ხარ მაღალი?!
ჩაბნელდა არე ჯოჯოხეთივით,
ნისლის ქულებიც ცურავს, ვით ტივი,
მაგრამ ამ ხევის ავი ნადირი
თავგამოდებით, ძალუმად ჰყვირის.
ეგ არი თერგი, მდინარეთ მეფე,
მუდამ მრისხანე, სწრაფი და მღვრია,
მის ტალღათ მიერ ასროლილ შხეფებს
მყინვარის მკერდიც გაურღვევია.
ის მუდამ მიჰქრის თავდაქანებით,
თვით მერანია, მთა კი, — მხედარი,
ღრიალებს ძლევით და მრისხანებით
კლდეების ვეფხვი დაუდეგარი.
მიყვარხარ, თერგო! ეგ სიყვარული
არის სპეტაკი, ვით დილის ნამი,
არ გძინავს, ფხიზლობ, შენი არული
მუდამ მძლავრია დღეცა და ღამეც.
ვინ დაგაკავებს? შენი ჯებირი
რკინაც რომ იყოს, გასჭრი, ძლიერო!
მთა გაწევს, როგორც ცხენს უნაგირი,
ლეჩაქად — ზეცის დასალიერი.
თავდაღმართისკენ დაქანებული

შენი ზვირთების მკვეთრი ჩანჩქერი
არის მუდამ ჟამს აქაფებული
და მთის გრძელ ზღაპრებს ლექსებად მღერი.
ბევრჯერ უგრძვნია მგზავრს შენი ჯადო
სიმღერა იგი, ტკბილია მეტად,
აქვე, მთის ძირში ამირანია,
რომ ემზადება ქვის გასაკვნეტად.
იქუხე, ჩემო! თან ილრიალე,
იყოს თუნდ დილა, იყოს თუნდ მწუხრი,
ამ წუთისოფლის ავი ტრიალი
შენ ვერასოდეს ვერ შეგაწუხებს!
ვერ შეგაწუხებს, მაგრამ ხომ იგრძნობ
ავსაც და კარგსაც სამშობლო მხარის,
და ამ ტკივილს შენ გარკვევით ამბობ,
როცა ზვირთს — ზვირთზე აამქუხარებ!
მე მიხარია, რომ ჩვენში ცოცხლობ,
რომ ჩვენი მთიდან იწყე სათავე
და შურდულივით გაქანებული
გოროზ სიცოცხლეს სხვაგან ათავებ!
მზე ჰქარგავს შენში უხვ ელვარებას,
გუშინ ქედანიც შენ გიმღეროდა
და მთის გულგაშლილ მაღალ წვეროდან
გერთვის ლანქერი მღვრიე ღვარებად.
აქვე არაგვი — ბროლის ჩანჩქერით
შენი უმცროსი ძმა მოყვარული
გულდამშვიდებით ტკბილ ხმაზე მღერის
და უხვ სიკეთით სავსე აქვს გული.
მისი ალმასით ნათალი ტანი
თავდაღმართს ფრთხილი კლაკნით რო უვლის,
თითქო ქალწულის ხელები არი
მთის ხალიჩაზე გადაშხვართული.
მგზავრს, როცა ესმის მისი ჩხრიალი
იქვე ეცვლება გულიდან ბოღმა.
სალი კლდეც ნაპირს გაღმა-გამოღმა
მწვანე ხავერდიც უხვად შრიალებს.
წყლის სწრაფი დენით ნაკვეთი ქვები

მოჩანს ლითონის მკვრივ ასოებად,
აქ, ხალისია და სიხარული,
აქ არის მადლი და სასოება!

VIII

ნისლმა კალთები ამოიწია,
მზემ ოდნავ თვალი შემოაპარა,
ხევის ბურუსში დამფრთხალ ცხვრის ფარას
თითო-ოროლად აგროვებს მზია.
აქ ქალს მუდაყან წამოეშველა,
რომ უფრო ჩქარა მორეკონ ცხვარი.
ხტის ქვიდან-ქვაზე, მზია ვით შველი
და მისი მკერდი სულ მთლად შიშველი
ორ ბურთულს შორის ფართოდ მჯდომარე
ანათებს, როგორც ღამეში მთვარე.
მოგროვდა ცხვარი, უკვე დაისი
თავის ოქროს შუქს ასხურებს არეს.
მყინვარი დგას, ვით ადონაისი
და უსმენს ყუჩად არაგვის ალერსს.
ალერსი იგი შორს იფანტება
ხევის მივარდნილ არემარეში,
სად შვლებს, ჯიხვებს და არჩვების ჯოგებს
აქვთ გამართული რბენა-თარეში.
ცხვრებიც დაჯგუფდენ, ამათში ვერძი
დაწინაურდა, როგორც ბელადი,
მისი მკვეთრი რქა დახრილი გვერდზე
ბრწყინავს და ელავს მრავალფერადად.
ფარა მას მისდევს ობოლ ბავშვივით,
ვიწრო ბილიკზე არ არის ტევა,
ხევში ტრიალებს ნიავი ცივი
და მცენარენიც შეიპყრო რხევამ.
სულმთლად პატარა ცა, ვით ჭილოფი
ხევს გადმოჰყურებს მოლურჯო თვალით
და ზედ ვარსკვლავი, როგორც ჭრილობა,
აზის ფერმკრთალად ამონათალი.

მზე ახლა არც მთებს აღარ აბრაზებს,
ის დაიძირა, ვით მძიმე ტივი,
ზევით მკერდტიტველ მტრედისფერ ცაზე
მობობღავს მთვარე ყვითელ ლოდივით.
მაგრამ, ამისი ობოლი თვალი
ვერ სწვდება გულში ხევის ნაპრალებს,
ისე სიბნელეს უპირავს ხმალი
და აპრიალებს განიერ თვალებს.
სვლა საშიშოა ასეთ დროს ხევში,
აქ უნდა გქონდეს ჯიხვის ფეხები,
თუ მოსწყდი უცებ დაკლაკნილ ბილიკს
შორს, შავ უფსკრულში გადიჩეხები.
მაგრამ მუდაყან ქუში და მკვრივი
მიდის მტკიცედ, ვით უდაბნოს ლომი.
მისი ფოლადით ნაჭედი წვივი
ნაჩვევი არის რბენას და ხტომას.
სადაც ხრამია და ნაპრალები,
სად ერთის გასვლაც საფრთხილო არი,
იქ მას ხელთა ჰყავს მზია, ვით ბავშვი
და ასე გადის უფსკრულის არეს.
ორივე გულში ამ დროს სხვაგვარად
ტოკვენ და გრძნობენ დაუშრეტ ხალისს,
თითქოს ალმური იქცაო ღვარად,
ისე ენთება გულმკერდი ქალის.
ვაჟიც იწვება მგზნებარე ალით,
თითქო ამ ალში იყოს მცურავი,
და ამ დროს ქალის მარმაშა სხეულს
მისი მკლავები მედგრად სწურავენ.
სწურავენ, მაგრამ ჯერ მოკრძალება
ვაჟს ქალისადმი ეტყობა მაინც,
თუმც გიშრის ფართე მწველი თვალები
წარმართულ ცქერით აღელვებს რაინდს.
ქალსაც აღელვებს ვაჟის იერი,
ტანის ნაკვთების სიმშვენიერე
და მისი ნდომა ხარბი და ქუში

უფრო ინთება ვნებიან გულში.
ამ დროს ვის ახსოვს დაკარგვა ცხვრების!
გული ორთავეს ცეცხლის ალს უნთებს,
ქალი კი, უფრო თავდავიწყებით
მიენდო ვაჟის შეკუმშულ კუნთებს.
ინთება ცეცხლი. ახლა ვაჟკაციც
შეიპყრო ქალის მწველ სითამამემ.
ხევში ხმაურით მირბის არაგვი,
მთაში ჯერ კიდევ ბრძანებლობს ღამე.

IX

მიდიან, განვლეს დიდი მანძილი,
მაგრამ წისქვილის ხმა ჯერ არ ისმის,
ხევს აღარ ჰბურავს ლიბრედი ჩრდილი,
ღრმა ნაპრალებში ჩამდგარა ნისლი.
ხოლო ნაძვნარის დაღუნულ ტოტებს
გრილი ნიავი რონინით არხევს;
იქვე გულის წვით იძახის ჭოტი —
მუდამ რომ მწარედ დასტირის ამ ხევს.
მისი ძახილი თვით მთის ნადირსაც
ხვდება ღრმად გულში მწველი ნაღველით
და ამ ღამეში კენტი სიმღერა
იდუმალების გამომსახველი, —
თითქო არისო ხანგრძლივი წყევლა,
მრისხანე მეტად, უნდო და ავი,
და ამ წყევლაში ჩქეფს შადრევანად
ქვეყნის სიმუხთლე, წყვდიადებრ შავი.
ამ დროს კი, ჯიბუ წისქვილში მარტოდ
ზის და ნაღველით ევსება გული;
თან წუხს: — ნეტავ ქალს რა დაემართა?
და შიშისაგან ატაცებული
ხან წისქვილის ბანს ეცემა შმაგად,
ხან გორაკიდან გადაიძახებს,

მაგრამ პასუხად წინ ეგებება
მთვარიან ღამის ფერმკრთალი სახე.
— აუ, გეძახი, სადა ხარ, მზია?
აუ, არ გესმის? პასუხი გამე!
მაგრამ არ ისმის გამოძახილი,
თითქო, ამ ძახილს იჭერდეს ღამე.
— აუ. გეძახი საბრალო ქმარი,
აუ, ვინ გიჭერს ოხერტიალი?
მაგრამ პასუხად მოისმის მხოლოდ
ჭოტის კვნესა და თერგის ღრიალი.
ეძახის კიდევ, მაგრამ ამ ძახილს
ახშობს მრისხანე მთების ქუხილი,
აქ მოაგონდა საბრალო მოხუცს
თუ რა სიზმარი ნახა წუხელის.
და გული, ისეც შეღონებული,
სულ მთლად აიღო შიშმა და ზარმა,
თითქო ეგ არი, აიტაცაო
მთიდან მოვარდნილ გრიგალის ქარმა!
აი, სიზმარიც: მზია ცხვარს მწყემსავს,
მზე ახალისებს ბუჩქნარს და ტყესაც.
უცებ მყინვარზედ დაიძრა კუშტად
არწივი, იგი ფრინველთა ღმერთი,
და მწყემს ქალისკენ, დაუნდობელი,
გამოექანა მახვილი მკერდით.
გაჩაღდა ბრძოლა, ავ მტაცებელმა
მომართა მყისვე მახვილი ბრჭყალი
და ახლა ცდილობს ბრაზმორეული,
ქალს ბასრ ნისკარტით დასჩიჩქნოს თვალი.
ჯიბუ ხედავს ამ საზარელ სურათს,
ცოლს რითმე მაინც უშველოს უნდა,
მაგრამ შველა მან როგორ შეიძლოს,
თითქო ფეხებიც სულ დაეკუტა!
სწორედ აქ, ამ დროს, ამ მწარე წუთში
გამოირბინა ლაღმა ირემმა
და იქვე ხევის ქვემო ორწოხში

თავი გამოჰყო მონადირემაც.
იგი დაჭრილ მსხვერპლს მისდევდა უკან,
რომ ხელში ეგდო ნანადირევი,
მაგრამ ხევის ერთ სალკლდოვან შუკას
მყის შეეფარა ლალი ირემი.
დაინახა რა ვაჟმა აქ ქალი
და მისი ბრძოლა არწივთან ცხარე,
თოფი მიზანში შეასწორა და
მყის არწივს გულის გაუპო ფარი.
გადარჩა მზია, ჯიბუს სიზმარი
აწით გათავდა ესოდენ მწარე
და დილას, როცა ზეზე დგებოდა,
განცდილი ჯავრი გულს ედო ლოდად.
საბრალო ჯიბუ ტოკავს და ღელავს,
ახლა იგონებს საშინელ წუთებს,
ხან გულს ცრემლებით აისათუთებს:
ნაღვლობს: მთაში რად გაგზავნა ცოლი
და ჯავრი კვნესად ამონასროლი
გულში ხვდებოდა ამ ხევის არეს,
როგორც მახვილი, მჭრელი ისარი.
წუხს ჯიბუ ასე, მაგრამ უეცრად
გამხიარულდა წისქვილის ეზო,
თვალი მოჰკრა რა მომავალ მზიას,
ჯიბუს გულს შვების შუქი დაესო.
წამს მიეგება წინ გულის მურაზს,
გადაეხვია ცრემლმორეული
და დიდხანს აგრე უძრავად იდგა,
ვით მონუსხული და მთვარეული,
ბოლოს იკითხა ლმობიერებით:
— რად დაიყოვნე ესოდენ, ქალავ?
გელოდე, გული ამევსო დარდით,
მოხუცს სადა მაქვს ლოდინის ძალა!
ვფიქრობდი, ხევში გადაიჩეხა,
ანდა, ნადირი შეჭამდა სადმე.
მზიამ უამბო მოხუცს თავისი

შემთხვევა იგი სიკვდილზე ავი
და ქმარის გულის სანუგეშებლად
ნაზ ცბიერებით დაჰხარა თავი.
მან უთხრა: — ჩემი სიცოცხლის მხსნელი
უნდა შეიტკბო შენც თვალის ჩინად!
და თან გააცნო ჭაბუკი იგი,
რომელმაც ავ მარცხს გადაარჩინა.
მოსუცმა მხოლოდ ახლა შენიშნა
მუდაყან, იქვე ჩუმად რომ იდგა,
რომელიც ქუშტად გადმოჰყურებდა,
ვით გნოლს, — არწივი მაღალი მთიდან.
— შენა ხარ ჩემი მეუღლის მხსნელი?
— დიახ! — გაისმა ხმა უდარდელი.
და ახლა, ჯიბუმ მოხევურ მადლით
დაუწყო ჭაბუკს კურთხევა. ლოცვა,
გადაეხვია და გადაჰკოცნა!
ჭაბუკმა გული გადუხსნა მოხუცს
ტკბილ მზრუნველობით და სიხალისით.
უთხრა: — არა ვარ, ძვირფასო მამავ,
ესოდენ ლოცვის და მადლის ღირსი!..
მაგრამ, ჯიბუ .აქ როდი ცხრებოდა,
რომ მის ღარიბულ ოჯახის ჭერქვეშ
თუნდაც, ეს დიდად საძნელო იყოს, —
ერთ ღამეს მაინც დარჩენილიყო.
დასთანხმდა ვაჟი, გაჰყვა მასპინძელს,
მისი თვალები ელავდნენ მკვეთრად,
მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველი
და უცაბედი თბილი შეხვედრა.

X

ღამეა წყნარი, პირბადრი მთვარე
მიცურავს ცაზე ალისფერ ტივით.
მყინვარის არეც მუდამ მშფოთვარე
აღარ გრძნობს სევდით ანთებულ ტკივილს.

აქ კი, წისქვილის შუა ადგილას,
გიზგიზებს ცეცხლი გაომებული,
ამდგარი ბოლი დაგრაგნილ ჩრდილად
ჭერსა და ჩარდახს ზოლებად უვლის.
ჯიბუ წვავს მწვადებს, ტრიალებს მზიაც:
აი, ვახშამიც მომზადდა უცებ!
ცხვარს ცალი გვერდი სულ დაჰბრაწვია,
ცხიმი ლივლივით უსველებს მუცელს.
აგერ, სუფრა და სუფრაზე ღვინო
კიაფობს წითლად მარჯანისფერი.
ოჰ, რა ტკბილი ხარ, ქართული ლხინო,
როცა შენს გულის სიმებზე მღერი!
აქ. ჭიქებით და აზარფეშებით,
არ ერიდება ღვინოს არავინ;
თრობის შემდეგ კი, საერთიერთო
შურსა და მტრობას ვეღარ ჰფარავენ.
სად მთვრალი მისებრ დამთვრალ მოქიშპეს
ღვინით სავსე ბოთლს ბრაზით რომ სტყორცნის
და, როცა გულის ჯავრს ამოიყრის.
შემდეგ გალახულს ტირილით ჰკოცნის!
სადაც ცეცხლია და მძლე ხალისი,
სადაც არავინ ფიქრობს ხვალისთვის,
სად ყველა ლხინში არის გართული,
თუმც ბევრი რამ აქვს ეკეღმართული, —
მაინც კარგია სუფრა ქართული!

## XI

მოუსხდნენ სუფრას. ჯიბუმ პირველად
სავსე ჯიხვის რქით ახსენა ღმერთი.
შემდეგ გადასცა იგი მუდაყანს:
— ჰა, შენც ჯეელო, გადაჰკა ერთი!
შეექცევენ სუფრას. კეთილი გული
უფრო და უფრო გადახსნა ღვინომ.

მზიას ვნებების ალმური უვლის,
ჯიბუც გულგაშლილ ხალისით ლხინობს.
ხან სტუმარს ზვერავს... ვაჟის მკლავები
მოხუცს წიფელის ტოტებს აგონებს,
რომლებშიაც დგას გასაოცარი
მამალი ლომის ხალასი ღონე.
წელი წერწეტი, ვით ბეჭდის თვალი,
მკერდი განივრად ამობურთული
და იმის ქვეშ მძლედ მფეთქავი გული
არის ლაღი და თავისუფალი.
ზვერავს მოხუცი მუდაყანს ჩუმად,
შუბლზე ნაოჭებშემოგარსული.
ბოლოს, სთხოვა მან: — გვიამბე, შვილო.
შენი აწმყო და შენი წარსული!
ჩვენ ყურს დაგიგდებთ, ვფიცავ ჭაღარას,
მოხუც გულისყურს აამებ ამით;
თქვი, რაც ყრმობიდან გამოგივლია:
ლხინი და ჭირი, სიტკბო და შხამი!
ჯიბუს სიტყვებზე მუდაყან უცებ
მოიღუშა და ეცვალა ფერი.
თითქოს, ამწუთში იგრძნო მან მხოლოდ,
რომ იგი არის ამ ქვეყნის გერი.
მაგრამ ვაჟკაცმა სახის ნაკვთები
კვლავ შეასწორა თამამად ისე,
რომ აღადგინა მან წინანდელი
დარბაისლობა და სიხალისე.
დაიწყო ვაჟმა, — მკვეთრი სიტყვები
შრიალებს რბილად, საამო ხმაზე,
ყრმის ბადრ სახეზე კი უხვად სტოვებს
ძველი ნაღველის ირიბულ ხაზებს:
— „მაშინ ჯერ კიდევ ვიყავ პატარა,
როცა მომიკვდა საბრალო მამა.
და ეს შემთხვევა, ვარამი მწარე
გადიქცა ჩემთვის გესლად და შხამად.
არ მყავდა დედაც, ის უფრო ადრე

გარდაიცვალა, დამტოვა ობლად
და მაშინ ჩემზე უბირი ბედით
არავინ იყო ამ წუთისოფლად.
დაღონდა გული, ჩემს მეგობრებში
მხოლოდ მე ვიყავ ასეთი ბედით;
ვეხეტებოდი ხევსა და ღრეში,
როგორც ისარით დაჭრილი გედი.
მაგრამ, ერთ დილით, მოულოდნელად,
როცა ასეთ ავ ყოფაში ვიყავ,
როცა კეთილის მრჩეველიც ჩემთვის
არ იყო, ბედმა ისე გამრიყა, —
შემხვდა ბილიკზე სათნო მოხუცი,
მან ჩემი ჭირი გაიზიარა
და ამის შემდეგ გულიდან უცებ
ამოიწურა მწველი იარა.
მიშვილა, მეც მას მივენდე გულით,
მანამდე სევდით გარემოცული.
გზას გავუდექით, ირიბი მთები,
რაც არ ვიარეთ, მაინც წინ გვედო.
მწვერვალები კი, ჩვენ დაგვყურებდა
სასიამოვნო და საიმედო.
წინ მიმიძღოდა მოხუცი იგი,
მე მას მორჩილად მივსდევდი უკან.
ვიარეთ მთები, ამ მთების იქით
მრავალი ხევი, მრავალი შუკა,
მაგრამ ჩვენ წინსვლას არ ჰქონდა კიდე.
მზე გადიხარა, ბოლოს მოხუცი
შემოტრიალდა ვეფხვივით უცებ,
და შემეკითხა: — იქნება, შვილო,
დაიღალე და მგზავრობა გიჭირს?
თუმცა გეტყობა თვალის სხივზედაც.
რომ უნდა იყო ყოჩაღი ბიჭი!
— არა, ჯერ კიდევ არ მოვქანცულვარ! —
გავე პასუხი, ჩავღუნე თავი.
თუმცა ჯობს, ახლა მაინც გამოვტყდე, —

ფეხის ტერფზე სულ მძვრებოდა ტყავი.
უცებ, მთის მწვერვალს რომ გავუსწორდით,
გამოჩნდა ქვემოთ პატარა ხევი,
სადაც ხარობდა მდელო და კორდი
გრილი ნიავის ლამაზი რხევით.
დავეშვით კიდევ, ძვირფასი არე
იყო გაშლილი მთების მახლობლად.
ხოლო, ყველაზე ხალისიანად
კრთოდა ამ ხევის ერთი მაღლობი,
სადაც ორ ნაძვის სქელ ტანთა შორის
იდგა კარავი, როგორც ურემი
და მისი მჭრელი თვალები ქორის
ხევის ორწოხებს გადაჰყურებდა.
სოფლის მზეთვალა ყმაწვილქალები
ამ მთის ფერდობზე ჩამომსხდარიყვნენ
და იშვიათი მათი გალობა
ატკბობდა შორით ატეხილ რიყეს.
ერთი იწყებდა, ხავერდოვან ხმას
ველარ ჰკვეთავდა ნიავი ცივი
და მეტად ტკბილი სიმღერა იგი
სმენაში ახლაც ჰანგებად წივის.
აი სიმღერაც. აქ მუდაყანმა
დაიწყო მისებრ წკრიალა ხმაზე,
თუმცა ვაჟის ხმა, ვით შეედაროს
ქალის მოსდენილ ხმის სილამაზეს!
მაგრამ სიმღერა იგი საამო
მაინც აფრქვევდა ტკბილხმოვან ჰანგებს,
თითქო სიტყვები ნაკვეთი თაფლით
შეუსწავლია მუდაყანს განგებ!
— კავკასიონის მთებო,
ბარს მხოლოდ ეს ახარებს,
რომ კლდის ცხიმი და თებო,
მოაქვს ლანქერის ღვარებს.
ვხედავ, რომ დავაქაცდი
ცის ტატნობების მოვლით,

შენს მწვერვალს როგორ ასცდეს:
წვიმა, სეტყვა და თოვლი!
ამირანივით გული
ცის მკერდზე აღმართული,
არის სარტყელი ბროლის
მადანით მოქარგული.
არე ძვირფასი, კარგი,
ნაძვნარის ხშირი ტყეა.
აქ დღე საამო არი,
საღამო აქ თვით დღეა.
ხშირი ნისლების ქულა,
რომ მოდის ქარავნებად,
იგია ხევის სისხლი,
იგია ხევის ვნება.
გადახლართული გზები,
სად ჯიხვსაც გავლა უჭირს,
ამბობს, რომ ჩვენი ყოფა
ამაოა და ფუჭი.
მაგრამ ამ ხევის გული
თითქო მეხია მაინც,
რადგან ყოველდღე გხედავს
დაუმარცხებელ რაინდს.
ქარი ხან ღმუის ავად,
არბევს თელას და იფანს;
მთვარე გედია თითქო,
ღრუბლებში ტანს რომ იბანს.
ორწოხებს იქით ხევი
ფიქალმკერდდანახევი
ჯიბრს უწევს ცის კამარას,
შენ რათ ხარ ჩემზე ზევით!
აქ, მზის ობოლი სხივი
უხვად რომ ეფინება,
მთების მწვერვალი ცივი
მყისვე ლანქერად დნება.
ნეტავ, სად არის ახლა

ამ ხევის მონადირე?
ხომ არ ეტყობა დაღლა,
რატომ არ მისდევს ირემს?
მოხუცდა, მაგრამ გული
მაინც ქვაა და ლოდი,
თუ სანადიროდ მიდის, —
მსხვერპლს არ დაუწყებს ლოდინს.
წამს გააბოლებს ლულა
ნისლების შავი ქულით
და მის წინ უკვე ჯიხვი
გდია მკერდგაფატრული.
ნატამალ-ნაოხარი
ქუხს მთის ლანქერი ხევში,
ო, შიგ რამდენი არი
სილა და წვრილი ხრეში.
პატარა რუ მთის პირას,
ხაზს რომ მიჰყვება ირიბს,
ყოველდღე ტუჩზე ჰკოცნის
შტოებდახლართულ ტირიფს.
ტირიფი იგი ტირის,
როცა რუ არ ჩხრიალებს,
მოკლებულია რადგან
ხვევნას, კოცნას და ალერსს.

## XII

აქ უკვე შეწყდა ხმა საამური,
მუდაყან იჯდა განცდებით სავსე
და წითელ ღვინით დალაღულ თასებს
თითქო ზედი-ზედ სცლიდა ამური.
სუფრა საოცრად მიბნედილიყო,
ჯიბუც დაღლილი ხშირი მთქნარებით
იჯდა მოწყენით. წისქვილის ხულას
შუქს ჰფენდა კვარის ჩირაღდანები.
დოლაბები კი, თავგამოდებით

სცემდა ზათქსა და ყიჟინას ზღვაურს,
თითქო ეგ არი: სკდება ლოდები
და იგი უშვებს შემზარავ ხმაურს.
ზის მზია წყნარად. თან გარინდებით,
თუმცა გულში ღრმად ცეცხლი ინთება.
და მუდაყანის ვაჟკაცურ ცქერას
იგი ცბიერი სინაზით ზვერავს.
ჯიბუც აქვე ზის, მაგრამ მოხუცის
თვალები თითქო დახუჭვას ცდილობს.
ბოლოს წარმოსთქვა: — შენი მოთხრობა
ჩემს გულს ეამა, განაგრძე, შვილო!
აქ მზიაც ჯიბუს სურვილს მიემხრო,
მუდაყანს ამბვის გაგრძობა სთხოვა
და თხოვნის შემდეგ ბროლის სახეზე
ვნების ალმურმა ჩამოათოვა.
დაიწყო ვაჟმა. მისი სიტყვები
წისქვილის ხმაურს უერთდებოდა
და ნაამბობი სათნო მსმენელებს
სულს სიღრმეში რჩებოდათ ლოდად.
თქვა მან: — მოხუცი, რომელიც შემდეგ
შეიქნა ჩემი მზრუნველი მამა —
იყო განთქმული მონადირე და
წელს უმშვენებდა თოფი და ყამა.
ხშირად, როდესაც საღამო გრილი
ანთებდა შორით ვარსკვლავთა კრებას,
შეგროვდებოდა ყმაწვილქალები
და ამ მოხუცზე მღეროდენ ქებას.
ზოგს, მისი სროლა მოსწონდა მხოლოდ,
ზოგს კი, სირბილი არჩევით სწრაფი,
ხუჭუჭი თმა სქლად დაყრილი ბეჭზე
ელავდა, როგორც მდინარის ქაფი.
მიყვარდა იგი, მასაც ვუყვარდი,
თითქო ის იყო ჩემი მშობელი;
თავის ალერსით მან სულ დამიხშო
გულში კოცონი ჩაუქრობელი.

მოხუცს ყოველდღე დავყავდი ტყეში,
ჩვენს ნადირობას არ ჰქონდა ბოლო.
ტყე ჩვენთვის იყო ედემის ბაღი
და მას მდინარე წელს ერტყა რგოლად.

XIII

კრთ ღღეს, როდესაც ცხოველმა მ'ხემა
დასავლისაკენ იწყო ტევება
და უზარმაზარ მთების ჩრდილები
ხევში ჩამოწვა უძრავ დევებად.
მოხუცი იგი სახემცინარე
მოიჭრა ჩემთან ტკბილი ხმიანი
და მითხრა: — შვილო, სანადიროთ
დროა წავიდეთ, ნუ მაგვიანებ! —
მეც მოვემზადე, მყის საჭურველი
მოვირტყი წელზე, ვით მონადირემ.
გულში კი ვნატრობ: ო, რა იქნება,
რომ ერთხელ მაინც მოვკლავდე ირემს!
შევყევით ბილიკს ვიწროს და ირიბს,
ფეხაჩქარებით ვიარეთ ბევრი.
ქვემოთ სალი კლდის ნაპრალი ხშირი
მოჩანდა, როგორც უძირო ქვევრი.
მივდივართ ასე, ბოლოს, მთის ფერდს
ვხედავ: — ბალახს სძოვს დედალი შველი.
სტყორცნა მოხუცმა, მაგრამ ამაოდ.
ახლა მე ვსცადე უცდელი ხელი.
დაეცა შველი, მაგრამ უეცრად
წამოხტა, ისევ გასწია მთისკენ,
სად ჯადოქარი და ულმობელი
იყურებოდა კლდეების სისქე.
გამოვუდექით, თავს აღარ ვზოგავთ,
შველი კი, მიჰქრის თავგამოდებით.
ხან კი, საბრალო ღრმა ჭრილობისგან
ამოიოხრებს მძიმე გოდებით.
მაგრამ უეცრად, მოულოდნელად

იქ, სად იღება ამ მთების კარი,
მყის შეაფარა საბრალომ თავი.
მაგრამ მითხარით, რა გადურჩება
მონადირის თვალს ხარბსა და მსუნაგს?
მივსდიეთ უკან, ბოლოს კლდის ძირას
თავს წავადექით ნადირის ბუნაგს.
აქ, თბილი სისხლი ბლომად ესხურა
კლდის მახვილ ქიმზე გადაზრდილ სუროს;
რა დაგვინახა, შეკრთა საბრალო,
მაგრამ, არ ჰქონდა გაქცევის ღონე.
ისევ თავის ნუკრს უკანასკნელად
თავდავიწყებით გადაეკონა:
„— ოჰ, გტოვებ, შვილო, ობლად,
ვინ მოგაწოვებს ძუძუს!
საბრალო დედაშენსა
ხომ ხედავ გული უწუხს.
აღარ ვარ, ჩემო კარგო,
რაც რომ ვიყავი გუშინ,
ცივი ყურშუმის ტყვია
მწვავედ ტრიალებს გულში.
გემშვიდობები, ჩემო,
მიმყვება შენი სევდა,
გაიზარდ-გაიხარე,
ნუ დაივიწყებ დედას!
ვფიქრობდი, ამ უხვ მთების
გულ-მკერდს აღმართულს ცამდე,
გაძოვებ, მაგრამ მორჩა,
ვერ მივაღწიე წადილს!
მიმუხთლა ბედმა, ამ ტყის
ველარ ვიხილავ რტოებს.
საბრალო დედა-შენი
ოჰ, რა ცუდ დროზე გტოვებს!
და ეს ვარამი მწარე
გულს, მგზნებარე ცეცხლს უჩენს.
მიდის მთავარი სული,

რძით ვერ გინამავ ტუჩებს!
რა იქნებოდა, ბედო,
ამ ტყეში მეც მერბინა,
მეც მქონებოდა ცის ქვეშ:
სიცოცხლე, თბილი ბინა?!
გემშვიდობება, შვილო,
საბრალო შენი დედა.
აწ, ვერ იხილავ მშობელს
გადმომდგარს ამ სერზედა!
ვეღარ მოგაწვდის ალერსს,
ვერც ტკბილ რძით სავსე ჯიქანს.
დაიმსხვრა სულ მთლად უცებ
იმედით სავსე ჭიქა.
ახლა, რაღა ვარ, ვკვდები,
სიხარულს მოკლებული,
აღარც თვალები მიჭრის,
თანდათან მწყდება გული.
ყელში წყურვილი მიჭერს
სულ მთლად ამოშრა ხახა,
ოჰ, საყვარელო მთებო,
შემდეგ ნუთუ ვერ განახავთ?!
ნუკრი ჯერ კიდევ ჩვილი
ისმენდა სიტყვებს დედის.
გულს უფატრავდა მწველი
მშობელის მწარე ბედი.
და ისიც გულმოკლული
ცრემლს ღვრიდა უხვად ცხარეს
და ამ მდუღარე ტირილს
ისმენდა მთელი მხარე.
ვერხვს რტო ძირს დაეხარა,
თითქო მოსთქვამდა გნოლიც
და მთის მწვერვალზე ახლა,
აღარ ელავდა ბროლი.
— „ოჰ, ნუ დამტოვებ, დედა,
მსურს მარად შენი ცქერა.

უშენოდ მგელი შემჭამს
ანდა, წამიღებს ძერა!
ვინღა მაწოვებს ძუძუს,
ვინღა დამიწყებს ალერსს,
ვინ შემიცოდებს ბედკრულს,
ვინ დამიკოცნის თვალებს?
წვიმა გულს შემიწუხებს,
გამიყინდება სისხლი,
ბუნაგსაც, ვით მივაგნო,
როს მთას დაჰბურავს ნისლი?!
ქარო, ავ სუსხით ნუ ჰქრი,
მარტო ვარ მკერდშიშველი!"
— ასე სტიროდა ნუკრი,
როცა კვდებოდა შველი.
დედა კი, მომაკვდავი
თავის განიერ თვალით,
თითქო ნუკრის თავს გვთხოვდა:
— ნუ მოჰკლავთ, შეიბრალეთ!
მინდოდა, ნუკრი ჩვილი
გადამერჩინა მაინც;
მაგრამ ამაოდ, ცეცხლი
უკრთოდა მოხუც რაინდს.
ის, წამს მივარდა ნუკრთან
ყელს გამოუსვა ყამა
და თბილი სისხლი ბალახს
დაესხა დილის ნამად.
უცებ გათავდა წამი,
მოკვდა ნუკრიც და შველიც;
მთის ფერდობზე კი, ისევ
ჰქროდა ნიავი ნელი.

## XIV

დავბრუნდით უკან. გულს აკლდა მოხუცს,
რომ ცოტა იყო ნანადირევი.
შველსა და ნუკრზე როგორ შეჩერდეს,

როცა მას სურდა მოკვლა ირემის.
აბა, ეს ერთი შველი რა არი,
როგორ დასჯერდეს ამაზე გული!
ისიც ხომ ჩემი გასროლილ ტყვიით
იყო ღრმად ბეჭზე გამოფატრული.
მივდივართ ასე. საღამოს ჟამი
რუხი მტრედის ფრთის შრიალით მოდის.
ამოდის მთვარე, კამკამებს ღამე,
ტყის გულში სევდით იძახის ჭოტი.
არე ძვირფასად ნაქანდაკევი
მთვარის მკრთალ შუქზე სუსტად ელავდა,
ჩანჩქერები კი, ჰგავდნენ სისწრაფით
ტუსაღს, გაქცეულს სახრჩობელადან.
ამდროს, სრულიად მოულოდნელად,
თითქო მთამ ზურგზე მოისხა თექა,
და უცებ, ქიმის ერთი კუთხიდან
თოფის ხმამ ძლევით გამოიჭექა.
ბყის მოვიხედე, ჩემი მოხუცი.
ეგდო მიწაზე გადაშხვართული,
ღრმა ჭრილობისგან მოჩქეფდა სისხლი,
როგორც ანკარა მთის ნაკადული.
მთის ორწოხში კი, მრისხანე თემურ
იდგა და ცეცხლის ხმაზე ჰყვიროდა:
— „ხომ ავისრულე ჩემი წადილი,
რაც გულზე მედო წამების ლოდად!“
თურმე მოხუცი და ის თემური
მტრობდენ ერთმანეთს ავმოსისხარად,
და რა იხელთა დრო ავაზაკმა —
მოქიშპის ჯავრი ამოიყარა.
კვდება მოხუცი. ცეცხლის თვალებმა
უცებ დაჰკარგეს მახვილი ცქერა,
და განიერმა მკერდის ბუდემაც
უკლო თანდათან ღონიერ ძგერას.
ბოლოს საბრალომ ტანის ცახცახით
ჩამჭიდა ხელი, გადამეხვია:

დამქრალ თვალთაგან ნადენი ცრემლი
იყო მდუღარე, მლაშე და მღვრია.
მითხრა: — ოჰ, შვილო! ხომ ხედავ, ვკვდები,
აღარ სცემს გული, ღონეც წამერთო.
კეთილ ხალხისთვის არ მსურდა ცუდი,
ამისი მოწმე შენა ხარ, ღმერთო!
ვკვდები, საცაა ამოვა სული!
გემშვიდობები, ჩემო ძვირფასო,
მე იმედი მაქვს, რომ შენი გული
მომაკვდავ გულის მიხვდება პასუხს.
კითხოვ, ნუ შეარჩენ უპირო ჯალათს
ჩემ სისხლს, ჩემ სახელს და ჩემს წახდენას.
გველადაც იქცეს, ნუ შეგაშინებს
იმისი შხამი, იმისი კბენა!
და ჩემს დამღუპველს, დაღვრილი სისხლი
შეანანე და უქციე შხამად.
თუ შეასრულებ ამას, გადიხდი
შენი აღმზრდელის ზრუნვას და ამაგს!
— ჰოი, მოხუცო, ვფიცავ ცის ნათელს,
რომ შენი მკვლელი, სადაც არ შემხვდეს, —
მათხოვრის კონკით თუ მდიდრულ ფარჩით—
თუ ცოცხალი ვარ, — არ გადავარჩენ,
იყოს თუნდ კარგად, იყოს თუნდ ავად,
იყოს თუნდ ლოცვად ხელაპყრობილი,
წამს მივვარდები, რომ შიშველ მახვილს
იმისი სისხლით დავბანო პირი!
— ოჰ, მჯერა, შვილო... მშვიდობით, ჩემო!..
წინ, ლამპრად გენთოს... ჩვე... ნი... წარ... სუ... ლი...
და ამ სიტყვებზე ღრმა ამოსუნთქვით
მყის განუტევა საბრალომ სული.
დავემხე პირქვე, დიდხანს ვტიროდი,
სახეს ეგრძნობლად ვისრესდი ქვიშით.
ქარს კი ხევის ყრუ ნაპირებისკენ
მიჰქონდა ჩემი მოთქმა და ვიში.

## XV

კვლავ ობლად დავრჩი, დიდიხანია
იგი მოხუცი რაც რომ დავმარხე.
მაგრამ თემური თითქო დაინთქა,
არ ჩანდა მისი წყეული სახე.
ერთხელ, როცა მზე მიმალულიყო
და წვრილი თქორი სცვიოდა ციდან,
ჩაფიქრებული და ნაღვლიანი
ვბრუნდებოდი რა ნადირობიდან,
შევხვდით ერთმანეთს მე და თემური.
ცეცხლით აგვენთო ორივეს თვალი.
მე შევუძახე: — თუ ვარგხარ, თემურ,
დამხვდი, ხომ ხედავ მოვდივარ ხმალით!
მანაც იშიშვლა ელვარე ხმალი
ისე, რომ თითქოს იძრაო ხევი;
ვუტევ და მიტევს, ვიბრძვით ორივე,
ეს ორი ტლანქი ბაყბაყი დევი.
უცებ, ვით რისხვა, მოულოდნელად
გადატყდა ჩემი მარმარა ხმალი.
აქ, ბედმა თითქო განგებ მიმუხთლა,
თითქო დამივსო ორივე თვალი.
მაგრამ ვიშიშვლე ბასრი ხანჯალი
პირკურთხეული ხორასნის რკინა,
თემურს გონია ვჭამე სირცხვილი,
და ახლა უფრო გაბედვით გრგვინავს.
ვიბრძვით კვლავ ფიცხად, არცერთის გული
არ ტყდება ბრძოლით, არ ტყდება დაღლით.
თემურ ჰყრის დორბლებს ავი ბრაზისგან,
თითქო ეგ არი, — გაცოფდა ძაღლი.
ბოლოს, ვიმარჯვე, დავეც ხანჯალი,
გადავსჭერ ყელი, ყალამი ისლის,
ისე, რომ ჩემს მკვრივ ორლესულ მახვილს
არ მოსცხებია მტარვალის სისხლი.
ამდღიდან უკვე გავიჭერ ტყეში,

როგორც ყაჩაღი, როგორც ფირალი,
ვეღარ ვჩნდებოდი სამშობლო ხევში
და უხეშ ბედზე ვიყავ მტირალი.
აუტანელი იყო ეს ყოფა,
მუდამ ნაღველი და მარტოობა.
და ასეთ ყოფის ავი სიმძიმე,
მიხშობდა გულში ყოველგვარ იმედს.
შემდეგ, როცა მთას მეც შევეჩვიე
და არად მიჩნდა ნაპრალის კიდე,
ნადირობისას გავიცან ფიდო,
მან მეგობრულად, ძმურად მიმინდო,
მაგრამ ეს ძმობა იყო ხანმოკლე,
თქვენმა შემთხვევამ ჩვენ დაგვაშორა.
და დღეს ის მხოლოდ მტერია ჩემი,
ეცდება გული გამიპოს ორად.
აქ, ჯიბუ მკვირცხლად წამოხტა ზეზე
მუდაყანს მკერდზე გადაეხვია
და მოხუც გულის ტკბილი ალერსი
ვაჟს ფანტელივით გადაეფრქვია.
უთხრა: — „გთხოვ, დარჩე ამიერიდან
ჩვენთან, ჭაბუკო, ვით ღვიძლი შვილი.
შეწუხებას კი, არ მოერიდო,
გაგვინაწილე ჭირი და ლხინი!
და ამ სიტყვების მტკიცე დასტური
იყო მოხუცის მხურვალე კოცნა,
თითქო ცივმა მთამ, მკერდგაყინულმა
მხურვალე მზის გულს სხივები სტყორცნა!
მიუახლოვდა მუდაყანს დინჯად
მზიაც გულში ღრმა ეშხის ჭრილობით,
ადათისამებრ თმები მოაჭრა,
აქ ვაჟმაც ფიცი დასდო შვილობის.
დამშვიდდა ჯიბუ, დამშვიდდა მზიაც,
თითქო ჩადგაო ძლიერი ვნება,
დრო შუაღამეს გადასულიყო,
ცაზე კვლავ ენთო ვარსკვლავთა კრება.

მზიამ ლოგინი გაშალა სწრაფად,
აქ ყველა მისებრ იყო დაღლილი.
დაწვნენ, წისქვილის დარდიმანდ ხულას
შემოეხვია მთვლემარე ძილი.
სძინავს სუყველას, მაგრამ არ სძინავს
მყვირალა არაგვს აურზაურით.
მას უერთდება ხევის წისქვილი
განუწყვეტელი მჭახე ხმაურით.
და ეს არული ღამის წყვდიადში
მიიწევს მთისკენ ნისლის ქულებად,
თითქო იქ არი შვების მწვერვალი
და გულის სატრფოც იქ ეგულება!

XVI

დღენი მიჰქრიან, როგორც ცხენები,
ამათ რა დაღლის ქვეყნების მოვლით!
ზამთარი არის, მთების ფენები
დაბურულია უძრავი თოვლით.
ხოლო, კლდეების პიტალო ქედი
სად თოვლის ფიფქი ოდნავ ვერ შერჩა,
ერთი შეხედვით მგზავრს მოაგონებს
პატარძლის თავზე დახეულ ლეჩაქს.
აი, ამ მთის ძირს მოყვება ვაჟი,
მას ზურგზე ჯიხვი ჰკიდია რქებით.
უდაბნოსაებრ სიჩუმე მთაში,
თოვლის ნამქერში აღარ ჩანს ქვები...
ეტყობა, ვაჟი მონადირეა,
მის გულს არ ხვდება გრგვინვა და ექო;
ცალ ხელში თოფი, ცალით გზას ზვერავს,
რომ კლდის უფსკრულში არ გადიჩეხოს.
თუ ქიმზე ფეხი მოუსხლტა უცებ
კვლავ მეორე ქიმს მოეჭიდება,
თოვს მთაში, ხოლო ცის კაბადონზე
თოვლის ფანტელი ფრინავს ჩიტებად.
ეგ მონადირე მუდაყან არის,
იგი არ უფრთხის ნამქერს და ღვარებს.

მიდის წინ დინჯად, ბოლოს მიადგა
ხევში წისქვილის დარაზულ კარებს.
— ჰეი, ვინ არი სახლში, არ გესმის?
— შენ თვით ვინა ხარ, პასუხი გამე!
— მე ვარ მუდაყან. გამიღე კარი!
და არც გასულა არც ერთი წამი
ურდული გვერდზე გადაიწია —
ვაჟს შეეგება ღიმილით მზია.
— მუდაყან, ჯიხვიც მოგიტანია!
— მაშ, უმწვადებოდ დაგტოვებდი, ჩემო ქალაო?!
— ასეთი ჯიხვი როგორ მოჰკალი?
— შენთვის თუნდ კოცონს ჩავუქრო ალი!
— მოდი ცეცხლისკენ, ნუთუ არ გცივა?
— მე ისიც მათბობს,
შენ თვალთაგან ღიმი რომ ცვივა!
— შენი პასუხი გულს მოხვდა მწარედ!
— ჯერ ის მითხარი, ჯიბუ სად არი?
— აი, ახლახან ხევის რუს გაჰყვა,
რომ შეაკეთოს წისქვილის ღარი!
და ამ სიტყვებზე ქალმაც და ვაჟმაც
იგრძნეს სიამე სულ სხვანაირი.
გარეთ ძლიერი ქარბუქი იყო
და საშინელი ცივი ჰაერი.

## XVII

შუა წისქვილში ღადარი, ცეცხლი
ელავდა ალის ფერადი ღიმით.
ღველფში კი წითელ დიდრონ ნაკვერცხლებს
საბრალო ჯიხვის ნამავდა ცხიმი.
ჯიბუ ჯერ კიდევ არ მოსულიყო,
კვამლი წვდებოდა ჩარდახს და დვიროს.
მზია მუდაყანს მოუჯდა გვერდით,
რომ ვაჟის გული მოინადიროს.
ხან კი, გაიხსნის გულის საღილეს,

აქ, მკერდი ბროლად აელვარდება,
ხან კი, სიწითლე მეტი ვნებისგან
ეფრქვევა ლოყებს კოკორ ვარდებად.
მუდაყან თითქო თავს იჭერს ახლაც,
მაინც აიღო მგზნებარე ალმა,
ძლიერი ვნების გამოსაწვევად
ახლა ვაჟს ეშხით მიმართა ქალმა:
— მუდაყან, ხომ გწვავს ჩემი თვალები?
— მწვავს, როცა ჰკრთიან მეტ ელვარებით!
— ჩემი ᲗᲛᲐ-წარბიც ხომ გაჯადოებს?.
— გულში სისხლს კუმშავს და ცეცხლს მათოვებს!
— ხომ გიხარია, როცა მზია შენს ახლოს არის?
— მიხარია და ჩემს სიხარულს არ აქვს საზღვარი!
— მე ვჯობივარ თუ ხევის ყველა ქალები ერთად?
— ჩემზე რომ იყოს, მე დაგსვამდი იმათ ქალ-ღმერთად!
— ხომ ძლიერ მოგწონს ჩემი ყელი, ჩემი გულ-მკერდი?
— რა საოქმელია, ხარ უმანკო ღუღუნა მტრედი!
— ჩემი მკლავები, ან თვალები, — რას გეუბნება?
— ნუღარ იჭერო, აუშვიო მხურვალე ვნება!
— მაშ, გყვარებივარ უსპეტაკეს ნაზ სიყვარულით!
— მიყვარხარ, ჩემო, და ამ გრძნობით სავსეა გული!
— რომ მომიტაცონ, სწორე მითხარ, არ გეწყინება?
— აგრე რომ მოხდეს, გულში სისხლი გაიყინება.
მაგრამ, შენს თავს მე ღვთის რისხვასაც არ დავანებებ,
მსურს ჩემი იყო, გთხოვ მოენდო ისევ ჩემს ვნებებს!
— მაშ, რას უდგეხარ, შენია მზია!
აქ, ქალს ვაჟი მძლედ გადაეხვია.
მაგრამ, ჰოი, ავ-საკვირველებავ,
ასე რომ ღვივის, ვით ნაკვერცხალი —
ვისია იგი მზვერავი თვალი?
საიდან გაჩნდა? ან, აქ რა უნდა?
იქნებ, კარზე სურს დააგოს მახე?
იქნებ, ეს არის ავი ზმანება,
ანდა ეშმაკის წყეული სახე!

ეს ჯიბუ არის, საბრალო ჯიბუ.
თითქო კარს ადევს რკინის ურდულად.
დგას აქ უძრავად, ამ ავხორცობას
თვალცრემლიანი უცქერს ქურდულად.
რა ჰქნას? გააღოს კარი ასეთ დროს,
შერისხოს ორთავ ქალიც და ვაჟიც,
თუ სულ გაიჭრეს ამ ყრუ ხევიდან
და სული სადმე დალიოს მთაში!
ბოლოს, მოკვეთით გადასჭრა გულმა,
როს ზედ მრისხანედ მოაწვა ზვავი:
— „ჯობს, რომ გავშორდე ამ წუთისოფელს
წისქვილის ღარში დავიხრჩო თავი“!
და ამ ავ ფიქრის გავლების შემდეგ,
თვალი მოავლო სამშობლო მხარეს,
სად ნაგემები ჰქონდა მას ბლომად
წუთები ტკბილი, წუთები მწარე.
— „მშვიდობით, ჩემო ძვირფასო ხევო,
თქვენც, ჩემო მთებო, აზრდილო სვეტად;
უჩემოდ ალბათ დაგწყდებათ გული,
თქვენ შემიბრალებთ მეუღლის მეტად!
ჩემო წისქვილო, შენი მოხუცი —
აწ, ვერ იხილავს თქვენს სწრაფად ტრიალს,
მოვარდა მძლავრი გრიგალი უცებ
და ბედი ძირში გადამიმტვრია.
მშვიდობით ჩემო, შენი კედლები
ჩემებრ მოხუცი, თვალებ-ირიბი
შეინახავენ ტკბილ ხსოვნას ჩემზე,
მოხუცს, მდუღარედ დამიტირებენ!“
ამ მწველ სიტყვების შემდეგ მოხუცი
გადახტა უცებ წისქვილის ღარში.
და შიგ ჩაინთქა, დოლაბების ხმა
იყო ამ ავი შემთხვევის მარში.
ქარი კვლავ ზმუის მშიერ ხარივით,
არ წყდება ფართო ფანტელთა თოვა;
საბრალო ჯიბუ ასეთ ღამეში
საყვარელ მხარეს გამოეთხოვა.

## XVIII

გათენდა დილა. ქარბუქი უცებ
ჩადგა, მზეც დინჯად მოგორავს ცაზე.
მაგრამ დაღუპვა ბედკრულ მოხუცის
არვინ იცოდა ამ ქვეყანაზე.
მზიამ ეგ ხევი სულ მოიარა,
მაგრამ ვერ ჰპოვა მოხუცის გვამი.
და დაეპვების მწველი იარა
ჰკლავდა წუხანდელ განცდილ სიამეს.
ვაჟიც დაეპვდა. დაეძებს მოხუცს,
ათვალიერებს ხევს მჭრელი თვალით,
მაგრამ არსად ჩანს საბრალო ჯიბუ,
აღარც მკვდარი და აღარც ცოცხალი.

## XIX

გავიდა ზამთრის ავი დღეები,
მან გაზაფხულიც გადაიყოლა.
ზაფხული არის, მწვერვალი მთების
მარმაშა მზეზე ენთება ბროლად.
წისქვილი ძლევით ხმაურობს ისევ,
მზიამ დასტოვა ჯიბუზე გლოვა,
და ბედმა მის გულს სხვა სიხალისე
და სხვა იმედი ჩამოათოვა.
აგერ, მუდაყან. მზიაც მის გვერდით.
მათ გადმოჰყურებს ამაყი მუხა.
ჰყვავის მყინვარის ფიქალი მკერდი,
წყალვარდნილებიც საშინლად ჰქუხან.
მთაში კი, დაძრწის ველურად ფიდო,
როგორც დამფრთხალი მამალი ჯიხვი.
იმისი სახე დათვს მოგაგონებს,
და მრისხანე ხმა, — მერანის ჭიხვინს.
მან ბევრი სცადა, მაგრამ ამაოდ,

ვერ შეურხია მუდაყანს ბეწვი
და ახლა შურით ძარღვები, სისხლი
ბრაზისგან უფრო სტკივა და ეწვის.
მაგრამ გული კი შხამით აღსავსე
იკვებებოდა  იმედით მაინც;
ღონე თუ არ სჭრის, ჯობს ხერხმა გასჭრას,
თორემ რით დასძლევ დევივით რაინდს!
და ჰა, დროც დადგა, — ამაყ მუხის ქვეშ
ხედავს, მუდაყანს, მის გვერდით მზიას,
გული აევსო გესლით და შხამით,
თვალებს ბურუსი გადაეხვია.
და მყისვე თოფი შემართა ფეხზე,
წამს ამოიღო მიზანში გული,
იჭექა თოფმა, მყისვე მუდაყან
დაეცა პირქვე მკერდგაგმირული.
ფიდო გაიქცა, მზია თმას იგლეჯს,
გულგახეთქილი წავივით წივის;
მაგრამ ამაოდ, ადრინდელივით
აღარ ელავდნენ თვალები ცივი.

## XX

ავ მარტოობამ მოიცვა ხევი,
მზია ნაღველით დარჩა კვლავ მარტო;
მას ხომ სიცოცხლე არ უხარია,
და არც ამ მთების მშვენება ართობს.
მოხუცი აღარ აბოლებს ჩიბუხს,
ვაჟიც დაინთქა ცხოვრების გზაზე,
აღარც მუდაყან და აღარც ჯიბუ,
არც სხვა იმედი ამ ქვეყანაზე!
ფიქრობს და დარდობს, მაგრამ, ოჰ, უცებ,
როს გულს მოაწვა ნაღველის ალი —
ვერ აიტანა და ჯავრისაგან
შეცდა ჭკუაზე საბრალო ქალი.
და ჰა, დღეს იგი თმააჩეჩილი

დახტის ამ ხევში ნაღველალესით,
ხოლო მთები კი ადრინდელივით
ხვდება თბილად და ტკბილი ალერსით:
— ქალო, ასე გულდამწვარი
ნეტავ რაზე სტირი?
— ჰოი, მთებო, დიდი არის
ჩემი გულის ჭირი!
— ქალო, ასე ფეხშიშველი
რად დარბიხარ ხევში?
— ჰოი, მთებო, ჩემი გული
გატყდა, როგორც თეფში!
— ქალო, შენი ბროლის სახე
შეიბრალე მაინც!
— ჰოი, მთებო, ვეღარ ვხედავ
ჩემ საყვარელ რაინდს!
და დღეს ასე ბედგამტყდარი
იცინის, ხან სტირის,
თმადაშლილი, ცეკვით უვლის
ტოტებდახრილ ტირიფს.

XXI

მიწყდა სიცოცხლე, მხოლოდ მყინვარი
დგას ისე, როგორც მანამდე იყო
და მის წვეროდან ამდგარი ღვარი
რწყავს ამ ხეობის თვალუწვდენ რიყეს.
ქედანიც თითქო მიყუჩებულა,
აღარც ნავარდობს მერცხალი ისე.
თითქო ლიბრედი ნისლების ქულა,
ახშობს ამ ხევის ძველ სიხალისეს.
ოდესღაც ცეცხლით აღსავსე ხევი
აღარ ხმაურობს ამთაგორებით,
წისქვილიც თითქო ბედდანახევი
დგას გულმოკლული, დგას დაღონებით.
ხოლო, როცა მზე გადაიხრება

და ხევს აღარ წვავს მცხუნვარე ალი, —
კვნესის ჭოტი ძველ უბედურებას
ეგ, ხევის ერთი ჭირისუფალი.
და ამ კვნესაში, თითქო დასტირის
მკვდართა საფლავებს თვალები მწუხრი.
თერგი კი მთების კალთებში ყვირის:
— ჭოტო, ავ კვნესით ნუ შემაწუხე!
მაგრამ ჭოტს თერგის სულაც არ ესმის,
იგი თავის ჯავრს სტირის და კვნესის.

1926

ა. ს. პუშკინი

## ზამთრის საღამო

ცას წყვდიადით ქარი ფარავს,
თოვლის ბუქი ყალყზე დგება,
ხან მხეცივით დაიღმუვლებს,
ხან ბავშვივით ატირდება;
ხან კი სახლის სახურავზე
ისლის ჩალას აზუზუნებს,
ხან, ვით მგზავრი, გზას ამცდარი
ფანჯარაზე აკაკუნებს.

ჩვენი ქოხი ძველისძველი,
ბნელია და მწუხრით სავსე,
შენ კი, ჩემო ბებრუცუნავ,
რად მიმდგარხარ ფანჯარაზე?!
ნუთუ ცივად მოალერსემ
შენ დაგღალა ზამთრის ქარმა,
ან ჩასთვლიმე იმ ხმაურში,
რაც გამოსცა თითისტარმა?

მოდი შევსვათ, დამილოცე
მოშხამული ყრმობა ჩემი,
შევსვათ დარდით, ასწი ჭიქა,
დე, აივსოს გული შვებით!
სთქვი, თუ როგორ უცხო ჩიტი
შორს, ზღვის გაღმა ცხოვრობს წყნარად,
ანდა, როგორ მიდის დილით
გოგო წყალის მოსატანად!

ქარი ქრის და ცას ჰფენს ღრუბელს,
თოვლის ბუქი ყალყზე დგება;
ხან მხეცივით დაიღმუვლებს,
ხან ბავშვივით ატირდება,
მოდი შევსვათ, ჩემო კარგო,
გაახარე ყრმობა ჩემი,
შევსვათ დარდით: ასწი ჭიქა,
დე, აივსოს გული შვებით!..

## ნუ მღერი ჩემთან, ჩემო ლამაზო

ნუ მღერი ჩემთან, ჩემო ლამაზო,
შენ საქართველოს ჰანგებს მწუხარეს,
ახლა ისინი მე მაგონებენ
სხვა ცხოვრებას და შორეულ მხარეს.
როცა შენ მღერი კვლავ ცოცხლდებიან
ღამე, მთვარე და ვრცელი ტრამალი
და მთვარის შუქზე წარმომიდგება
სახე შორეულ საბრალო ქალის.

მე ამ ჩვენებას საბედისწეროს
შენ რომ შეგხედავ, ვივიწყებ მყისვე,
მაგრამ შენ მღერი, და ჩემს წინაშე
იმისი სახე ცოცხლდება ისევ!

ნუ მღერი ჩემთან, ჩემო ლამაზო,
შენ საქართველოს ჰანგებს მწუხარეს,
ახლა ისინი მე მაგონებენ
სხვა ცხოვრებას და შორეულ მხარეს!..

## ა. პ. კერნისადმი

მე მახსოვს იგი ძვირფასი წამი:
წმინდა გენიის მშვენების გვარად,
ვით წუთიერი რამ მოჩვენება,
შენ ჩემს წინაშე იდექი წყნარად!

უიმედობის დაღლილ წუთებში,
როცა ამაოდ დიოდნენ დღენი—
დიდხანს მხიბლავდა ხმა მოალერსე
და საოცარი ხატება შენი!

წავიდნენ წლები... ბობოქარ ქარმა
გაჰფანტა ყველა ფიქრები ჩემი,
მეც დავივიწყე შენი ხმა ტკბილი
და სახე ციურ მშვენების მჩენი.

მივიწყებული, სადღაც შორს, ბნელში,
ქრებოდა ჩემი დღეთა კრებული,
უღვთაებოდ და უშთაგონებოდ
სიყვარულს, ლხინს და ცრემლს მოკლებული.

მაგრამ დაიწყო გამოცოცხლება,
და როგორც წინათ, იმგვარად ისევ,
ვით წუთიერი რამ მოჩვენება,
შენ ჩემს წინაშე დადექი მყისვე!

და ახლა გული კვლავ გახალისდა,
მისთვის გაცოცხლდა ის სიხარული,
სად ღმერთიც არის და შთაგონებაც,
ცრემლი, სიცოცხლე და სიყვარული!..

## მ. ი. ლერმონტოვი

### სიზმარი

სიცხიან დღეში, დაღესტანის ტრიალ მინდორზე,
მძიმედ დაჭრილი, უმოძრაოდ ვეგდე ეული,
ღრმა ჭრილობიდან თითქოს ბოლი ამოდიოდა
და სისხლისაგან იცლებოდა ჩემი სხეული.

ვეგდე უძრავად, ყრუ ტრამალის სილაზე ობლად
და კლდეთა ზღუდე მერტყა ირგვლივ ვიწრო და გრილი,
მზე რუხ მწვერვალებს ულმობელი სხივებით წვავდა
და მეც მწვავდა ის, თუმც მეძინა მთვლემარე ძილით.

და ვნახე ძილში, რომ შორს ჩემგან, მშობელ მხარეში
იყო ნადიმი მხიარული თვითეულ ჯერზე;
და ყმაწვილქალებს — ყვავილებით დამშვენებულებს
ჰქონდათ ბაასი გამართული საამოდ ჩემზე.

მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთი არ იყო იმდროს,
სად შვება-ლხენას ეძლეოდა ქალთა კრებული,
იჯდა ობლად და სულით შვებას არ ეძლეოდა,
და, ღმერთმა იცის, თუ რად იყო ჩაფიქრებული!

მაგრამ ეზმანა, მას, რომ სადღაც, დაღესტნის ველად,
ეგდო უძრავად და უსიტყვოდ ნაცნობი გვამი,
ღრმა ჭრილობიდან თითქოს ბოლი ამოდიოდა
და იღვრებოდა ცივი სისხლის მჩქეფარე ღვარი...

## ი. ვ. გოეთე

* *
*

ზვიად მთების ირგვლივ
დუმილია წყნარი,
ტყეში ფოთოლს ოდნავ
არც კი არხევს ქარი...

არ იძვრიან ხენი,
არც ჩიტები სტვენენ,
დაიცადე ცოტა
და შენც დაისვენებ!..

პ. ბ. შელი

## სიკვდილი

სიკვდილი მუდამ ჩვენი ახლო თანამგზავრია,
სიცოცხლეს ყველგან დარაჯობს იგი
და, რაც არსებობს, არ ივიწყებს, მონახავს ბოლოს,
რომ მოაგონოს თავისი რიგი.

ჯერ ხალისს მოკლავს, შემდეგ იმედს—ჯერ გაუფურჩქვნელს,
და ამის შემდეგ რას-ღა აქვს ფასი,
და, ბოლოს, თვითონ, ვით ყორანი, შემოფრინდება —
დასცალოს ჩვენი სიცოცხლის თასი.

და იღუპება ასე უღვთოდ, რაც გულს უყვარდა—
დაუსრულებელ სიკვდილის ქარში,
მაგრამ რაც გვიყვარს, ის რომ ქვეყნად არა კვდებოდეს,
თვით სიყვარული მოკვდება მაშინ!..

ჰეინრიხ ჰეინე

## ფიჯვი

შორს, ჩრდილოეთში, ფრიალო ქლდეზე
დგას ერთი ფიჭვი განმარტოებით,
მთვლემარე ფიქრით და თოვლის ფიფქით
შემოსილია მისი რტოები.

და ეჩვენება შორს, უდაბნოში,
მას ერთი პალმა მზიური მხარის,
უხმოდ რომ გლოვობს თავის ობლობას —
მხურვალე ქლდეზე მოწყენით მდგარი.

ანრი დე-რენიე

## ზღვის პირად

დაწექ ნაპირზე და აიღე ხელში სულ მცირე
ერთი პატარა მუჭი სილა მზისგან რომ ელავს
და მიეც ნება თითებიდან იდინოს ჩუმად,
შენ კი უცქირე ცის ლაჟვარდს და ზღვის გულმშვიდ ღელვას.

შემდეგ დახუჭე თვალი ოდნავ და იგრძნობ მალე,
რომ თითებს შორის ის სიმძიმე გაქრა სრულიად.
ჩვენი სიცოცხლეც, როგორც სილა დროებით ასე
მარადისობის ნაპირიდან აღებულია!

## მომაკვდავი დედა

**ფრანგულიდან**

რაო! მოკვდა, თუ ცოცხალია? იქნებ მას სძინავს?
იქნება, შესძლო დაამება საბრალომ წყლულთა?
ვიღაც კი ჩუმად გაიძახის: ბავშვი მოჰგვარეთ,
ო, ჩქარა ბავშვი მოუყვანეთ საბრალოს გულთან!

და იმ ადგილას, სადაც წინათ ფეთქავდა გული —
ბავშვმა დედის მკერდს მიაშურა ხარბად, ვნებურად.
ოი, ახლაც თუ, ახლაც იგი ვერ გაიღვიძებს, —
ჩანს აღარ არის, სამუდამოდ გაცივებულა!..

# სარჩევი


ი. ვაკელის პოეზია — წინასიტყვაობა კ. ბობოხიძისა 3

**1921 — 1956**

სიცოცხლის ჰიმნი 11
კოლხეთის მთვარე 12
გურული სიმღერები 13
გზიდან . . 16
გულის სიმღერა 18
ლექსი შრომაზე 20
ალაზნის ველებს . 21
ბელითონეების სიმღერა 22
ოქტომბრის რევოლუცია 23
სამშობლო . . 24
ლექსი აღმშენებლობაზე 25
პოეტი . . 29
ცხოვრების მდინარე 31
უცხოელი ფეიქრების სიმღერა 33
ჩვენ მჭედლები ვართ 35
ბოლნისის გზაზე 37
სამჭედლოში 39
ლიახვი . . 40
ლექსი მეგობრებისადმი 43
ნანა . 54
ფიქრები თბილისზე 56
ახალი კოლხეთი . 60
ჩემო კარგო მეგობარო 61
ყრმას . . . 63
გასწი, ჩემო მეეტლევ! 64
მერცხალი . . 67
მესხური ლაშქრული 68
უთოვნია მთა და ბარი . 69
შენ რომ გულით გძულებოდე! 70
ცაცხვი . . . 71
ძაღროს პრელუდიები 73
ვით ნიავის ნაზი ფრთები 76
პარიზის კომუნა 77
ომედი . . 79
მოდი, ტურფავ! 80
შოთა რუსთაველს 81
შადრევანთან . 83
გახსოვდეს, სამშობლოვ 84
საღამო . . 85
ქეთევან ირემაძეს 87
მზე . . . 88
წერილი ახალგაზრდობისადმი 89
შენ თუ გგონია . 92
შუადღე ქარხანაში 93
აკაკი 95
მეზარე 97

ეერ დაგივიწყებ 98
ფიქრი თანამედროვეობაზე 99
ჩემს სოფელს 101
საქართველო 102
გაზაფხული 104
ზვიმა 105
სიამე მუუდრო მარტოობაში 106
რიცა 107
ფანტასტიური პაემანი 108
საღამო ბახმაროში 109
ტირიფი სოხუმის ბაღში 110
სიჩაბუკის დღეები 111
წერილი დედას 112
საღამო ჩემს სოფელში 113
ჩემს ფანჯარასთან 114
ზაჰესი 115


## 1919 — 1920


თუ განგებამ ინება 120
ნაღელიანია სული ჩემი 121
ბედი ცბიერი 122
ნეტავ ბეწვი იყო 123
გუშინ ისე მიხაროდა 125
ყარაჩოხელი 126
ბეღურები 129
ლურჯი ფრინველი 130
მთაწმინდის მთიდან 132
ტუსაღი 133
ბრძოლის ტალღებში 135


## ბ ა ლ ა დ ე ბ ი


სიყვარულის ბალადა 136
ღამე სიმინდის სარჩევში 138
გამოთხოვების სამძიმარი 142
სოფლის ბალადა 147
მეფე და პოეტი 152


## პ ო ე მ ე ბ ი


შირაქიანი 158
ზელიმხანი 185
არსენა ჯორჯიაშვილი 197
მეწისქვილე 226


## თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი


ზამთრის საღამო (ა. ს. პუშკინი) 258
ნუ მღერი ჩემთან, ჩემო ლამაზო (ა. ს. პუშკინი) 270
ა. ჰ. კერნისადმი ა. ს. პუშკინი 271
სიზმარი (მ. ი. ლერმონტოვი) 272
*** (ი. ვ. გოეთე) 273
სიკვდილი (შელი) 274
ფიქვი (ჰეინე) 275
ზღვის პირად (ანრი დე-რენიე) 276
მომაკვდავი დედა (ფრანგულიდან) 277

Иона Лукич Вакели
Стихи и поэмы —
Избранное
(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1958

რედაქტორი კალე ბობოხიძე
მხატვრები დ. და ვლ. ქუთათელაძეები
მხატვრული რედაქტორი გ. ყავლაშვილი
ტექრედაქტორი ან. ღვინიაშვილი
კორექტორები { ლ. არეშიძე, პ. ღელეყვა

გადაეცა წარმოებას 7/VII-57 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/V-58 წ. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 14.3. სააღრ.-საგამომც. თაბახი 11.02. სააღტორო თაბახი 10.23. უე 00378. ტირაჟი 2.000. შეკვ. № 464.

ფასი 7 მან. 50. კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

*

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

საქართველოს ბიბლიოთეკა